ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №121 (2494) ოთხშაბათი, 28 მაისი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი. თბილისის გარეთ 45 თეთრი.

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტში პოლიტიკური მოხსენებით წარსდგა

27 მაისს საქართველოს პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომა დაიწყო საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური მოხსენებით, იგი კონსტიტუციის კიდევ ერთი მოთხოვნის განხორციელებაა, რომლის თანახმადაც ქვეყნის პრეზიდენტი ყოველწლიურად მოხსენებით უნდა წარდგეს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე. როგორც გადაწყდა, სახელმწიფოს მეთაური პარლამენტში პოლიტიკურ მოხსენებას გააკეთებს ყოველი საგაზაფხულო სესიის დასაწყისში **(27 მაისს პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლის ტექსტს გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ).**

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ვრცლად მიმოიხილა ქვეყანაში არსებული სიტუაცია, ილაპარაკა საშინაო და საგარეო მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. პრეზიდენტმა დეპუტატთა ყურადღება მიაპყრო სახელმწიფოს მშენებლობის პრობლემებს, ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობას, სოციალურ სფეროში არსებულ ვითარებას, კონფლიქტების მოწესრიგებისა და „მშვიდობიანი კავკასიის" საკითხებს. ფაქტობრივად, იგი შეეხო ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობის თითქმის ყველა ასპექტს.

პრეზიდენტის მოხსენების შემდეგ საპარლამენტო ფრაქციათა ხელმძღვანელებმა დააფიქსირეს ფრაქციათა პოზიცია ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

ფრაქციათა ლიდერების გამოსვლებში წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით ქვეყნის პრეზიდენტმა განმარტებები გააკეთა.

მან კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღეს მთელი ყურადღება ძირითადად კონცენტრირებულია ორ საკითხზე, რომელიც საქართველოს რუსეთთან დამოკიდებულების საზომი უნდა გახდეს. პირველი — ეს არის სამშვიდობო ძალების საკითხი, მისი ფუნქცია და მისია, ის, თუ როგორ მოეკიდება საბოლოოდ რუსეთი თანამეგობრობის ქვეყნების უმაღლეს დონეზე შეხვედრის გადაწყვეტილებას — აფხაზეთის ერთ რეგიონში ლტოლვილების დაბრუნებასთან დაკავშირებით საკონტროლო ზონის გაფართოების ფონზე, იქნება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საზომი. თუ სამშვიდობო ძალების მანდატის ვადა ამოიწურება და ეს ორი თვე არ იქნება გამოყენებული გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, საქართველოს პრეზიდენტი მომხრეა გაყვანილ იქნეს სამშვიდობო ძალები. და მეორე საზომი რუსეთის სამართლიანობისა საქართველოს მიმართ, — ეს გახლავთ საქართველოს წილი შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტში. თუ ამ ორ საკითხში რუსეთი მიიღებს საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით კანონიერ გადაწყვეტილებას, მაშინ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა დაეფუძნება ნდობასა და ურთიერთსარგებლიანობას.

პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა მრეწველობის იმ უდიდეს პოტენციალზე, რომლის ამოქმედებას ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციები, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ქვეყნის სტაბილურობაზე, საერთაშორისო ავტორიტეტსა და იმაზე, როგორც რეფორმატორული ქვეყნისა და იმ კანონმდებლობაზე, რომელიც იქმნება პარლამენტში აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად.

ქვეყნის პრეზიდენტმა გამოთქვა მზადყოფნა განაახლოს მაჟორიტარ დეპუტატებთან შეხვედრის პრაქტიკა.

ამის შემდეგ პარლამენტმა კანონშემოქმედებითი საქმიანობა გააგრძელა. დეპუტატებმა დაიწყეს „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვა.

სხდომის მუშაობა გვიანობამდე გაგრძელდა.

საქინფორმი.

დღის ციტატა

ედუარდ შევარდნაძე:

მე ყველას ხელს ვუწვდი

პოლიტიკური პლურალიზმი დემოკრატიის არა მარტო ნიშანი, არამედ მისი განვითარების აუცილებელი პირობაა.

მხედველობაში მაქვს მტრული, შეურიგებელი ანტაგონიზმის დაძლევა და არსებულ წინააღმდეგობათა პოლიტიკური პაექრობის, პოლიტიკური პლურალიზმის სფეროში გადაყვანა.

ხომ არ დადგა დრო, დავამთავროთ საზოგადოების გათიშვის პროცესი, როგორც ახლა ჩვენშია მიღებული, ზვიადისტებად, შევარდნაძისტებად და ა.შ. ჩვენ ხომ ერთი ქვეყნის, ერთი ხალხის შვილები ვართ; ჩვენ ხომ მივიღეთ კონსტიტუცია, რომელიც არა მარტო უფლებებს გვაძლევს, არამედ ქვეყნის სამსახურსაც გვავალდებულებს. ვერ დავიჯერებ, რომ ე.წ. ზვიადისტების უმრავლესობას საქართველოს მტრობა ჰქონდეს ჩაფიქრებული. დავა და შეურიგებლობა იმ გზებზეა, რომლებითაც უნდა მივიდეთ ბედნიერ საქართველომდე. მე ვსვამ კითხვას, ბევრი რამ, რაც გუშინ დაპირისპირებულობის თვალსაზრისით რეალობას წარმოადგენდა, ხომ არ იქცა ანაქრონიზმად?

ვაცხადებ, ხელისუფლება გადადგამს ნაბიჯს შერიგებისა და ეროვნული თანხმობისაკენ, ნდობისა და ურთიერთგაგებისაკენ. მოდით ვითანამშრომლოთ, მათ შორის, ვითანამშრომლოთ ხელისუფლების სტრუქტურებშიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ ყველანი დავიცავთ კონსტიტუციას, გავუფრთხილდებით დემოკრატიულ მონაპოვართ, ერთად ვიშრომებთ და ვიბრძოლებთ საქართველოს საკეთილდღეოდ. მე ყველას ხელს ვუწვდი, ვინც ამ პრინციპს გაიზიარებს. პრაქტიკულ ნაბიჯებსაც პირველი გადავდგამ.

1997 წლის 27 მაისს პარლამენტში წაკითხული პოლიტიკური მოხსენებიდან.

ჯანსულ ჩარკვიანი

შერიგება

დროის ნიშანთა გამოცნობის
ჟამი ზეიმობს,
რას ფიქრობ გულში —
სანეტაროს თუ სასეიროს?
ბოროტების და სიძულვილის
ვდგევართ აღლუმთან,
ფარისეველთა მოძღვრებაა,
ჩვენ რომ დაგვღუპა.
აი, ღვთის შვილნო,
შერიგების მარჯვე შემთხვევა,
აღმობრწყინდება სიყვარულის
მზეი ერთხელაც.
მოვაშთოთ ეშმა —
სიძულვილის თესლის მთესველი,
განიკურნება შერიგებით
ცოდვის ქვესკნელი.
ღირსი არ გახლავთ საქართველო
ბოროტებისა,
ამოიწურა სიძულვილის
ბოლო მტრებისა.
თავისუფლების და ერთობის
მოდგა მაისი,
ქართველო, ქართველს მიუტევე
ცოდვა თავისი.
მოყვასის ფერხთით
სიძულვილით კვდება მტარვალი,
ო, სწორედ ახლა
შერიგება გახლავთ მთავარი.
და, თუმცა შორით
მზერა მტრისა გვიტევს ძლიერი,
დგას საქართველო
სიყვარულით ქრისტესმიერით.

27 მაისი, 1997 წელი.

ხუთი წლის წინათ

სამოქალაქო მშვიდობისა და ეროვნული თანხმობისათვის!

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მანიფესტი

საქართველოს მოქალაქენო!

მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრიობა დიდ ნიშანსვეტს მიუახლოვდა. საქართველოს რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა. საქართველო აღიარა მსოფლიომ, რითაც მისი დამოუკიდებლობა დაგვირგვინდა. შექმნილია კეთილსასურველი საერთაშორისო გარემო თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყნის აღმშენებლობისათვის. დასრულდა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთი, მთავარი ეტაპი.

უკუგდებულია იზოლაციონიზმის დამღუპველი საშიშროება, რომლისგან თავის დაღწევა მრავალი თაობის სანუკვარი ოცნება იყო. ამ მიზანს ბევრი ღირსეული მამულიშვილის სიცოცხლე შეეწირა. საქართველოს თანამდევი მათი სულები დღეს ჩვენთან ერთად ზეიმობენ.

ცივილიზებულ ერთა დიდი ოჯახის წევრობა არა მარტო პატივის მიგებაა იმ წვლილისათვის, რაც საქართველოს მსოფლიო კულტურის საგანძურში შეუტანია, ან მხოლოდ დიდი გარანტიაა ქვეყნის, სუვერენული უფლებების განხორციელებისა, არამედ გაცხადებაც არის იმ პრინციპების ერთგულებისა, რითაც თანამედროვე მსოფლიო სულდგმულობს. საქართველო შევიდა ახალ ზნეობრივ, სამართლებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ სივრცეში, სადაც ახალი წესი, ახალი მოთხოვნები, სხვა ნორმები და განზომილებებია.

ამ ნორმების ერთგულება როგორც ქვეყნის გარეთ, ისე შიგნით საქართველოს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში საქართველო ღირსეულ ადგილს ვერ მოიპოვებს, როგორც ერი და დემოკრატიული სახელმწიფო, თუ იგი არ იქნება მოწესრიგებული პოლიტიკური ორგანიზმი. თანამედროვე და მომავალის ცივილიზაციასთან ზიარების გასაღები ქვეყნის მთლიანობაში, მის ერთიანობაშია.

დადგა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ახალი ეტაპი, რომლის ძირითადი საზრისი საქართველოს გამთლიანება, ქვეყანაში სამოქალაქო თანხმობის დამკვიდრებაა. ახალი წესრიგი შინააშლილობის დაძლევას, ეროვნული თანხმობის დამკვიდრებას ითხოვს უსისხლოდ, უმსხვერპლოდ, ცეცხლისა და მახვილის გარეშე. ამით საქართველო საბოლოოდ გაემიჯნება წარსულის ყაელგასულ ნორმებსა და ცნობიერებას და თანამედროვე ისტორიის ღირსეული შემოქმედი გახდება.

ქვეყანაში სამოქალაქო მშვიდობისა და ეროვნული თანხმობის დამკვიდრების, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისა და დემოკრატიული აღმშენებლობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება საქვეყნოდ აცხადებს:

დაწესდეს 31 ივლისი საქართველოში ეროვნული თანხმობის, სამოქალაქო და ერთაშორისი მშვიდობის, შერიგების დღედ.

მიჩნეულ იქნეს საქართველოს ყოველი მოქალაქის პატრიოტულ მოვალეობად საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობაში მათი წვლილის შეტანის კეთილი ნების გამოხატულებად მონაწილეობა საქართველოს პარლამენტის 11 ოქტომბრის არჩევნებში, რაზეც დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის ისტორიული ბედი, მსოფლიოს წინაშე მისი პასუხისმგებლობა და საერთაშორისო ავტორიტეტი.

საქართველოს ხელისუფლება მოუწოდებს უცხოეთში მყოფ თანამემამულეებს ერისა და ქვეყნისათვის ამ ძნელბედობის ჟამს თანადგომისა და თანამშრომლობისაკენ დედასამშობლოს ასაღორძინებლად.

— საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების შეთანხმების, ქვეყნის ყველა რეგიონის განვითარებისა და სახელმწიფო მართვაში მათი უშუალო მონაწილეობისათვის უზრუნველყოფილია ყველა რაიონისა და ქალაქის წარმომადგენლობა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები.

— საქართველოს ხელისუფლება კიდევ ერთხელ ადასტურებს ერთგულებას საერთაშორისო სამართლით აღიარებული ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისადმი, ადასტურებს და უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიების და სხვა ასოციაციების შექმნის, კრების, მიტინგების, დემონსტრაციების, სიტყვის, პრესის, საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლებას საზოგადოებრივი უშიშროების, წესრიგის, ზნეობის მოთხოვნებთან შესაბამისობით. აღიკვეთოს ისეთი პოლიტიკური ძალების არსებობა, რომლებიც ქმნიან შეიარაღებულ ფორმირებებს, აღვივებენ ერთაშორის შუღლს, მიმართავენ ძალისმიერ მეთოდებს.

— გაუქმდეს საგანგებო წესები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ბრძოლა ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების, პატივისა და ღირსების, ქონების ხელყოფასთან ხელისუფლების უპირველესი მოვალეობაა, რისთვისაც უზრუნველყოფილი იქნება ჯეროვანი პირობები შექმნა ეროვნული პოლიციის საქმიანობისათვის. ქართული პოლიცია კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას ქვეყნის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგისათვის.

— გაერთიანდეს ყველა შეიარაღებული ფორმირება საქართველოს რესპუბლიკის ერთიან შეიარაღებულ ძალებში, რომელიც დაექვემდებარება თავდაცვის სამინისტროს და შინაგანი ჯარების სარდლობას, გაძლიერდეს სამოქალაქო თავდაცვის სამსახური. კატეგორიულად აიკრძალოს ყველა სხვა შეიარაღებული ფორმირების შექმნა და მოქმედება.

— რეგიონებში მოქმედი არარეგისტრირებული სამხედრო რაზმების წევრებს მიეცეთ საშუალება ხელისუფლებისადმი მათი ლოიალობის გათვალისწინებით გაერთიანდნენ თავდაცვის სამინისტროს, შინაგანი ჯარების ან პოლიციის ქვედანაყოფებში. მოხდეს მათ მფლობელობაში არსებული იარაღის რეგისტრაცია ან ჩაბარება. ის პირები, რომლებიც არ შევლენ სახელმწიფო სამხედრო ფორმირებებში, თავისუფლდებიან ადრე ჩადენილი სამართალდარღვევებისთვის პასუხისმგებლობისაგან (ეს არ შეეხება მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ჩადენილ მძიმე დანაშაულს) და დაუბრუნდებიან ოჯახებს, მშვიდობიან შრომას. დაუყოვნებლივ შესრულდეს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება ყველა შეიარაღებული ფორმირების თავიანთი დისლოკაციის ადგილებში დაბრუნების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სამსახური პატრიოტული ვალია.

— ეროვნული ერთობისა და თანხმობის უმაღლესი ინტერესებიდან გამომდინარე, გათავისუფლდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან პირები, რომლებიც მიმდინარე წლის 6 იანვრიდან მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ კანონსაწინააღმდეგო აქციებში, თუ მათ არ ჩაუდენიათ მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ.

— გათავისუფლდნენ პატიმრობიდან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებსაც ბრალი ედებათ მძიმე დანაშაულობათა ჩადენაში. მხედველობამია მიღებული, რომ მათი ქმედებანი გარკვეულწილად განაპირობა ავტორიტარულმა, დიქტატორულმა რეჟიმმა.

— გათავისუფლდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ მიმდინარე წლის 24 ივნისს სახელმწიფო გადატრიალების ავანტიურისტულ მცდელობაში, მიუხედავად ქვეყნისა და ხალხის წინაშე მათ მიერ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულისა.

— ამიერიდან, ამ მანიფესტით გამოცხადებული დიდსულოვანი აქტების შემდეგ, სახელმწიფო იქნება გარანტი, რომ ყველა მოქალაქე, რომელიც დაარღვევს კანონს და შეეცდება ძალის გამოყენებას არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, ხელყოფს პიროვნების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივს, ღირსებას და საკუთრებას, დაისჯება კანონის მთელი სიმკაცრით.

— საქართველოს ხელისუფლება გულისხმობს, რომ სხვადასხვა ძალებისაგან მძევლებად აყვანილი პირები დაუყოვნებლივ გათავისუფლდებიან. ამასთანავე, საზოგადოება გმობს ადამიანთა უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის ფაქტებს, რა მიზნებითაც უნდა იყოს ისინი ნაკარნახევი.

— შექმნილია სამთავრობო კომისია, რომელიც შეისწავლის მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ შეიარაღებული ფორმირების მიერ ძალადობისა და სხვა უკანონო მოქმედებების ფაქტებს. დამნაშავეენი დაისჯებიან, მიყენებული ზარალი ანაზღაურდება.

— დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოსთვის ბრძოლაში, შიდა შეიარაღებულ კონფლიქტებში დაღუპულთა ხსოვნა უკვდავყოფილი იქნება; შედგება მათი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების ღონისძიებათა გეგმა, რომლის შესახებაც საზოგადოება სათანადოდ იქნება ინფორმირებული.

— გაგრძელდება კონსტრუქციული დიალოგი აფხაზეთის ხელისუფლებასთან კომპეტენციათა გამიჯვნის, მყარი სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობის დასამკვიდრებლად ერთიანი საქართველოს ფარგლებში.

საქართველოს ხელისუფლება ბოლომდე მიიყვანს ცხინვალის რეგიონში დაწყებულ სამშვიდობო ღონისძიებებს, რამაც უნდა უზრუნველყოს სისხლისღვრის შეწყვეტა და ამ რეგიონში წესრიგისა და სამოქალაქო მშვიდობის აღდგენა.

ხელისუფლება სრულიად საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით კვლავაც იზრუნებს საქართველოში ეროვნული უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის განსამტკიცებლად საერთაშორისო სამართლით აღიარებული ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად.

— საქართველოს ყველა რეგიონის, ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობა, ადგილობრივი მმართველობის და სამართალდაცვის ორგანოები არ დაუშვებენ მათ ტერიტორიაზე დივერსიულ და ტერორისტულ აქტებს, უზრუნველყოფენ რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სახალხო მეურნეობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ტურისტულ და საკურორტო დაწესებულებათა შეუფერხებელ მუშაობას.

— საქართველოს ხელისუფლება აუცილებლობად მიიჩნევს უმნიშვნელოვანესი სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური ღონისძიებების შემუშავებას და წარმართავს საჯაროობის პრინციპების დაცვით, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების საფუძველზე.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირნი უზრუნველყოფენ მოსახლეობისათვის ინფორმაციის შეუფერხებელ მიწოდებას.

— გზა გაეხსნას თავისუფალი ეკონომიკური ზონების განვითარებას როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში.

— საქართველოს ხელისუფლება მოითხოვს ქალაქების, რაიონების, სოფლების, დაბების ხელმძღვანელობისაგან ამ მანიფესტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების საშუალებათა საყოველთაო მხჯელობის საგნად გადაქცევას, იმედოვნებს, რომ ამ პროცესებში თავიანთ გავლენიან აზრს გამოთქვამენ სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და სხვა რელიგიური გაერთიანებები.

საქართველოს მოქალაქენო!

საქართველოს უზენაესი ინტერესებით ნაკარნახევი ეს მანიფესტი მიმტევებლობის, ჰუმანიზმის საქვეყნო გაცხადება და ქართული სახელმწიფოებრიობის ძლიერების დასტურია.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1992 წლის 3 აგვისტო.

საქართველოს პარლამენტში გუშინ გამოსვლის დროს საქართველოს პრეზიდენტმა გაიხსენა მანიფესტი, რომელიც მან 1992 წლის 4 აგვისტოს რესპუბლიკის მოედანზე გამოაქვეყნა. მაშინ ქვეყანას სამოქალაქო ომის შავი ღრუბელი დასტრიალებდა. ეს დოკუმენტი იმდენად საინტერესოა, რომ დღეს განმეორებით ვბეჭდავთ მას.

წოდებათა მინიჭება სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პირად შემადგენლობას სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ვადამდე მიენიჭათ — სამხედრო წოდება „ПОЛКОВНИК" — ვიცე-პოლკოვნიკ **მალხაზ სალაყაიას** — სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილეს; სამხედრო წოდება „ПОЛКОВНИК": ვიცე-პოლკოვნიკ **ემილ ფხალაძეს** — სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამეურნეო-საფინანსო სამსახურის უფროსის მოადგილეს; სამხედრო წოდება „ВИЦЕ-ПОЛКОВНИК": მაიორ **შალვა ქღენტს** — სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის სამმართველოს ექსტრემიზმისა და სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სააგენტოს უფროსს; მაიორ **თენგიზ დონაძეს** — სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამეურნეო-საფინანსო სამსახურის უფროსის მოადგილეს; სამხედრო წოდება „МАЙОР": კაპიტან **რამაზ ჯავახიშვილს** — სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს გარე მეთვალყურეობის სამსახურის სამეურნეო ქვეგანყოფილების უფროსს; კაპიტან **ხასან ლემსაძეს** — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო განყოფილების განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს; კაპიტან **ვახტანგ იმედაშვილს** — სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამხედრო კონტრდაზვერვის სამმართველოს სამორიგეო ჯგუფის უფროსს; კაპიტან **მიხეილ გლოველს** — სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შიფრკავშირების განყოფილების კონტროლისა და ინსპექციის ჯგუფის უფროსს; კაპიტან **ბესიკ ალადაშვილს** — სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კადრების სამმართველოს მოქმედი რეზერვის განყოფილების უფროსს; კაპიტან **თენგიზ ცერიაშვილს** — სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კადრების სამმართველოს მე-3 განყოფილების მე-2 ქვეგანყოფილების უფროსს; სამხედრო წოდება „МЕДИЦИНСКОЙ СЛУЖБЫ МАЙОР": კაპიტან **მალხაზ ურთქმელიძეს** — სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამედიცინო სამსახურის უფროსის მოადგილეს, პოლიკლინიკის უფროსს.

ინფორმაცია

გერმანელი ბიზნესმენები სათანამშრომლოდ გვეწვივნენ

27 მაისს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა მიიღო გერმანიის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა დელეგაცია.

ვიზიტის მიზანია საქართველოსათვის პრიორიტეტული დარგების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიულ პროგრამებში ჩართვა, გერმანია-საქართველოს საქმიან წრეებს შორის არსებული კონტაქტების გაღრმავება და გააქტიურება, ახალი ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების ჩამოყალიბება.

საგარეო უწყების ხელმძღვანელი ჰააგას გაემგზავრა

„მარშალის გეგმის" 50 წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად 27 მაისს ჰააგას გაემგზავრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი.

თანამშრომლობენ თავდაცვის სამინისტროები

27 მაისს თავდაცვის სამინისტროში გაიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვარდიკო ნადიბაიძისა და უკრაინის თავდაცვის მინისტრის გენერალ-პოლკოვნიკ ალექსანდრე კუზმუკის შეხვედრა.

ამავე დღეს ორი ქვეყნის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტთა ექვს პაკეტს საქართველოსა და უკრაინის თავდაცვის სამინისტროებს შორის თანამშრომლობის განვითარების შესახებ.

ხელმოწერის ცერემონიალის შემდეგ გაიმართა ერთობლივი პრესკონფერენცია.

საქართველოს ხელისუფლების ინიციატივა

„იბერიის" კორესპონდენტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, რომ საქართველოს ხელისუფლება გამოვიდა ინიციატივით შემდგომი კონფერენცია „მშვიდობიანი კავკასიისათვის", რომელიც გააგრძელებს თბილისსა და კისლოვოდსკში დაწყებულ პროცესებს, გაიმართოს თბილისში. კონფერენციაზე მოწვეულნი იქნებიან ჩრდილოეთ კავკასიის ლიდერები, რუსეთის ხელმძღვანელობა, სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები.

თურქულ საქონელზე მოთხოვნა კლებულობს

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელმაც გააანალიზა საქართველოს საგარეო-სავაჭრო საქმიანობის მაჩვენებლები, აღნიშნავს, რომ საქართველოს მსხვილ სავაჭრო პარტნიორთა პირველ ათეულში გადაადგილებები მოხდა, ეს ასე გამოიყურება: რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, აზერბაიჯანი, თურქეთი, ბრიტანეთი, გერმანია, ბულგარეთი, უკრაინა, იტალია, სომხეთი.

სპეციალისტთა აზრით, ცვლილებები გამოწვეულია ხარისხობრივი ცვლილებებით იმპორტის სტრუქტურაში და არა გაუმჯობესების მხრივ.

მარშანდელისაგან განსხვავებით, თურქეთმა მეორე ადგილიდან მეოთხეზე გადაინაცვლა. სპეციალისტები ამას იმ გარემოებით ხსნიან, რომ საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი გაჯერებულია თურქული წარმოების ფართო მოხმარების დაბალხარისხოვანი საქონლით და მოთხოვნა მასზე მნიშვნელოვნად შემცირდა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა - საქინფორმმა, „იბერიამ".

უკანასკნელ საათს

პარიზი. გუშინ აქ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, ნატოს გენერალურმა მდივანმა ხავიერ სოლანამ და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შემავალ 16 ქვეყნის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა ხელი მოაწერეს რუსეთ-ნატოს ურთიერთობის ფუძემდებელ აქტს. ამით რუსეთმა ცნო ევროპაში არსებული სამხედრო-პოლიტიკური რეალობანი.

კიევი. დღეს კიევში ხელი უნდა მოაწერონ შეთანხმებას უკრაინასა და რუსეთს შორის შავი ზღვის ფლოტის შესახებ. უკრაინა მზად არის 20 წლის ვადით იჯარით გადასცეს რუსეთს სევასტოპოლის ნაწილი.

ტალინი. გუშინ ტალინში ერთმანეთს შეხვდნენ ხუთი ქვეყნის პრეზიდენტები — რ. ულმანისი (ლატვია), ა. ბრაზაუსკასი (ლიტვა), ლ. კუჩმა (უკრაინა), ა. კვასნევსკი (პოლონეთი) და ლ. მერი (ესტონეთი). შეხვედრა მიეძღვნა ხუთი ქვეყნის ურთიერთობის განვითარებას და უშიშროების პრობლემებს. უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ განაცხადა, რომ პარიზში ხელმოწერილი შეთანხმება „პოზიტიური მოვლენაა და პირველი ნაბიჯია კონტინენტზე მშვიდობის დამყარების გზაზე". ამავე დროს, უკრაინის სახელმწიფოს მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთ-ნატოს შეთანხმება უკრაინას აიძულებს, თავის მხრივ, ანალოგიური შეთანხმება დაუდოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს.

ვარშავა. პოლონეთში გამართულ საერთო-ეროვნულ რეფერენდუმზე მიღებულ იქნა ქვეყნის ახალი კონსტიტუცია, რომელსაც ხმა მისცა მოქალაქეთა 62,7 პროცენტმა.

ორბიტაზე

უსაფრთხო ევროპისათვის

გუშინ რუსეთ-ნატოს ურთიერთობის ფუძემდებელი აქტის ხელმოწერის შემდეგ, რუსეთის სახელმწიფოს მეთაურმა ბორის ელცინმა განაცხადა: „ეს ჩვენი საერთო მიღწევაა. ეს არის გონების გამარჯვება. ახლა ევროპაში ყველა მშვიდობიანად იგრძნობს თავს. დღეს მე მივიღე გადაწყვეტილება: ყველა იმ რაკეტას, რომლებიც რუსეთის მეზობელ ევროპულ ქვეყნებზეა დამიზნებული, მოეხსნება ბირთვული ქობინი". აქამდე, „დაუმიზნებლობის შეთანხმება" არსებობდა მხოლოდ რუსეთსა და აშშ-ს შორის.

როგორც უცხოეთის მიმომხილველნი პარიზის შეთანხმებასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, „ეს იმაზე ნაკლებია, რაც რუსეთს სურდა, მაგრამ იმაზე მეტია, რაც უნდა ყოფილიყო".

ელცინის იმ განცხადების პასუხად, რომ რუსეთი გადასინჯავს ნატოსთან ურთიერთობას, თუ ალიანსი თავის რიგებში მიიღებს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, ლიტვის პრეზიდენტმა ალგირდას ბრაზაუსკასმა განაცხადა: რამდენადაც სსრ კავშირმა ანექსიაჰყო ლიტვა, მას არ მიაჩნია თავი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკად... იგივე აზრს ადგანან სხვა ბალტიისპირა სახელმწიფოები. და არა მარტო ისინი...

საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ურთიერთობები, რომლებიც რეგულირდება ამ კანონით

1. ეს კანონი აწესრიგებს ურთიერთობებს დაზღვევის სფეროში სადაზღვევო ორგანიზაციებსა და იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის, აგრეთვე თვით სადაზღვევო ორგანიზაციებს შორის, ადგენს სადაზღვევო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ძირითად პრინციპებს.

2. ურთიერთობები დაზღვევის სფეროში რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, სამოქალაქო კოდექსით, ამ კანონით, საქართველოს სხვა კანონებით და კანონქვემდებარე აქტებით.

3. თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, რომელშიც მონაწილეობს საქართველო, განსაზღვრულია ამ კანონის წესებისგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების წესები.

4. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება სახელმწიფო სოციალურ და სახელმწიფო სავალდებულო სამედიცინო დაზღვევაზე.

მუხლი 2. კანონში გამოყენებული ძირითადი ცნებები

ამ კანონში გამოყენებულ ცნებებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) დაზღვევა – ურთიერთობა, რომელიც მყარდება ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე, გარკვეული გარემოებების (სადაზღვევო შემთხვევების) დადგომისას.

ბ) სადაზღვევო საქმიანობა – დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებების გაფორმებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობა.

გ) მზღვეველი – შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია.

დ) დამზღვევი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც დადო დაზღვევის ხელშეკრულება მზღვეველთან.

ე) დაზღვეული – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა. დამზღვევი შეიძლება იმავდროულად იყოს დაზღვეული, თუ დაზღვევის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ვ) მოსარგებლე – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების ან სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის თანახმად იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას.

ზ) სადაზღვევო აგენტი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს მზღვეველის დავალებით და სახელით მისთვის მზღვეველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

თ) სადაზღვევო ბროკერი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ლიცენზიის შესაბამისად ახორციელებს დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას, როგორც თავისი სამეწარმეო საქმიანობის სახეობას.

ი) სადაზღვევო რისკი – მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა.

კ) სადაზღვევო შემთხვევა – მოვლენა, რომლის დადგომისას სადაზღვევო ხელშეკრულება ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას.

ლ) სადაზღვევო პოლისი – მზღვეველის მიერ გაცემული დაზღვევის ან გადაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს განხორციელებული დაზღვევის დამადასტურებელ საბუთს და დამზღვევს უფლებას აძლევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურება ან სადაზღვევო თანხა.

მ) გადაზღვევა – ოპერაცია ორ სადაზღვევო კომპანიას შორის, რომლის დროსაც დაზღვევის (გადაზღვევის) ხელშეკრულებით ერთ-ერთი მხარე თავის თავზე იღებს რისკის ნაწილს სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ.

მუხლი 3. დაზღვევის ცნება

1. დაზღვევა არის ურთიერთობა ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად გარკვეული გარემოების (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომისას ამ პირთა მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიებით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე.

2. სადაზღვევო საქმიანობა არის მზღვეველის საქმიანობა, დაკავშირებული დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებების დადებასა და განხორციელებასთან.

მუხლი 4. დაზღვევის ობიექტი

1. დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის:

ა) დაზღვევა, დაკავშირებული დაზღვეულის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანობასთან, საპენსიო უზრუნველყოფასთან და სხვა პირად ინტერესებთან (პირადი დაზღვევა);

ბ) დაზღვევა, დაკავშირებული ქონების ფლობასთან, განკარგვასთან და ქონებით სარგებლობასთან (ქონების დაზღვევა);

გ) დაზღვევა, დაკავშირებული დაზღვეულის მიერ მესამე (ფიზიკური ან იურიდიული) პირისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებულ ზიანთან (პასუხისმგებლობის დაზღვევა).

მუხლი 5. დაზღვევის ფორმები

1. დაზღვევა ხორციელდება ნებაყოფლობითი და სავალდებულო ფორმებით.

2. ნებაყოფლობითი დაზღვევა ხორციელდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ნებაყოფლობითი დაზღვევის სახეობები, პირობები და განხორციელების წესი დგინდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულებით.

3. ნებაყოფლობით დაზღვევას ახორციელებს საქართველოს ნებისმიერი, ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაცია.

4. სავალდებულო დაზღვევა არის დაზღვევის ისეთი ფორმა, როდესაც დაზღვევის ობიექტი, სახეობები და განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით და სავალდებულოა მზღვეველსა და დამზღვევს შორის დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას.

5. სავალდებულო დაზღვევისას მზღვეველი ვალდებულია დადოს ხელშეკრულება დამზღვევთან კანონის განსაზღვრული პირობებით. მზღვეველს უფლება აქვს შესთავაზოს დამზღვევს ამ უკანასკნელისათვის კანონით დადგენილზე უფრო ხელსაყრელი პირობები.

6. სავალდებულო დაზღვევას ახორციელებს საქართველოს ნებისმიერი ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაცია.

მუხლი 6. სავალდებულო დაზღვევის წესების დარღვევის შედეგები

1. თუ პირი, რომლის მიმართაც კანონის ძალით უნდა განხორციელდეს სავალდებულო დაზღვევა, არ არის დაზღვეული, მას უფლება აქვს სასამართლო წესით მოსთხოვოს დაზღვევის განხორციელება დამზღვევს, რომელსაც დაკისრებული აქვს მისი დაზღვევის ვალდებულება.

2. თუ დამზღვევმა არ დადო დაზღვევის ხელშეკრულება ან დადოს ისეთი პირობით, რომელიც აუარესებს დაზღვეულის მდგომარეობას კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებთან შედარებით, დამზღვევი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ვალდებულია დაზღვეულს აუნაზღაუროს ზიანი იმ ოდენობით, რომელსაც დაზღვეული მიიღებდა მოცემული დაზღვევის არსებობის შემთხვევაში.

3. დამზღვევს უფლება აქვს სასამართლო წესით მოსთხოვოს მზღვეველს დაზღვევის განხორციელება ამ კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 7. დაზღვევის სფეროში უცხოეთის ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე

1. უცხოეთის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური კაპიტალით შექმნილი იურიდიული პირი, უცხოური იურიდიული პირის ფილიალი და წარმომადგენლობა, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე, აწარმოებენ დაზღვევას საქართველოს სადაზღვევო ორგანიზაციებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში დასახელებულ პირებს საქართველოს ტერიტორიაზე დაზღვევის სფეროში აქვთ ყველა ის უფლება და ეკისრებათ ყველა ის ვალდებულება, რაც საქართველოს მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს.

3. უცხოელ ფიზიკურ პირს, მოქალაქეობის არმქონე პირს, უცხოურ იურიდიულ პირს (უცხოეთის სადაზღვევო და გადაზღვევის ორგანიზაციების ჩათვლით) უფლება აქვს იყოს საქართველოს დაზღვევის და გადაზღვევის ორგანიზაციების მონაწილე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში დასახელებული პირების მონაწილეობა საქართველოს სადაზღვევო და გადაზღვევის ორგანიზაციების საწესდებო კაპიტალში ერთობლივად არ უნდა აღემატებოდეს 49 პროცენტს.

5. უცხოეთის სადაზღვევო ორგანიზაციის, როგორც უშუალო მზღვეველის საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია.

6. საქართველოს სადაზღვევო ორგანიზაციას შეუძლია დამოუკიდებლად დადოს გადაზღვევის ხელშეკრულება უცხოეთის ერთი ან რამდენიმე გადამზღვეველთან უშუალოდ.

7. საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური იურიდიული პირის მიერ სადაზღვევო ბროკერის ფუნქციების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სადაზღვევო ორგანიზაციისათვის, მის მიერ აღებული რისკის უცხოეთში გადაზღვევის სფეროში. საქართველოში უცხოური იურიდიული პირი სადაზღვევო ბროკერის საქმიანობას ახორციელებს ფილიალის ან წარმომადგენლობის მეშვეობით, რომელიც რეგისტრირებულია სათანადო წესით, ან უშუალოდ საქართველოს იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

8. საქართველოს სადაზღვევო ორგანიზაციას თავისი რისკის უცხოეთში გადაზღვევასთან დაკავშირებით შეუძლია უშუალოდ ისარგებლოს უცხოური საბროკერო ორგანიზაციის მომსახურებით.

თავი II
დაზღვევის ურთიერთობის მონაწილენი

მუხლი 8. დამზღვევი

1. დამზღვევი არის პირი, რომელმაც მზღვეველთან დადო დაზღვევის ხელშეკრულება.

2. დამზღვევი შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი.

3. დამზღვევი თავისუფალია მზღვეველის არჩევაში, როგორც ნებაყოფლობითი, ისე სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას.

მუხლი 9. მზღვეველი

1. მზღვეველი არის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია. მზღვეველის, როგორც ორგანიზაციის რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოში იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის დადგენილი წესით.

2. სადაზღვევო ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად დასაშვებია მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება. საბიუჯეტო ორგანიზაციას ეკრძალება სადაზღვევო ორგანიზაციის დაფუძნება და სადაზღვევო ორგანიზაციის დამფუძნებლად ყოფნა.

3. ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაციის საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სიტყვას „დაზღვევის".

4. სადაზღვევო ორგანიზაციის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

5. სადაზღვევო ორგანიზაციები თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას თანაბარი უფლებებით სარგებლობენ.

6. აკრძალულია მონოპოლიური და ყველა სხვაგვარი საქმიანობა განსაზღვრულ სადაზღვევო ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის მიზნით, უპირატესობების მიცემა ან მიღება მზღვეველის (მზღვეველების) მიერ სხვა მზღვეველის (მზღვეველების) მიმართ.

მუხლი 10. დაზღვეული

1. დაზღვეული არის პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა. დამზღვევი შეიძლება იმავდროულად იყო დაზღვეული, თუ დაზღვევის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. კანონმდებლობა სავალდებულო დაზღვევის შესახებ შეიძლება დამზღვევს ავალდებულებდეს მესამე პირის დაზღვევის განხორციელებას. ნებაყოფლობითი დაზღვევისას დამზღვევს შეუძლია დაზღვევის ხელშეკრულებაში განსაზღვროს მესამე პირი, როგორც დაზღვეული; ამ შემთხვევაში დაზღვევის ობიექტი არის დაზღვეულის პიროვნება და მასთან დაკავშირებული ინტერესები (პირადი დაზღვევა) ან დაზღვეულის ქონება და მასთან დაკავშირებული ინტერესები (ქონების დაზღვევა).

3. ქონების დაზღვევისას დაზღვეულს, რომელიც არ არის დამზღვევი, უნდა ჰქონდეს ამ ქონების შენარჩუნების ინტერესი.

4. სავალდებულო დაზღვევისას მესამე პირის თანხმობა იმ ხელშეკრულების დადებისთვის, რომელშიც იგი იქნება განსაზღვრული, როგორც დაზღვეული, არ არის საჭირო. ნებაყოფლობითი დაზღვევისას ამ პირის უარი აღნიშნული ხელშეკრულების დადებაზე გამოიწვევს მისი დადების შეუძლებლობას, ხოლო თუ ხელშეკრულება უკვე იყო დადებული – მის შეცვლას ან შეწყვეტას.

5. ქონების დაზღვევისას დამზღვევი ვალდებულია შეატყობინოს მესამე პირს თავისი განზრახვა, დააზღვიოს მისი ქონება ან მასთან დაკავშირებული ინტერესები დაზღვევის ობიექტების ზუსტი განსაზღვრით.

6. თუ დამზღვევი ვალდებულია დააზღვიოს მესამე პირი, ამ უკანასკნელს შეუძლია მოსთხოვოს დამზღვევს მისი მოვალეობის შესრულების ანგარიში, ხოლო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში – დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ დამზღვევმა არ შეასრულა თავისი ვალდებულება ან არასათანადოდ შეასრულა იგი მესამე პირის დაზღვევის საკითხში, ამ უკანასკნელს უფლება აქვს გამოიყენოს ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული უფლებები.

7. დაზღვეული არასრულწლოვანი მოქალაქის უფლებების რეალიზაცია ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. დაზღვეულის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადება არ ათავისუფლებს დამზღვევს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. მესამე პირის დაზღვევა ხორციელდება დამზღვევის ხარჯით. იმ დაზღვეულის, რომელიც არ არის დამზღვევი, აგრეთვე დამზღვევის ის ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, განისაზღვრება დაზღვევის ხელშეკრულებით. დამზღვევი ვალდებულია შეატყობინოს დაზღვეულს დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესახებ.

10. თუ დაზღვეული უარს იტყვის სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაზე, რომელიც მას ეკუთვნის დაზღვევის ხელშეკრულებით, სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლება გადადის დამზღვევზე.

11. დაზღვეულის გარდაცვალებისას, თუ იგი არ არის დამზღვევი, დაზღვევის ხელშეკრულება შეწყდება, თუ კანონმდებობით ან ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული დაზღვეულის შეცვლა.

12. თუ დაზღვეულის გარდაცვალება იქნება ის სადაზღვევო შემთხვევა, რომელიც გათვალისწინებულია დაზღვევის ხელშეკრულებით, ხელშეკრულება წყდება მისი შესრულების შემდეგ.

13. დაზღვეულის გარდაცვალებისას, რომელიც არ არის დამზღვევი და რომლის სასარგებლოდაც დადებულია ქონების დაზღვევის ხელშეკრულება, დაზღვეულის უფლებები და მოვალეობები იმ ქონებრივ უფლებაზე, რომელიც არის დაზღვევის ხელშეკრულების ობიექტი, დამზღვევის თანხმობით გადადის გარდაცვლილი დაზღვეულის მემკვიდრეზე, თუ კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. თუ დამზღვევი არ არის თანახმა გარდაცვლილი დაზღვეულის შეცვლაზე, ან თუ მემკვიდრეები არ არიან თანახმა მიიღონ გარდაცვლილი დაზღვეულის უფლებები და მოვალეობები, ხელშეკრულება შეწყდება.

მუხლი 11. მოსარგებლე (სარგებლობის მიმღები)

1. მოსარგებლე არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების ან დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის თანახმად იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას.

2. მოსარგებლე შეიძლება დადგინდეს როგორც პირადი, ისე ქონების დაზღვევისას.

3. სავალდებულო დაზღვევისას მოსარგებლის განსაზღვრა ხდება დაზღვევის მოცემული სახეობის მარეგულირებელი კანონმდებლობით, ხოლო ნებაყოფლობითი დაზღვევის მოსარგებლეს ადგენს დამზღვევი.

4. დაზღვეული არის მოსარგებლე თუ სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონმდებლობით ან დაზღვევის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. მოსარგებლე არის დაზღვეული, თუ მოსარგებლე არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებით.

6. საკუთრების დაზღვევის ხელშეკრულება მოსარგებლის სასარგებლოდ შეიძლება დაიდოს მოსარგებლის სახელის ან სახელწოდების მიუთითებლად. ასეთი ხელშეკრულების დადებისას დამზღვევს ეძლევა დაზღვევის მოწმობა (პოლისი, სერტიფიკატი და ა.შ.) წარმდგენზე: ამ შემთხვევაში სარგებლობის მიმღებია ის, ვინც წარუდგენს მზღვეველს ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტს.

7. როცა დამზღვევი არ არის დაზღვეული, გარდაცვალებისას ან თავის უფლებებზე უარის თქმის შემთხვევაში ამ უკანასკნელის უფლებები გადადის დამზღვევზე, რასაც მოჰყვება ამ კანონის მე-10 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული შედეგები.

8. მოსარგებლის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადება არ ათავისუფლებს დამზღვევს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 12. სადაზღვევო აგენტი და სადაზღვევო ბროკერი

1. მზღვეველს შეუძლია განახორციელოს სადაზღვევო საქმიანობა სადაზღვევო აგენტისა და სადაზღვევო ბროკერის მეშვეობით.

2. სადაზღვევო აგენტი არის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც მოქმედებს მზღვეველის დავალებით და სახელით, მისთვის მზღვეველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

3. სადაზღვევო ბროკერი არის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ლიცენზიის შესაბამისად ახორციელებს დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას, როგორც თავისი სამეწარმეო საქმიანობის სახეობას.

4. სადაზღვევო ბროკერის ურთიერთობა მზღვეველთან და დამზღვევთან განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

5. აკრძალულია მზღვეველის, სადაზღვევო აგენტის ან სადაზღვევო ბროკერის მიერ უცხოეთის სადაზღვევო ორგანიზაციის სახელით დაზღვევის ხელშეკრულების დადება, გარდა ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებისა, რომელიც გამოიყენება მხოლოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ.

6. სადაზღვევო ბროკერი და სადაზღვევო აგენტი ვალდებული არიან დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას შეატყობინონ მზღვეველს მათთვის ცნობილი ყველა გარემოების შესახებ, რომელთაც მნიშვნელობა აქვს დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისათვის.

თავი III.
მზღვეველის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფა

მუხლი 13. მზღვეველის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის პირობები

მზღვეველის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის საფუძველია მისი საწესდებო კაპიტალის, სადაზღვევო რეზერვებისა და გადაზღვევის სისტემის არსებობა.

მუხლი 14. ეკონომიკური ლიმიტები და ნორმატივები

1. მზღვეველი და სადაზღვევო ბროკერი ვალდებული არიან დაიცვან საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაწესებული, ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური ლიმიტები:

ა) ლიცენზიის აღებისას საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა (მათ შორის, ფულადი ფორმით);

ბ) სადაზღვევო რეზერვებისა და ფონდების შექმნის წესი;

გ) სადაზღვევო რეზერვებისა და ფონდების განთავსებისა და ინვესტირების წესი;

დ) აქტივებსა და აღებულ სადაზღვევო ვალდებულებებს შორის ზღვრული თანაფარდობა;

ე) მოზიდულ ფინანსურ საშუალებებსა და საკუთარ კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობა.

მუხლი 15. მზღვეველის სადაზღვევო რეზერვები და ფონდები

1. აღებული სადაზღვევო ვალდებულებების შესასრულებლად მზღვეველი სადაზღვევო შენატანების საფუძველზე ქმნის მოსალოდნელი სადაზღვევო ანაზღაურებისათვის აუცილებელ რეზერვებს. სადაზღვევო რეზერვებისა და ფონდების ნუსხას და მათი შექმნის წესს ადგენს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

2. სადაზღვევო რეზერვები, რომლებსაც ქმნის მზღვეველი, არ დაიბეგრება.

3. სადაზღვევო რეზერვებისა და ფონდების განთავსებისა და ინვესტირების წესს განსაზღვრავს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

მუხლი 16. მზღვეველის გადახდისუნარიანობის გარანტიები

1. მზღვეველი თავისი გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ვალდებულია დაიცვას ნორმატიული თანაფარდობა აქტივებსა და აღებულ სადაზღვევო ვალდებულებებს შორის. ამ თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდიკას და ნორმატიულ მოცულობას ადგენს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

2. მზღვეველის მიერ სადაზღვევო რეზერვების განთავსება უნდა განხორციელდეს დივერსიფიკაციის, დაბრუნებადობის, სარგებლიანობის და ლიკვიდურობის პირობებით. რეზერვების განთავსების დროს აუცილებელ თანაფარდობას განსაზღვრავს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

მუხლი 17. მზღვეველის აღრიცხვა და ანგარიშგება

სადაზღვევო ოპერაციების მაჩვენებლებსა და ფორმებს, მზღვეველის ანგარიშგებას და მისი წარდგენის ვადებს ადგენს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი IV
სადაზღვევო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება

მუხლი 18. სადაზღვევო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო

1. სადაზღვევო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულია და ფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიზანია: დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა დაზღვევის შესახებ. ეფექტურად განავითაროს სადაზღვევო მომსახურება, დაიცვას მზღვეველების, დამზღვევების, სხვა დაინტერესებული პირების და სახელმწიფოს ინტერესები.

2. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 19. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ფუნქციები

1. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ფუნქციებია: დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სადაზღვევო ორგანიზაციების ქმედუნარიანობის უზრუნველყოფა, რისთვისაც იგი ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

ა) სადაზღვევო, მათ შორის, დაზღვევის სფეროში საბროკერო საქმიანობის ლიცენზირება;

ბ) მზღვეველების, დაზღვევის ბროკერების, არაკომერციულ დაზღვევის ორგანიზაციათა რეესტრის წარმოება;

გ) სადაზღვევო რეზერვებისა და ფონდების ფორმირებისა და განთავსების წესის დადგენა;

დ) ნორმატიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტაციის შექმნა სადაზღვევო საქმიანობის იმ საკითხებზე, რომლებიც ამ კანონის მიხედვით შედის საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის კომპეტენციაში. აგრეთვე მზღვეველების, დამზღვევებისა და სხვა პირების მოთხოვნის შემთხვევაში მათთვის ამ საკითხების განმარტება;

ე) სადაზღვევო საქმიანობის პრაქტიკის განზოგადება, სადაზღვევო ურთიერთობების მარეგულირებელი კანონების და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების, არსებულებში კი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის პროექტების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს სადაზღვევო საქმიანობის განვითარებასა და სრულყოფას, საქართველოს ბაზრის განვითარებისათვის ზრუნვა.

მუხლი 20. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილებანი

1. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილია:

ა) შეამოწმოს მზღვეველისა და სადაზღვევო ბროკერის მიერ ნორმატიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტაციის დაცვა და მათ მიერ განხორციელებული ანგარიშგების უტყუარობა, რისთვისაც მზღვეველისაგან და სადაზღვევო ბროკერისაგან გამოითხოვოს და მიიღოს დადგენილი ანგარიშგება ნორმატივების დაცვაზე კონტროლის მიზნით;

ბ) მზღვეველის მიერ სადაზღვევო კანონმდებლობის დარღვევისას მიუდითოს ამ დარღვევის აღმოფხვრის შესახებ, ხოლო მითითების შეუსრულებლობისას შეაჩეროს ლიცენზიის მოქმედება გამოვლენილი დარღვევის აღმოფხვრის მომენტამდე ან მიიღოს გადაწყვეტილება ლიცენზიის გაუქმების თაობაზე.

მუხლი 21. სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზირება

1. სადაზღვევო საქმიანობის და დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის არსებობისას.

2. სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ იურიდიულ პირზე, რომლის მიზანია დაზღვევა და მასთან დაკავშირებული საქმიანობა, რომლის ჩამონათვალსაც ადგენს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

3. ლიცენზია გაიცემა პირადი, ქონების და პასუხისმგებლობის დაზღვევის როგორც ნებაყოფლობითი, ისე სავალდებულო ფორმით განხორციელებაზე, აგრეთვე გადაზღვევაზე, თუ მზღვეველის საქმიანობის საგანი მხოლოდ გადაზღვევაა, ამასთან, ლიცენზიაში კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული დაზღვევის სახეობა, რომლის განხორციელების უფლებაც აქვს მზღვეველს.

4. სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია გაიცემა კონკრეტულ მზღვეველზე. მისი გადაცემა სხვა იურიდიული პირისათვის დაუშვებელია.

5. ლიცენზია უვადოა და მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

6. იურდიული პირი მზღვეველის (გადამზღვეველის), სადაზღვევო ბროკერის სტატუსს და სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების უფლებას იძენს მხოლოდ ლიცენზიის მიღების შემდეგ.

7. ლიცენზირებას არ საჭიროებს სადაზღვევო აგენტის საქმიანობა, აგრეთვე სადაზღვევო რისკის, ზარალის მოცულობისა და შემთხვევის უტყუარობის შეფასებასთან დაკავშირებული საქმიანობა, დაზღვევის სფეროში საკონსულტაციო და კვლევითი მომსახურება.

8. მზღვეველზე ლიცენზია გაიცემა განცხადების საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

ა) სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლები;

ბ) სახელმწიფო რეგისტრაციის დოკუმენტის ასლი, რომლის მიხედვით, შესაბამისადაც მზღვეველი არის იურიდიული პირი;

გ) ცნობები შევსებული საწესდებო კაპიტალის შესახებ;

დ) მონაცემები ხელმძღვანელი პირების შესახებ;

ე) ბიზნეს-გეგმა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ შემუშავებული ნორმატივების თანახმად, პირობები დაზღვევის სახეობათა მიხედვით, დაზღვევის ხელშეკრულებების (დაზღვევის მოწმობების, პოლისების, სერტიფიკატების და სადაზღვევო ტარიფების) თანდართვით.

9. მზღვეველი (განმცხადებელი) პასუხისმგებელია ლიცენზირებისათვის მიწოდებული დოკუმენტების სისწორეზე.

10. ლიცენზიის ფორმას ადგენს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

11. თუ მზღვეველის (განმცხადებლის) მიერ ლიცენზიის მისაღებად მიწოდებულ დოკუმენტში მოხდა რაიმე ცვლილება, მზღვეველი ვალდებულია 7 დღის ვადაში აცნობოს ამის შესახებ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს, ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტების თანდართვით.

12. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური პრესაში აქვეყნებს შემდეგ მონაცემებს იმ დაზღვევის ორგანიზაციის შესახებ რომელზეც გაიცა ლიცენზია.

ა) სადაზღვევო ორგანიზაციის საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი;

ბ) სადაზღვევო ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;

გ) ლიცენზიის ნომერი, გაცემის თარიღი, აგრეთვე დაზღვევის სახეობა, რომელზეც გაცემულია ლიცენზია.

მუხლი 22. ლიცენზიის მიღებაზე განცხადების განხილვის ვადა

განცხადება ლიცენზიის მიღებაზე უნდა განიხილოს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა ერთ თვეში.

მუხლი 23. მოსაკრებელი ლიცენზიის მისაღებად

სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის წესი და ოდენობა დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 24. უარი ლიცენზიის გაცემაზე

1. ლიცენზია არ გაიცემა, თუ:

ა) ლიცენზიის მისაღებად წარდგენილი საბუთები არ აკმაყოფილებს ამ კანონის 21-ე მუხლის მოთხოვნებს;

ბ) ლიცენზიის მისაღებად მიმართა იურიდიულმა პირმა, რომელსაც ამ კანონის თანახმად არა აქვს საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების უფლება;

გ) სადაზღვევო ორგანიზაციის ხელმძღვანელთან დაკავშირებით არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც უკრძალავს მას სადაზღვევო საქმიანობას.

2. განმცხადებელს ლიცენზიის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში ეძლევა მოტივირებული პასუხი წერილობით, უარის მიზეზების მითითებით.

3. განმცხადებელს ლიცენზიის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში უფლება აქვს გადაწყვეტილება გაასაჩივროს.

მუხლი 25. ლიცენზიის მოქმედების შეჩერება

1. ლიცენზიის მოქმედებას აჩერებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

2. ლიცენზიის მოქმედების შეჩერება იწვევს მზღვეველის მიერ ნებისმიერი დაზღვევის ხელშეკრულების დადების აკრძალვას ლიცენზიის შეჩერების პერიოდში.

3. ლიცენზიის მოქმედება შეიძლება შეჩერდეს ექვს თვემდე ვადით. შემდეგ შემთხვევებში:

ა) კანონმდებლობის დარღვევის აღმოფხვრაზე მითითების შეუსრულებლობისას;

ბ) მზღვეველის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული გადახდისუნარიანობის გარანტიების დაუცველობისას;

გ) მზღვეველის მიერ სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას ისეთი პირობებით, რომლებიც უარეს პირობებს უქმნის დამზღვევს, დაზღვეულს ან მოსარგებლეს, ვიდრე განსაზღვრულია სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონმდებლობით;

დ) მართლსაწინააღმდეგო დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას;

ე) მზღვეველის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა სისტემატური დარღვევა ან შეუსრულებლობისას;

ვ) მზღვეველის მიერ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული დოკუმენტების ამ უკანასკნელისათვის წარდგენაზე უარის თქმისას;

ზ) მზღვეველის მიერ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდებისას;

თ) იმ გარემოების შექმნა, რომელიც ამ კანონის 24-ე მუხლის მიხედვით იქნებოდა ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

4. მზღვეველი უფლებამოსილია გაასაჩივროს სასამართლოში დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის გადაწყვეტილება ლიცენზიის შეჩერების შესახებ.

5. იმ გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ, რომელთა მიზეზითაც შეჩერდა ლიცენზიის მოქმედება, მზღვეველს უფლება აქვს მიმართოს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს ლიცენზიის მოქმედების ვადამდელი აღდგენისათვის.

6. აღნიშნული მიმართვა განხილულ უნდა იქნას საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში წარდგენიდან ერთ თვეში, ხოლო ლიცენზიის მოქმედების ვადამდელი აღდგენის გადაწყვეტილება უნდა გაეგზავნოს მზღვეველს წერილობითი ფორმით.

მუხლი 26. ლიცენზიის ჩამორთმევა და გაუქმება

1. დადგენილ ვადებში მზღვეველის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაც ლიცენზიის მოქმედების შეჩერების საფუძველს წარმოადგენს, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილია მიიღოს ლიცენზიის ჩამორთმევის გადაწყვეტილება.

2. ლიცენზიის ჩამორთმევის ან გაუქმების გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან მზღვეველს არა აქვს უფლება განახორციელოს აკრძალული სადაზღვევო საქმიანობა. გარდა იმ ვალდებულებების შესრულებისა, რომლებიც მას ადრე ჰქონდა აღებული დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად, მათი მოქმედების ვადის გასვლამდე, რის შემდეგაც იგი აბარებს ლიცენზიას მეორე დღეში.

მუხლი 27. დაზღვევის ორგანიზაციის რეორგანიზაციის და მის წესდებაში ცვლილებების შეტანის შედეგები

1. სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის მქონე იურიდიული პირის რეორგანიზაციისას მისი უფლება ლიცენზიაზე გადადის ამ უკანასკნელის სამართალმემკვიდრეზე. ამასთან, ძველის სანაცვლოდ სამართალმემკვიდრეზე გაიცემა შესაბამისი ლიცენზია.

2. განცხადებას ლიცენზიის შეცვლის შესახებ თან ერთვის:

ა) იურიდიული პირის რეორგანიზაციის გადაწყვეტილება;

ბ) მზღვეველის-სამართალმემკვიდრის სახელმწიფო რეგისტრაციის დოკუმენტის ასლი.

3. თუ იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტებში შეიტანება ცვლილებები, რომლებიც არ საჭიროებს იურიდიული პირის ხელახალ რეგისტრაციას, აღნიშნული დოკუმენტების ასლები გაეგზავნება საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს.

მუხლი 28. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის თანამდებობის პირის მიერ მზღვეველის კომერციული და დაზღვევის საიდუმლოებების დაცვა

1. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის თანამდებობის პირს უფლება არა აქვს ამა თუ იმ ფორმით გასცეს მონაცემები, რომლებიც მიეკუთვნება მზღვეველის კომერციულ საიდუმლოებას, აგრეთვე დამზღვევის, დაზღვეულის, მოსარგებლის შესახებ მონაცემები, რომლებიც მიეკუთვნება დაზღვევის საიდუმლოებას და ცნობილი გახდა მისთვის თავისი საქმიანობის განხორციელებისას, ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, მიმდინარე

რიოდში უკავია თუ არა ამ პირს ზემოთ აღნიშნული თანამდებობა.

2. ზემოთ აღნიშნულ საიდუმლოებათა გაცემის შემთხვევაში საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის თანამდებობის პირი პასუხს აგებს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 29. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრება

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში.

მუხლი 30. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან არსებული საკონსულტაციო საბჭო

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან საზოგადოებრივ საწყისებზე იქმნება საკონსულტაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან მზღვეველთა წარმომადგენლები, დამზღვევთა წარმომადგენლები ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებიდან, ეკონომისტები, რომლებიც დაკავებული არიან სადაზღვევო საქმიანობით. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა უნდა განიხილოს საკონსულტაციო საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები.

თავი V

პასუხისმგებლობა დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 31. პასუხისმგებლობა დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

პასუხისმგებლობა დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის დგება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VI

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 32. დაზღვევის ხელშეკრულების ცნება

1. დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად დამზღვევი ვალდებულია დროულად გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია), ხოლო მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გადაუხადოს დამზღვევს ან სხვა პირს, რომლის სასარგებლოდაც დადებულია დაზღვევის ხელშეკრულება სადაზღვევო ანაზღაურება (საზღაური).

2. მხარეთა შეთანხმებით დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს სხვა პირობებსაც.

მუხლი 33. დაზღვევის ხელშეკრულების ფორმა

1. დაზღვევის ხელშეკრულება იდება წერილობით, ქვემოთ ჩამოთვლილი ფორმებით:

ა) მხარეთა მიერ ერთი დოკუმენტის შედგენით;

ბ) დამზღვევის შეერთებით მზღვეველის მიერ დამოუკიდებლად შემუშავებულ ტიპიურ პირობებთან (შეერთების ხელშეკრულება);

გ) მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის დაზღვევის მოწმობის (პოლისი, სერტიფიკატი და ა. შ.) გადაცემით;

დ) სხვა წესით, რომელიც იძლევა შესაძლებლობას დოკუმენტურად დამოწმდეს მხარეთა ხელშეკრულების დადების ნება-სურვილის არსებობა და თანხმობა ამ ხელშეკრულების ყველა პირობაზე.

2. ხელშეკრულების ფორმა განისაზღვრება მზღვეველის მიერ ან მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 34. დაზღვევის ხელშეკრულების შინაარსი

1. დაზღვევის ხელშეკრულება ან მოწმობა უნდა შეიცავდეს:

ა) დოკუმენტის დასახელებას;

ბ) მზღვეველის სახელწოდებას, მის იურიდიულ მისამართს და საბანკო რეკვიზიტებს;

გ) დამზღვევის სახელს, გვარს ან სახელწოდებას, მისამართს;

დ) დაზღვევის ობიექტის მითითებას;

ე) სადაზღვევო რისკის განსაზღვრას;

ვ) სადაზღვევო თანხის ოდენობას;

ზ) სადაზღვევო შესატანის (პრემიის) მოცულობას, მისი გადახდის წესსა და ვადას;

თ) მონაცემებს დაზღვეულის ან მოსარგებლის შესახებ, თუ ისინი მონაწილეობენ ხელშეკრულებაში;

ი) ხელშეკრულების მოქმედების ვადას;

კ) ხელშეკრულების შეცვლის ან მოშლის წესს.

2. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს სხვა პირობებიც.

3. თუ დაზღვევის ხელშეკრულება ითვალისწინებს დამზღვევისათვის კანონმდებლობით დადგენილზე უარეს პირობებს, მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი პირობები.

მუხლი 35. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედება

1. დაზღვევის ხელშეკრულება მოქმედებს სადაზღვევო შესატანის გადახდის მომენტიდან, ხოლო მისი განვადებით გადახდისას — პირველი სადაზღვევო შესატანის გადახდის მომენტიდან, თუ ხელშეკრულებით ან კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედება წყდება პირველი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო ანაზღაურების სრულად გადახდის მომენტიდან, თუ ხელშეკრულებით ან კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. დაზღვევის ტერიტორია ემთხვევა საქართველოს ტერიტორიას, თუ დაზღვევის ობიექტის ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს ან თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 36. მზღვეველის ვალდებულებანი

1. მზღვეველი ვალდებულია:

ა) გააცნოს დამზღვევს დაზღვევის ხელშეკრულების (მოწმობის) პირობები;

ბ) სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გადაიხადოს სადაზღვევო ანაზღაურება ამ კანონის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;

გ) აუნაზღაუროს დაზღვეულს სადაზღვევო თანხის ფარგლებში ხარჯები, რომლებიც ამ უკანასკნელმა გასწია დაზღვეულის ქონებისათვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად ან ზიანის შესამცირებლად, თუ ამ ხარჯების გაწევა აუცილებელი იყო და მათი გაწევა მოხდა მზღვეველთან შეთანხმებით. მიუხედავად იმისა, გამოილო თუ არა რაიმე შედეგი ხარჯების გაწევამ; ამასთან, ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მიყენებული ზიანის ოდენობას. მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან ზიანის იმ ნაწილში, რომელიც წარმოიქმნა დამზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის შედეგების შესამცირებლად ზომების განზრახ მიუღებლობის გამო;

დ) არ გასცეს დაზღვევის შედეგად მიღებული მონაცემები დამზღვევის, დაზღვეულის ან მოსარგებლის, მათი ჯანმრთელობისა და მატერიალური მდგომარეობის შესახებ. ეს ინფორმაცია შეიძლება მიეცეს მხოლოდ დამზღვევს დაზღვეულს ან მოსარგებლეს, ხოლო სასამართლო, საგამოძიებო ორგანოებს და საგადასახადო სამსახურებს — მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

2. დაზღვევის ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს მზღვეველის სხვა ვალდებულებებიც.

მუხლი 37. დამზღვევის ვალდებულებანი

1. დამზღვევი ვალდებულია:

ა) გადაიხადოს სადაზღვევო შესატანები ამ კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;

ბ) დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას შეატყობინოს მზღვეველს მისთვის ცნობილი ყველა გარემოების შესახებ, რომელთაც მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის და ამ შემთხვევით მიყენებული ზიანის ალბათობის შეფასებისათვის. აგრეთვე ხელშეკრულების დადების შემდეგ რისკის გაზრდის შესახებ;

გ) მიიღოს ზომები ქონების გადარჩენისა და შენარჩუნებისათვის, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ და უზრუნველყოს ქონების დაზღვევისას ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ რეგრესის უფლების რეალიზაცია;

დ) ქონების ორმაგი დაზღვევისას აცნობოს მზღვეველს ამ ობიექტის მიმართ დაზღვევის სხვა ხელშეკრულების მოქმედების შესახებ.

2. დაზღვევის ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს დამზღვევის სხვა ვალდებულებებიც.

მუხლი 38. სადაზღვევო შემთხვევა

1. სადაზღვევო შემთხვევა არის მოვლენა, რომლის დადგომისას დაზღვევის ხელშეკრულება ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას.

2. სავალდებულო დაზღვევისას სადაზღვევო შემთხვევის სახეობანი განისაზღვრება სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონმდებლობით, ხოლო ნებაყოფლობითი დაზღვევისას — მხარეთა შეთანხმებით.

3. მოვლენა, რომელიც განხილულია, როგორც სადაზღვევო შემთხვევა, უნდა შეიცავდეს შესაძლებლობისა და შემთხვევითობის ნიშნებს.

4. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის და ამ შემთხვევით მიყენებული ზარალის დასაბუთება ეკისრება დამზღვევს.

მუხლი 39. სადაზღვევო შესატანი (პრემია)

1. სადაზღვევო შესატანი არის თანხა დაზღვევისათვის, რომელიც დამზღვევმა უნდა გადაუხადოს მზღვეველს.

2. სადაზღვევო შესატანის გადახდის ვალდებულება არც კანონმდებლობით და არც ხელშეკრულებით არ შეიძლება დაეკისროს დაზღვეულს, თუ ის არ არის დამზღვევი, ან მოსარგებლეს სავალდებულო დაზღვევისას სადაზღვევო შესატანი არ შეიძლება იყოს კანონით დადგენილზე მეტი.

3. სადაზღვევო შესატანის ოდენობა, მისი გადახდის წესი და ვადა ნებაყოფლობითი დაზღვევისას დგინდება ხელშეკრულებით, ხოლო სავალდებულო დაზღვევისას — კანონმდებლობით.

4. სადაზღვევო შესატანის განსაზღვრისას მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ მზღვეველის მიერ შემუშავებული სადაზღვევო ტარიფები, რომლებიც განსაზღვრავს შესატანის სიდიდეს, რომელიც გამოიანგარიშება სადაზღვევო თანხის ერთეულიდან დაზღვევის ობიექტისა და დასაზღვევი რისკის ხასიათის გათვალისწინებით.

5. ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს სადაზღვევო შესატანის განვადებით გადახდას.

6. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში სადაზღვევო შესატანის გადაუხდელობა გამოიწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7. სადაზღვევო შესატანი მეწარმისათვის წარმოადგენს საწარმოო ხარჯებს და მიეკუთვნება თვითღირებულებას, ხოლო არამეწარმე ფიზიკური პირისათვის — აკლდება დასაბეგრ თანხას.

მუხლი 40. სადაზღვევო თანხა და სადაზღვევო ანაზღაურება

1. სადაზღვევო თანხა არის დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული ან კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი ფულადი სახსრების ჯამი, რომელიც წარმოადგენს მზღვეველის ვალდებულებათა ზღვრულ მოცულობას სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას და რომლისგანაც დგინდება სადაზღვევო შესატანისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა.

2. სადაზღვევო ანაზღაურება არის საზღაური სადაზღვევო თანხის ფარგლებში, რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი იხდის დამზღვევის სასარგებლოდ.

3. სადაზღვევო თანხისა და სადაზღვევო ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება ხელშეკრულებით, სავალდებულო დაზღვევისას ისინი არ შეიძლება იყოს კანონმდებლობით დადგენილზე ნაკლები.

საქართველოს კანონი

დაზღვევის შესახებ

4. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის წესი და ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებით.

5. ქონების დაზღვევისას სადაზღვევო თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს ქონების ღირებულებას (სადაზღვევო ღირებულებას) ხელშეკრულების დადების მომენტში. მხარეებს არ შეუძლიათ იდავონ ხელშეკრულებით განსაზღვრული ქონების სადაზღვევო ღირებულების შესახებ იმ შემთხვევის გარდა, როცა მზღვეველი დაამტკიცებს, რომ იგი შეცდომაში შეიყვანა დამზღვევმა. თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო თანხა აღემატება ქონების სადაზღვევო ღირებულებას, დაზღვევის ხელშეკრულება ბათილია სადაზღვევო თანხის იმ ნაწილში, რომლითაც ის აღემატება ქონების ღირებულებას ხელშეკრულების დადების მომენტში.

6. ქონების ან პასუხისმგებლობის დაზღვევისას სადაზღვევო ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს დამზღვევისათვის (დაზღვეულისათვის) სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული რეალური ზიანის მოცულობას.

7. თუ სადაზღვევო თანხა ნაკლებია ქონების სადაზღვევო ღირებულებაზე, სადაზღვევო ანაზღაურების მოცულობა მცირდება ქონების სადაზღვევო თანხის მის სადაზღვევო ღირებულებასთან შეფარდების პროპორციულად, თუ დაზღვევის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

8. ქონების დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს მზღვეველის გადაწყვეტილებით სადაზღვევო ანაზღაურების შეცვლას ზიანის (მთლიანად ან ნაწილობრივ) ნატურალური ფორმით კომპენსაციით (სადაზღვევო ანაზღაურების ფარგლებში) ან საერთოდ, ზიანის კომპენსაციას ნატურალური ფორმით.

9. პირადი დაზღვევისას სადაზღვევო თანხა განისაზღვრება დამზღვევისა და მზღვეველის ურთიერთშეთანხმებით. პირადი დაზღვევისას დამზღვევს (დაზღვეულს, მოსარგებლეს) გადაეხდება სადაზღვევო ანაზღაურება მიუხედავად იმისა, ეკუთვნის თუ არა მას თანხა სოციალური დაზღვევით, სხვა დაზღვევის ხელშეკრულებით ან ზიანის ანაზღაურების წესით.

მუხლი 41. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის წესი და პირობები

1. მზღვეველი სადაზღვევო ანაზღაურებას იხდის დაზღვევის ხელშეკრულების ან კანონის შესაბამისად. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველია დამზღვევის განცხადება და სადაზღვევო აქტი (ავარიული სერტიფიკატი), თუ დაზღვევის ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სადაზღვევო აქტს ადგენს მზღვეველი ან მისი უფლებამოსილი პირი. საჭიროების შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული მონაცემები მოსთხოვოს სამართალდამცავ ორგანოებს, სამედიცინო დაწესებულებებს და სხვა საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის გარემოებათა შესახებ. მზღვეველს აგრეთვე უფლება აქვს დამოუკიდებლად გაარკვიოს სადაზღვევო შემთხვევის მიზეზები და გარემოებები.

2. საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ვალდებული არიან მიაწოდონ მზღვეველს ამ უკანასკნელის მოთხოვნის საფუძველზე სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული მონაცემები. იმ მონაცემების ჩათვლით, რომლებიც წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას; ამასთან, მზღვეველს ეკისრება პასუხისმგებლობა ამ საიდუმლოების ნებისმიერი ფორმით გაცემისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უზრუნველყოს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

მუხლი 42. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარის თქმა

1. მზღვეველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ უარი უთხრას დამზღვევს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე. თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგა:

ა) დამზღვევის, დაზღვეულის, მოსარგებლის ქმედობით, რომელმაც ხელი შეუწყო სადაზღვევო შემთხვევის დადგომას, გარდა იმ ქმედობისა, რომელიც ჩადენილი იყო პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებებში;

ბ) დამზღვევის, დაზღვეულის, მოსარგებლის ქმედობით, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულია, როგორც განზრახ დანაშაული ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და რომელიც სადაზღვევო შემთხვევასთან მიზეზობრივ კავშირშია;

გ) საომარი მოქმედებით, მასთან დაკავშირებული სამხედრო ღონისძიებებით, რომლებიც ასეთებად აღიარებულია კანონმდებლობით, თუ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული საომარი რისკის დაზღვევა.

2. მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარის თქმა შეუძლია აგრეთვე:

ა) თუ დამზღვევმა მზღვეველს დაზღვევის ობიექტის, სადაზღვევო შემთხვევის და მისი შედეგების შესახებ ცრუ ცნობები მიაწოდა;

ბ) თუ დამზღვევმა განზრახ არ მიიღო ზომები სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზღვევის ობიექტის გადასარჩენად;

გ) თუ ქონების დაზღვევისას დამზღვევს შესაბამისი ზიანი აუნაზღაურეს იმ პირებმა, რომელთაც ბრალი მიუძღვით ზიანის მიყენებაში;

დ) თუ დამზღვევმა მზღვეველს წინააღმდეგობა გაუწია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებების გამოკვლევასა და დაზღვევის ობიექტისათვის ამ სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის მოცულობის დადგენაში;

ე) ამ კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ვ) კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

3. მზღვეველის გათავისუფლება დამზღვევისათვის სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან ამ უკანასკნელის არამართლზომიერი მოქმედების მოტივით, როგორც განსაზღვრულია ამ კანონით, მზღვეველს იმავდროულად ათავისუფლებს დაზღვეულისათვის ან მოსარგებლისათვის სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან.

4. დაზღვევის ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული სხვა პირობებიც სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარის თქმისათვის, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

5. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარის თქმის გადაწყვეტილებას იღებს მზღვეველი, რომელიც დამზღვევს წერილობითატყობინებს უარის თქმის მიზეზებს დასაბუთებული მოტივირებით.

6. მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 43. რეგრესული მოთხოვნის უფლება

1. მზღვეველზე, რომელმაც ქონების დაზღვევისას გადაიხადა სადაზღვევო ანაზღაურება, გადადის რეგრესული მოთხოვნის უფლება ამ ანაზღაურების ფარგლებში მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ. დამზღვევი (დაზღვეული) ვალდებულია სადაზღვევო ანაზღაურების მიღებისას გადასცეს მზღვეველს მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი, რომელიც საჭიროა ამ მოთხოვნის რეალიზაციისათვის.

2. დამზღვევის მიერ ზიანზე პასუხისმგებელი პირისათვის უარის თქმა პრეტენზიებზე ან იმ უფლებებზე, რომლებიც უზრუნველყოფს მის მიმართ მოთხოვნების რეალიზაციას. აგრეთვე უარის თქმა მზღვეველისათვის, გადასცეს ამ უკანასკნელს რეგრესული მოთხოვნის წასაყენებლად საჭირო დოკუმენტები. ათავისუფლებს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან იმ ოდენობით, რომელიც მას შეეძლო მიეღო ზიანზე პასუხისმგებელი პირისაგან რეგრესის წესით.

3. დამზღვევი უფლებამოსილია დაუთმოს მზღვეველს ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ მოთხოვნის უფლება სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის ზემოთ. აგრეთვე გადასცეს სხვა უფლება ამ პირის მიმართ. ამ უფლების გადასვლა მზღვეველზე შეიძლება განსაზღვრული იყოს დაზღვევის ხელშეკრულებით.

4. დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ შეუძლია მზღვეველის ნებართვით გადასცეს ამ უკანასკნელს თავისი უფლებები დაზღვეულ ქონებაზე და მიიღოს ანაზღაურება სადაზღვევო თანხის სრული მოცულობით.

მუხლი 44. დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტა

1. სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, დაზღვევის ხელშეკრულება წყდება აგრეთვე, თუ:

ა) ხელშეკრულების ვადა გავიდა;

ბ) მზღვეველმა დამზღვევისადმი ხელშეკრულებით აღებული პასუხისმგებლობა მთლიანი მოცულობით შეასრულა;

გ) დაზღვევის ობიექტის არსებობა შეწყდა;

დ) დაზღვეული, რომელიც არ არის დამზღვევი, გარდაიცვალა, თუ არ მოხდა მისი შეცვლა;

ე) დამზღვევმა სრული სადაზღვევო შესატანი ან მორიგი სადაზღვევო შესატანები განსაზღვრული ვადისათვის არ გადაიხადა, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ვ) დამზღვევმა ქონების დაზღვევის ობიექტი გაასხვისა, რადგან მზღვეველმა უარი თქვა დამზღვევის შეცვლაზე, ხოლო ხელშეკრულებით ან კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი;

ზ) სასამართლომ ბათილად ცნო დაზღვევის ხელშეკრულება;

თ) მზღვეველი გაკოტრდა.

2. დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს დამზღვევის ან მზღვეველის მოთხოვნით, თუ ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.

3. დაზღვევის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის განზრახვის შესახებ მხარეებმა ერთმანეთს უნდა აცნობონ ხელშეკრულების შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე სულ ცოტა 30 დღით ადრე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. დამზღვევის მოთხოვნით დაზღვევის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მზღვეველი უბრუნებს მას დარჩენილი სადაზღვევო ვადის შესაბამის სადაზღვევო შენატანებს, გაწეული ხარჯების გამოკლებით. თუ დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნა განპირობებულია მზღვეველის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების პირობების დარღვევით, მზღვეველი უბრუნებს დამზღვევს მის მიერ გადახდილ სადაზღვევო შენატანებს მთლიანი მოცულობით.

5. მზღვეველის მოთხოვნით, დაზღვევის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მზღვეველი უბრუნებს დამზღვევს მის მიერ გადახდილ სადაზღვევო შენატანებს მთლიანი მოცულობით, გაწეული ხარჯების გამოკლებით. თუ მზღვეველის მოთხოვნა განპირობებულია დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების დარღვევით, მზღვეველი უბრუნებს დამზღვევს დარჩენილი სადაზღვევო ვადის შესაბამის სადაზღვევო შენატანებს, გაწეული ხარჯების გამოკლებით.

მუხლი 45. დაზღვევის ხელშეკრულების ბათილობა

1. სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული გარიგების ბათილობის საერთო საფუძვლების გარდა, დაზღვევის ხელშეკრულება მისი დადების მომენტიდან ბათილად ითვლება, აგრეთვე, თუ:

ა) ხელშეკრულების დადებისას არ არსებობდა დაზღვევის ობიექტი;

ბ) დაზღვევის ობიექტი არის დამზღვევის მართლსაწინააღმდეგო ინტერესი;

გ) დაზღვევის ობიექტი არის ქონება, რომელიც ექვემდებარება კონფისკაციას სასამართლოს შესაბამისი, კანონიერი, ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;

დ) დაზღვევის ობიექტი არის ქონება, რომელიც დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული ან, რომელიც გამოიყენება დანაშაულებრივი საქმიანობისათვის;

ე) სადაზღვევო შემთხვევად მიჩნეულია მოვლენა, რომლის დადგომაც მოკლებულია შესაძლებლობის ან შემთხვევითობის ნიშნებს (ამ კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი) და რომლის მოხდენაც ობიექტური და გარდაუვალია, რის შესახებაც მხარეებმა ან უკიდურეს შემთხვევაში — დამზღვევმა წინასწარ იცოდა;

ვ) დამზღვევი ხელშეკრულების დადებისას ხელმძღვანელობდა არამართლზომიერი სარგებლის მიღების მიზნით;

ზ) დაზღვევის ხელშეკრულება დაიდო სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ.

მუხლი 46. დამზღვევის შეცვლა

1. იმ დამზღვევის გარდაცვალების შემთხვევაში, რომელმაც დადო ქონების დაზღვევის ხელშეკრულება, მისი უფლებები და მოვალეობანი გადადის ამ ქონების მემკვიდრეობით მიმღებ პირზე. საკუთრების უფლების გადასვლის სხვა შემთხვევაში დამზღვევის უფლებები და მოვალეობანი გადადის ახალ მესაკუთრეზე, თუ ხელშეკრულებით ან კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. იმ დამზღვევის გარდაცვალების შემთხვევაში, რომელმაც დადო პირადი დაზღვევის ხელშეკრულება დაზღვეულის სასარგებლოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობანი გადადის დაზღვეულზე. ამ უკანასკნელის თანხმობით.

3. თუ დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სასამართლო ცნობს ქმედუუნაროდ, მისი უფლებები და მოვალეობანი გადადის მის მეურვეზე. ამასთან, მესამე პირისადმი პასუხისმგებლობის დაზღვევა წყვეტს მოქმედებას მოქალაქის ქმედუუნაროდ ცნობისთანავე.

4. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დამზღვევის, როგორც იურიდიული პირის რეორგანიზაციისას მისი უფლებები და მოვალეობანი მზღვეველის თანხმობით გადადის შესაბამის სამართალმემკვიდრეზე კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 47. დაზღვეულის შეცვლა

1. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას, როდესაც დაზღვეულია იმ პირის პასუხისმგებლობა, რომელიც არ არის დამზღვევი, დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს დაზღვეული სხვა პირით. მზღვეველს ეცნობება ამის შესახებ, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. დაზღვეული, რომელიც არ არის დამზღვევი და რომელიც დასახელებულია პირადი ან ქონების დაზღვევის ხელშეკრულებაში, შეიძლება შეიცვალოს სხვა პირით მხოლოდ დაზღვეულის და მზღვეველის თანხმობით.

3. თუ მესამე პირის დაზღვევა გამომდინარეობს სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონმდებლობიდან, დაზღვეულის შეცვლა ხორციელდება აღნიშნული კანონმდებლობით დადგენილი წესით და ამ კანონმდებლობაზე დაფუძნებული ხელშეკრულებით.

მუხლი 48. მოსარგებლის შეცვლა

1. დამზღვევი დაზღვეულის მოთხოვნით უფლებამოსილია, მზღვეველისათვის წინასწარ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე ნებისმიერ დროს სხვა პირით შეცვალოს დაზღვევის ხელშეკრულებაში დასახელებული მოსარგებლე, რომელიც არ არის დაზღვეული.

2. მოსარგებლე არ შეიძლება შეიცვალოს სხვა პირით დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარკვეული მოვალეობების შესრულების შემდეგ, რომლებიც გამომდინარეობს დაზღვეულსა და მოსარგებლეს შორის არსებული შეთანხმებიდან, აგრეთვე მას შემდეგ, რაც მოსარგებლე წარუდგენს მზღვეველს სადაზღვევო სარჩელს.

მუხლი 49. ორმაგი (მრავალმხრივი) დაზღვევა

1. ორმაგი დაზღვევა არის ერთი და იმავე დაზღვევის ობიექტის დაზღვევა ორ ან რამდენიმე მზღვეველთან, როდესაც სადაზღვევო თანხის საერთო ოდენობა აღემატება სადაზღვევო ღირებულებას.

2. ორმაგი ქონების დაზღვევისას ორივე მზღვეველი დამზღვევს უხდის სადაზღვევო ანაზღაურებას მასთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.მაგრამ სადაზღვევო ანაზღაურების საერთო ოდენობა, რომელსაც მიიღებს დამზღვევი ორივე მზღვეველისაგან, არ უნდა აღემატებოდეს რეალურ ზიანს.

3. დამზღვევი უფლებამოსილია მზღვეველთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის ფარგლებში მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება ნებისმიერი მზღვეველისაგან. იმ შემთხვევაში, თუ მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება არ ფარავს რეალურ ზიანს, დამზღვევი უფლებამოსილია მიიღოს დარჩენილი თანხა მეორე (დანარჩენი) მზღვეველისაგან.

4. მზღვეველი, რომელიც სრულიად ან ნაწილობრივ გათავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისგან იმ მიზეზით, რომ ზიანზე აანაზღაურა სხვა მზღვეველმა, ვალდებულია დამზღვევის მოთხოვნის შემთხვევაში დაუბრუნოს დამზღვევს სადაზღვევო შესატანების შესაბამისი ნაწილი გაწეული ხარჯების გამოკლებით.

5. ერთი და იმავე დაზღვევის ობიექტის სხვადასხვა მზღვეველთან ორმაგი დაზღვევისას, განსხვავებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო პასუხისმგებლობა ეკისრება იმ მზღვეველს, რომელთანაც დადებული ხელშეკრულებაც მოიცავს დამდგარ სადაზღვევო შემთხვევას.

6. ორმაგი პირადი დაზღვევისას თითოეული მზღვეველი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ასრულებს თავის სადაზღვევო პასუხისმგებლობას დამზღვევის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ სხვა მზღვეველებიც ასრულებენ იმავე პასუხისმგებლობას.

მუხლი 50. კოლექტიური დაზღვევა

1. კოლექტიური დაზღვევისას ერთი ხელშეკრულება მოიცავს რამდენიმე დაზღვეულს.

2. კოლექტიური დაზღვევა შეიძლება იყოს როგორც პირადი, ისე ქონების, განპიროვნებული ან გაუპიროვნებელი, და მოიცავდეს პიროვნებათა გარკვეულ კატეგორიას.

3. გაუპიროვნებელი დაზღვევისას დამზღვევთა წრე დაზღვევის ხელშეკრულებაში იმდენად უნდა იყოს კონკრეტიზებული, რამდენადაც ეს საჭიროა სადაზღვევო შემთხვევის ინდივიდუალიზაციისათვის და შემთხვევის შედეგების დადგენისათვის.

4. კოლექტიური დაზღვევის დამქირავებელმა შეიძლება დააზღვიოს თავისი თანამშრომლები მხოლოდ პირადი დაზღვევით.

მუხლი 51. თანადაზღვევა

1. დაზღვევის ობიექტი შეიძლება დააზღვიოს რამდენიმე მზღვეველმა ერთი ხელშეკრულებით (თანადაზღვევა). ამასთან, ხელშეკრულებაში დაფიქსირებული უნდა იყოს ყველა მზღვეველის უფლებები და მოვალეობანი სადაზღვევო რისკში მათი წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად.

2. თანამზღვეველებმა შეიძლება დადონ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ერთ-ერთი მათგანი — თანამზღვეველთა ლიდერი წარმოადგენს ყველა თანამზღვეველს დამზღვევთან ურთიერთობაში. ამასთან, თანამზღვეველთა ლიდერი პასუხისმგებელია დამზღვევის მიმართ მხოლოდ თავისი წილის შესაბამისად.

მუხლი 52. სადაზღვევო კავშირები და ამხანაგობები

1. მზღვეველებს შეუძლიათ შექმნან კავშირები (ასოციაციები) თავიანთი საქმიანობის კოორდინაციის, თავიანთი წევრების ინტერესების დაცვისა და ერთობლივი პროგრამების განხორციელების მიზნით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

2. მზღვეველთა კავშირები არიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები და უფლება არა აქვთ უშუალოდ განახორციელონ სადაზღვევო საქმიანობა.

3.კავშირები თავიანთი სახელმწიფო რეგისტრაციის შემდეგ ატყობინებენ ამის შესახებ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს.

4.მზღვეველებს შეუძლიათ შექმნან სახელშეკრულებო გაერთიანებები (ამხანაგობები), რომლებიც არ არიან იურიდიული პირები და მოქმედებენ სახელშეკრულებო გაერთიანების წევრების ერთობლივი პასუხისმგებლობის საფუძველზე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების თანახმად.

მუხლი 53. გადაზღვევა

1. მზღვეველი უფლებამოსილია, დამზღვევის მიმართ თავისი ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი განხორციელებისათვის უზრუნველყოს რისკის დაფარვა სხვა მზღვეველთაგან (გადამზღვეველთან) გადაზღვევის მეშვეობით.

2. მზღვეველი, მიუხედავად დადებული გადამზღვევის ხელშეკრულებისა, დამზღვევის წინაშე პასუხისმგებელია დაზღვევის ხელშეკრულების მთელი მოცულობით.

3. გადაზღვევის პირობები განისაზღვრება მზღვეველსა და გადამზღვეველს შორის დადებული ხელშეკრულებით. გადაზღვევის ხელშეკრულება უნდა პასუხობდეს დაზღვევის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ იმ მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრულია ამ კანონით.

4. რისკის გადაზღვევა როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის დაზღვევის ორგანიზაციებში შესაძლებელია ამ კანონით განსაზღვრული წესით.

5. გადაზღვევის ორგანიზებისათვის მზღვეველებს ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე შეუძლიათ გაერთიანდნენ გადაზღვევის ამხანაგობაში.

6. რისკების გადაზღვევა შესაძლებელია როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის მზღვეველებთან (გადამზღვეველებთან), ამ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 54. დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავების განხილვა

დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ ან მისგან გამომდინარე ყველა დავას განიხილავს სასამართლო, კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

მუხლი 55. 32-54-ე მუხლების ამოქმედების ვადა

საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს ამ კანონის 32-54-ე მუხლები.

თავი VII

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 55. ძალადაკარგული აქტების ნუსხა

1. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., № 36, მუხ. 662) 193-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 195-ე მუხლის მე-4 ნაწილი და ოცდამეთორმეტე თავი;

ბ) „მგზავრთა სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 20 ოქტომბრის № 747 დადგენილება;

გ) „საწარმოებისა და ორგანიზაციების (ბიუჯეტზე მყოფთა გარდა) ხარჯზე საწარმო უბედური შემთხვევისაგან მუშა-მოსამსახურეთა სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 27 დეკემბრის № 941 დადგენილება;

დ) „სახელმწიფო საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შემოღების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 16 მარტის № 154 დადგენილება;

ე) „სასოფლო-სამეურნეო კულტურების სავალდებულო დაზღვევის შემოღების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 26 აგვისტოს №523 დადგენილება;

ვ) „საქართველოს მოსახლეობის საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა რეგისტრაციისა და შესაბამისად მათზე პირადობის მოწმობის, ბინადრობის მოწმობისა და საზღვარგარეთ გასასვლელი ქართული პასპორტების გაცემის კამპანიის დაწყების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 5 აგვისტოს № 512 დადგენილების მე-17 პუნქტი.

2. ამ კანონის ამოქმედების მომენტიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს ყველა სამართლებრივი აქტი ან აქტის ცალკეული ნაწილი, რომლებიც არ შეესაბამება ამ კანონს.

მუხლი 57. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1997 წლის 2 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკა
№121. ოთხშაბათი, 28 მაისი, 1997 წელი.

რუსეთის 42-ე თავდაცვის მინისტრი დარწმუნებულია: ჯარი უფულოდაც გაიტანს თავს

მთავარმა მერაკეტემ მიზანში მოარტყა.

ნამსახურობის სია

სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების მთავარსარდალი, არმიის გენერალი იგორ სერგეევი ამ თანამდებობაზე დაინიშნა 1992 წლის 22 აგვისტოს. დაიბადა 1938 წელს, ეროვნებით რუსია.

ჯარში მსახურობს 1955 წლიდან, გაიარა ყველა საფეხური — ოცმეთაურიდან სარაკეტო ჯარების მთავარსარდლამდე. დამთავრებული აქვს ჩერნომორსკის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის საინჟინრო ფაკულტეტი — 1955 წელს, ძერჟინსკის სახელობის სამხედრო აკადემია — 1973 წელს, გენშტაბის სამხედრო აკადემია — 1980 წელს.

გენერალ-პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა 1994 წელს. საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობა არ მიუღია.

არბატზე მდებარე კაბინეტის ახალი პატრონი

სამხედრო უწყების ანალიტიკოსთა დახასიათებით, იგორ სერგეევი ერთ-ერთი ყველაზე ფრთხილი მთავარსარდალია. ამ გენერლის მეფასებები ყოველთვის გამოირჩეოდა ზომიერებით და არასდროს არ გამოუმჟღავნებია მისთვის მინდობილი ჯარების რეალური მდგომარეობა.

მიმდინარე წლის თებერვალში იგორ როდიონოვმა განაცხადა, რომ არმიის ახლანდელი დაფინანსების პირობებში სულ უფრო ხშირად იჩენს თავს პრობლემები სტრატეგიული სარაკეტო ჯარების მართვის სისტემებსა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე სარაკეტო ჯარებმა დაჰკარგეს „თვალები და ყურები" ძირითადი კოსმოსური თანამგზავრებისა და კრასნოიარსკის, მუკაჩევოს, სკრუნდისა და გაბალინსკის რაკეტსაწინააღმდეგო თვალთვალის სადგურების არასაკმარისი დაფინანსების შედეგად. როდიონოვის ამ განცხადებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია კრემლში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ, შეერთებულ შტატებშიც, ჩერნომირდინ-გორის შეხვედრაზე. ცოტა ხნის შემდეგ ამას მოჰყვა სერგეევის დამამშვიდებელი განცხადება, რომ მასთვის მინდობილ ჯარებში ყველაფერი რიგზეა. სტრატეგიული სარაკეტო ჯარების მთავარსარდალმა, ეტყობა, არ ცნო საჭიროდ ეთქვა, რომ წელს ბირთვული რაკეტების ერთ-ერთი საცავის პერსონალმა გაფიცვა გამოაცხადა უსახსროდ არსებობის შეუძლებლობის გამო. მიიღო რა ეს ინფორმაცია, რუსეთის ხელმძღვანელობამ მოაწყო სარაკეტო ჯარების ყველა მართვის პუნქტის ტოტალური შემოწმება, კომისიის მეთაურმა ჩერნომირდინმა შედეგები ელცინს მოახსენა, მაგრამ საბოლოო დასკვნა არ გამოქვეყნებულა.

სწორედ სერგეევს ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა არმიის დაფინანსების გამო: „ფულით სულელიც გაიტანს თავს, უნდა ვისწავლოთ უფულოდ ცხოვრება". მთავარსარდალმა მართლაც გაამკაცრა მატერიალური სახსრების ხარჯვის რეჟიმი — დღეს სარაკეტო ჯარებზე სამხედრო ბიუჯეტის მხოლოდ 6 პროცენტი მოდის.

პოლიტიკური შეხედულებებით, სერგეევი სავსებით შეიძლება მივაკუთვნოთ „დასავლელებს". იგი ყოველთვის იჩენს ლოიალობას ხელისუფლების მიმართ, ცდილობს ფარეატერში მისდიოს პრეზიდენტს საკითხებზე, რომლებიც რუსეთის ბირთვულ პოლიტიკას ეხება. თუ როდიონოვი მე-2 ხელშეკრულების რატიფიკაციას დაუპირისპირდა და ამტკიცებდა მის მავნებლობას რუსეთისათვის, სერგეევი ამჯობინებდა, არ გამოეთქვა თავისი აზრი ამის თაობაზე, რითაც თავდაცვის სამინისტროსა და გენშტაბის ოფიცრებსა და გენერლებს მორის შემთანხმებლობის ეჭვები წარმოშვა.

თავის გამოსვლებში მთავარი მერაკეტე მუდამ მოუწოდებდა გენერალიტეტს არ ეწუწუნა და ეძებნა რეზერვები უწყების შიგნით. არაერთგზის მიუცია პირადი მაგალითი, კერძოდ, მოუწოდებდა გამოეყენებინათ სტრატეგიული დანიშნულების ჯარების პირადი შემადგენლობა სარაკეტო მახტების გასანადგურებლად.

ახალი თავდაცვის მინისტრი არ არის შემჩნეული კორუფციაში. იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც პრესა შეეცადა ემხილებინა სერგეევი, რომ იგი ხელს უწყობს თავისი შვილის კომერციულ საქმიანობას, რომელსაც სავაჭრო ფარდულების ქსელი გაუხსნია სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე. მაგრამ საქმისთვის მსვლელობა არ მიუციათ: ან გენერალმა გამოიტანა სათანადო დასკვნები, ანდა, ფაქტები არ დადასტურდა. რაც უნდა იყოს, არბატის კაბინეტებში უკვე ლაპარაკობენ, რომ არმიაში კორუფციის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის გაგრძელებას არ უნდა მოელოდნენ: ფრთხილი სერგეევი არ აიტკიებს თავს და არ გაიფუჭებს ურთიერთობას გენერლებთან.

1998 წლის აპრილში სერგეევს 60 შეუსრულდება. და კანონით, იგი უნდა დაითხოვონ არმიიდან. თავდაცვის სამინისტროსა და გენშტაბის გენერლების აზრით, ამ ერთი წლის განმავლობაში მინისტრი კეთილსინდისიერად შეასრულებს თავდაცვის საბჭოდან და კრემლიდან მიღებულ მითითებებს, ამასთანავე, სამინისტროში დარწმუნებული არიან, რომ არმიის შემცირება უფულოდ კიდევ უფრო ძვირი დაჯდება — როგორც სახელმწიფოსათვის, ისე თვით ჯარებისათვის. გახდება სერგეევი კრემლის მორიგი მძევალი?

ვინ არის გენერალი კვაშნინი?

ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ანატოლი კვაშნინი გენშტაბის უფროსად დაინიშნა. იგი ახალგაზრდაა, კარგად არის მომზადებული სამხედრო თვალსაზრისით — ოლქის სარდლობამდე იყო გენშტაბის მთავარი ოპერატიული სამმართველოს უფროსის მოადგილე, კარიერისტი ამ სიტყვის კარგი მნიშვნელობით. კვაშნინს არ მიჰყვება „აგარაკების" კუდი, იგი იმ თითო-ოროლა გენერალთა რიცხვს განეკუთვნება, ვინც ავტორიტეტით სარგებლობდა ჩეჩნეთში მოქმედ ჯარებში. აქამდე, კვაშნინს გენშტაბის უფროსად დანიშვნას უპირებდა პაველ გრაჩოვიც, რომელიც მას დიდ პატივს სცემდა.

„კომსომოლსკაია პრავდას" კომენტარი

ცხადია, რომ მთავრობას სურს არმიის შემცირებით რაღაც ფული დაზოგოს. მაგრამ, საერთოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი „დაზოგილი" ფული ჩვენს ქვეყანაში უკვალოდ ქრება ხოლმე. ხოლო ლატაკი არმია უკვე იყო ზაირში. მობუტუ სესე სეკო ფულს არ უხდიდა თავის არმიას და ახლა, ჯარსაც და სახელმწიფოსაც სულ სხვა მეთაური ჰყავს. რუსეთის მთელ რიგ გარნიზონებში ფულადი კმაყოფა იანვარს აქეთ არ მიუღიათ.

ჩვენ არავის არ ვამინებთ. უბრალოდ, სახელმწიფო იძულებული გახდება თადარიგში დაითხოვოს ათიათასობით ოფიცერი. დათხოვნილ ოფიცრებს კი, უნდა მისცე 20 სარგო — ეს არის დაახლოებით 20 მილიონი რუბლი კაცზე. თუ ხელისუფლება კანონის მიხედვით იმოქმედებს, მაშინ ოფიცერთა დათხოვნა უდავოდ დააზარალებს ბიუჯეტს. გარდა ამისა, ოფიცრებს ხომ უნდა მისცე ბინა, გზის ფული, უზრუნველყო სამედიცინო მომსახურებით; ყოველივე ეს კი გვარიანი თანხა გამოვა.

მაგრამ არმია, რომელიც იძულებულია შეინახოს ბევრი ჯარისკაცი, რომლებიც უამრავ უმაქნის ტექნიკას ემსახურებიან, კიდევ უფრო ძვირი ჯდება. ამასთან, დაუშვებელია, რომ კადრის სამხედრო მოსამსახურენი თადარიგში გაუშვან ცარიელ-ტარიელი „მადლობით". 200-300 ათას უსახსროდ დარჩენილ კაცს, რომელსაც არა აქვს სამოქალაქო სპეციალობა, და გულს უღრღნის მორალური დაუკმაყოფილებლობის გრძნობა სახელმწიფოსადმი ძაღლუმადური სამსახურისათვის, თან, როდესაც ამ 200-300 ათასმა იარაღის ხმარება იცის — ჩვენს შფოთიან ქვეყანაში, ძალიანაც რომ მოინდომო, მასტაბილიზებელ ფაქტორს ვერ უწოდებ.

იგორ როდიონოვის გადაყენების მიზეზთა სამი ვერსია:

— თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის საბჭოს საპარატო ომში გაიმარჯვა იური ბატურინმა, თავდაცვის საბჭოს მდივანმა. როდიონოვს ზურგს არავინ უმაგრებდა. სამხედრო რეფორმის როდიონოვისეული კონცეფცია იყო: „ფული არმიას ზარბაზნებისათვის". ბატურინისეული კონცეფციაა: „ფული მთავრობას ზარბაზნების ნაცვლად".

— თავდაცვის სამინისტროს სამხედრო რეფორმის კონცეფცია, რომელიც გენშტაბს აყენებს სახელმწიფოს ყველა ძალოვანი სტრუქტურის სათავეში, არ ეპიტნავებათ რუსეთის ძალოვან სტრუქტურებს — შინაგან საქმეთა სამინისტროთი დაწყებული და სასაზღვრო ჯარების ხელმძღვანელობით დამთავრებული.

— მინისტრი როდიონოვი მთავარი მოწინააღმდეგე იყო ნატოს პირობებით ჩრდილო-ატლანტიკურ ბლოკთან ხელშეკრულების დადებისა, მას მიაჩნდა, რომ სიტყვების „საკვამლე ფარდის" მირმით ალიანსის რაკეტებსა და ტანკებს უურიან თავს რუსეთის საზღვრებთან და ეს მისი უმიმროების საფრთხედ მიაჩნდა. როდიონოვი გადააყენეს, რათა ხელი არ შეეშალა ნატოსთან მეგობრობაში.

ჩინეთი ახალი ზეშორი რაკეტით იარაღდება

ჩინეთი ამუშავებს მობილურ ბალისტიკურ რაკეტას, რომელიც შეერთებული შტატების ტერიტორიას მისწვდება, იუწყება ასოშიეიტედ პრესი, იმოწმებს რა საიდუმლო სამხედრო მოხსენებას. ახალი რაკეტა აღიჭურვება კასეტური (ხლეჩადი) ქობინებით და ექნება დაახლოებით 8.000 კილომეტრი ფრენის სიშორე. სამხედრო ექსპერტების აზრით, ახალი თაობის ბალისტიკური რაკეტა შეამცირებს ტექნოლოგიურ განსხვავებას რაკეტმშენებლობაში ჩინეთს, შეერთებულ შტატებსა და რუსეთს მორის. მობილურობა ძლიერ აუმჯობესებს ახალი ჩინური ბირთვული ბალისტიკური რაკეტების „გადარჩენის" შანსს და ართულებს ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ამოცანებს. ვარაუდობენ, რომ ჩინეთი ახალი რაკეტის გამოცდას სულ მალე შეუდგება და ასწლეულის დამლევს შეიტანს თავის შეიარაღების არსენალში.

ან არჩევნები, ან რეფერენდუმი!

ორასი ათასმა პოლონელმა, რომლებიც ამჟამად საფრანგეთში ცხოვრობენ, ვერ შეძლო განვლილ შაბათ-კვირას მონაწილეობა მიეღო პოლონეთის ახალი კონსტიტუციის დამტკიცებისადმი მიძღვნილ რეფერენდუმში. დპა სააგენტოს ინფორმაციით, ასეთი მდგომარეობა გამოიწვია საფრანგეთის ხელისუფალთა განკარგულებამ, რომლის თანახმად ქვეყანაში აიკრძალა ყოველგვარი გამოკითხვის მოწყობა საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატთა არჩევნების გამართვის დღეს, რომლებიც სწორედ ამ უქმეებს დაემთხვა. სააგენტო აგრეთვე აღნიშნავს, რომ ამ მდგომარეობამ არა მარტო გაურთულა ცხოვრება პოლონელებს, რომლებიც თავიანთი კონსტიტუციის ბედის განსასაზღვრავად იძულებული გახდნენ საფრანგეთის ტერიტორიიდან გასულიყვნენ ხმის მისაცემად, არამედ აგრეთვე მისცა პოლონეთის რეფერენდუმის შედეგების საცილოდ მიჩნევის საბაბი იმათ, ვინც რეფერენდუმის შედეგებით უკმაყოფილო დარჩა.

ნეიროქირურგობაც უძველესი პროფესიაა

სენსაციურ მეცნიერულ აღმოჩენას მიაგნეს გერმანელმა არქეოლოგებმა. დპა სააგენტოს ინფორმაციით, ფრაიბერგელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს შვიდი ათას წელიწადზე მეტი ხნის წინათ გარდაცვლილი კაცის თავისქალა, რომელსაც ეტყობა კვალიფიციურად ჩატარებული თავისქალის ტრეპანაციისა და ტვინის დაავადების მკურნალობის კვალი. ამასთან მეცნიერები ამტკიცებენ, რომ როგორც განხორციელებული ექსპერტიზის შედეგები მოწმობს, ადამიანის ტვინზე გაკეთებული ოპერაცია წარმატებული გამოდგა და მან ამის შემდეგ მინიმუმ ერთ წელიწადს იცოცხლა. სააგენტო აღნიშნავს, რომ მკვლევართა აზრით, ეს აღმოჩენა რევოლუციას მოახდენს არქეოლოგიასა და ისტორიაში და მთლიანად შეცვლის წარმოდგენას უძველეს წინაპართა განვითარების დონის შესახებ.

ათაშანგი... კურდღლისაგან

ქურდობა ცოდვაა. საავადმყოფოში ქურდობა — ორმაგი ცოდვა; ხოლო ვენეროლოგიურ დისპანსერში ქურდობა ცოდვის გარდა სახიფათოც არის. ხაბაროვსკის სამხარეო ვენდისპანსერის ტერიტორიაზე ბოროტმოქმედებმა ვივარიუმის კლიტე გატეხეს და ორი ბოცვერი მოიპარეს.

ეს მოვლენა დიდ რეზონანსს არ გამოიწვევდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ მეცნიერებმა ცხოველებს ლაბორატორიული მიზნებისათვის ათაშანგი შეჰყარეს. ახლა არავინ იცის, რა ბედი ეწიათ ავადმყოფ ბოცვრებს. მაგრამ იმათ, ვინც ეს ბოცვრები დაკლა და შეახრამუნა, ალბათ არავინ დაუჯერებს, რომ ვენერიული სნეულება კურდღლისაგან შეეყარათ.

ვინ ჰყავთ ყორჩებად?

ამ ბოლო დროს, სამხრეთ აფრიკის დიდი თანამდებობის მოღვაწეების, მათ მორის, პრეზიდენტ მანდელას სახლებში მოწყობილი ქურდობების სერიამ ხელისუფალნი აიძულა, მეტი ყურადღება დაეთმოთ იმ სპეციალური ქვეგანაყოფის მოხელეებისათვის, რომლებიც მოწოდებული არიან, ზრუნავდნენ სამხრეთ აფრიკის უმაღლეს ხელმძღვანელთა უსაფრთხოებისათვის. გამოვლინდა სავალალო სურათი. ოფიციალური მონაცემებით, 1800 ყორჩთაგან 120-ს დამნაშავის წარსული აქვს. სპეცგანაყოფის კიდევ 180 თანამშრომელი გადის სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეში, რომელთა მორის არის 22 მკვლელობა და 18 მკვლელობის მცდელობა, 4 შეიარაღებული ძარცვა, 21 ქურდობა, 4 გაუპატიურება; აქ არ შედის მანქანის ტარება მთვრალ მდგომარეობაში, მოქალაქეების ცემა და უხამსი ქცევა საზოგადოებრივ ადგილებში. ამ მონაცემებს შეიცავს უსაფრთხოების მინისტრის წერილობითი პასუხი დეპუტატთა შეკითხვაზე.

ეგებ გადაიფიქროს

რეპორტიორების მიერ აღმართული მიკროფონების ბარიკადიდან ამერიკელ კანონმდებელთა უხუცესი, სენატორი სტრომ ტერმონდი აცხადებს, რომ აღარ წამოაყენებს თავის კანდიდატურას მორიგი ვადით 2000 წლის არჩევნებში. ტერმონდი ისედაც რეკორდსმენია. იგი არის შეერთებული შტატების კონგრესის ყველაზე ხანდაზმული წევრი ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე. სენატორი 1902 წელს დაიბადა, ასე რომ, რწმუნებათა გასვლის მომენტისათვის იგი 100 წელიწადს მიუკაკუნებს.

მოსკოვს შეთანხმება აღარ მოსწონს

„რაინიშე პოსტი" აქვეყნებს მასალებს, რომლებიც ეძღვნება რუსეთსა და ნატოს შორის ორმხრივი შეთანხმების ხელმოწერას. გაზეთი აღნიშნავს, რომ დასავლელ პოლიტიკოსთა უმრავლესობის გაოცებას იწვევს რუსეთის ხელმძღვანელობის მძაფრი თავდასხმები და მუქარა, რომელიც კრემლმა თავს დაატეხა ჩრდილო-ატლანტიკურ კავშირს, მას შემდეგ, რაც უკვე საბოლოოდ შეათანხმა ორმხრივი მორიგების ტექსტი. კერძოდ, გაზეთს მოჰყავს ბორის ელცინის განცხადებანი იმის თაობაზე, რომ რუსეთი ძირფესვიანად გადასინჯავს თავის დამოკიდებულებას ნატოსთან, თუ ბლოკში მიიღებენ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს. გაზეთის აზრით, ასეთი განცხადებანი, რა თქმა უნდა, ვერ ჩაშლიან ხელშეკრულების ხელმოწერას, მაგრამ აშკარად მოწმობენ, რომ რუსეთს არ აკმაყოფილებს მიღწეული მორიგებანი.

სპილბერგის ოქროს ძარღვი

ამერიკის შეერთებული შტატების 3000-ზე მეტ კინოთეატრში გასული კვირის დამლევს პირველად აჩვენეს რეჟისორ სტივენ სპილბერგის ფილმი „დაკარგული სამყარო", რომელიც განაგრძობს „იურული პერიოდის პარკის" სიუჟეტს. მოელიან, რომ ახალი ფილმი გადააჭარბებს კინოშემოსავლების ყველა რეკორდს.

სურათზე — კადრი „დაკარგული სამყაროდან".

... ჰაერში დაიჭირა

წინა კვირის მანძილზე მოსკოვში აღირიცხა სამი შემთხვევა, როდესაც დედამ მცირეწლოვანი შვილი მოკლა და თვითონაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, წერს „კომსომოლსკაია პრავდა" (№ 91).

მაგრამ ამ სამი შემთხვევიდან ერთში მხოლოდ დედა დაიღუპა, ბავშვი კი გადარჩა.

... გოჩა ლაოშვილი, ქართველი მოცეკვავე, რომელიც დღეს მოსკოვის ერთ-ერთ სავაჭრო ფირმაში მუშაობს, რადგან ცეკვა-თამაშით ოჯახს ვერ არჩენს, თავისი სახლის აივანზე იდგა, როდესაც ზედა, მეოთხე სართულიდან წივილ-კივილი მოესმა, მერე კი დაინახა, როგორ მოექანებოდა ჰაერში პატარა გოგონა. ინსტინქტურად სწვდა ბავშვს და დაიჭირა. გოგონა გადარჩა.

ამ სახლში მოხდა ტრაგედია

რაც ნაკლებს ჭამთ, მეტს იცოცხლებთ!

როგორც ფრანგული გაზეთი „მონდი" იუწყება, დღეგრძელობის საწინდარია ცოტა და დაბალკალორიული საჭმელი. ამას ადასტურებს ცდები, რომელიც მეცნიერებმა დააყენეს სხვადასხვა ცხოველებზე და მწერებზეც კი. გამოკვლევის მონაცემები მოწმობს, რომ სწორედ დაბალკალორიული კვება ახანგრძლივებს ახალგაზრდობას და, მასთან ერთად, — სიცოცხლეს დაახლოებით 50 პროცენტით. მაგალითად, იაპონიის ოკინავას კუნძულის მცხოვრებთა შორის, რომელთა ძირითად საზრდოს დაბალკალორიული საჭმელი შეადგენს, საშუალოდ 40-ჯერ (!) მეტნი არიან 100 წლის ასაკს მიღწეული ადამიანები, ვიდრე დანარჩენ იაპონიაში.

მეცნიერები შეეცადნენ, გაერკვეულიყვნენ დღეგრძელობისა და კვების რეჟიმის ურთიერთკავშირის მიზეზებში, ამჯერად მათ მოხსნეს ბრალდებები ცხიმებს, შაქარსა და ალკოჰოლს, რომლებიც ამ ბოლო დრომდე ითვლებოდნენ ორგანიზმის დაბერებისა და ნაადრევი სიკვდილის ლამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად.

ადამიანის ორგანიზმი საჭმელს წვავს უჯრედშორის „ელსადგურებში", რომლებსაც მიტოქონდრიებს უწოდებენ. ისინი, თავის მხრივ, გამოიმუშავებენ ცხოველქმედებისათვის საჭირო ენერგიას, მაგრამ ამავე დროს, მიტოქონდრიები გამოჰყოფენ თავისუფალ რადიკალებსაც. რადიკალებს სტაბილიზაციისათვის სჭირდებათ ელექტრონები, რომლებსაც ართმევენ მეზობელ მოლეკულებს და ამით გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ ჩვენს ორგანიზმს. რაც უფრო ნაკლებად კალორიულია საჭმელი, მით უფრო ნაკლებია რადიკალთა რიცხვიც, დასძენს „მონდი".

იძინეთ, ზარმაცებო

[illegible]

პორნოვარსკვლავი - პარლამენტარი - კინოვარსკვლავი

[illegible]

[illegible]

ხიდი KÖPRÜ

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველთვიური დამატება № 4 (55)

ვინ მოყვარესა არ ეძებს,
იგი თავისა მტერია.
შოთა რუსთაველი

KİM DOSTUNU ARAMAZSA,
KENDİ CANINA
DÜŞMANDIR EVVEL.
Şota Rustaveli

კონტაქტები

კონფერენცია სტამბოლში

„დადგა დრო, როცა ჩემი სახელმწიფოს ეროვნულ უშიშროებას უზრუნველყოფს ეკონომიკური პრიორიტეტების შესახებ გადაწყვეტილებანი, ხოლო პოლიტიკური ინტეგრაციის დონესა და მიმართულებაც განსაზღვრავს ეკონომიკური განზომილება“.

ედუარდ შევარდნაძე

როგორც ვიუწყებოდით, 28 აპრილს სტამბოლში გაიხსნა შავიზღვისპირეთის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის კონფერენცია „ახალი შესაძლებლობანი შავი ზღვის რეგიონში“.

თურქეთის პრეზიდენტის სულეიმან დემირელის მიწვევით კონფერენციის გახსნაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. საქართველოს დელეგაციაში იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი, პაბსეკის ვიცე-პრეზიდენტი ვახტანგ რჩეულიშვილი და სხვა ოფიციალური პირები.

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა პაბსეკის ვიცე-პრეზიდენტს, საქართველოს სოციალისტური პარტიის ლიდერს ვახტანგ რჩეულიშვილს.

— ბატონო ვახტანგ, უპირველესად გთხოვთ მოკლედ მოგვითხროთ შავიზღვისპირეთის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის შესახებ.

– როგორც მოგეხსენებათ, თურქეთის ინიციატივით 1992 წელს შეიქმნა შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომელშიც 11 სახელმწიფო გაერთიანდა. ესენია: თურქეთი, საქართველო, რუსეთი, უკრაინა, რუმინეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, ალბანეთი. 1993 წელს ამ ქვეყნების პარლამენტებთან შეთანხმებით შეიქმნა შავიზღვისპირეთის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეა. მე ამ ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად ორი წლით, 1998 წლის დეკემბრამდე ვარ არჩეული. 1992 წელსვე შეიქმნა შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ბიზნესის საბჭო, რომელსაც ცნობილი თურქი ბიზნესმენი, წარმოშობით ქართველი ნიჰატ გოქიგიტი (გოგიტიძე) ხელმძღვანელობს. შარშან დაფუძნდა შავიზღვისპირეთის ქვეყნების რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი. ერთი სიტყვით, შავიზღვისპირეთის ქვეყნების თანამშრომლობის შესახებ თურქეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის თურგუთ ოზალის ინიციატივას ხორცი შეესხა. დღეს იგი ძლიერი და პერსპექტიული ორგანიზაციაა.

— კონფერენციის თაობაზე რას გვეტყვით?

– 1997 წლის 28-29 აპრილს შავიზღვისპირეთის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ბიზნესის საბჭოსა

იხილეთ მე-6 გვ.

შეხვედრა ბ. ეჯევითთან.

ხელოვნება

დიდი მადლობა „რუსთავის“ წევრებს...

ეს სიტყვები გამოჩენილ თურქ მუსიკოსს, მომღერალს, მწერალსა და კინორეჟისორს ზულფუ ლივანელს ეკუთვნის. იგი მსოფლიოში აღიარებული ხელოვანია.

23 მარტს სტამბოლში ზ. ლივანელი დაესწრო რუსთავის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტს და გაზეთ „მილიეთში“ გამოაქვეყნა უაღრესად საყურადღებო წერილი, რომელსაც მცირეოდენი შემოკლებით ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს.

ზულფუ ლივანელი

მსოფლიოს კეთილშობილური ტრადიციები

ადამიანი კარგია!

სისასტიკესა და სიკვდილს ხელოვნებით ებრძვის.

ადამიანი ცუდია!

ომი, ნგრევა, სისასტიკე – ყველაფერი ეს ხომ მისი ხელით ხდება!

ადამიანი კარგიც არის და ცუდიც.

იგი ცდილობს თავისი ამღვრეული გონებით წარმოქმნილი ტკივილები, წამებანი, ომები და დესპოტიზმი ხელოვნებით გააწონასწოროს.

* * *

სცენაზე არაჩვეულებრივი მამაკაცები და არაჩვეულებრივი ქალები არიან, ცეკვავენ, მღერიან, ცხოვრების სურათებს გვიხატავენ.

ქალები კავკასიონის პრინცესები, ტანკენარნი, მშვილდივით მოზიდულნი, ამაყნი და ნატიფნი, ისე ცეკვავენ, თითქოს ყინულზე სრიალებენ.

მამაკაცები – ზამბარიანი დასაკეცი დანასავით შემართულნი, სწრაფნი, დაჭიმულნი, ახოვანნი და ამაყნი.

კავკასიელი მხედრები, რომელთა დაუოკებელი სიძლიერე აბრეშუმის სილბოდ გარდაიქმნება ხოლმე.

ჯემალ რეშიდ რეის საკონცერტო დარბაზში ვესწრები საქართველოდან ჩამოსული რუსთავის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტს.

ანსამბლის წევრები სალამურებით, რომელთა ისტორიას ჩვენს ერამდე 2000 წლამდე მივყავართ და პოლიფონიური ხალხური სიმღერებით, რომელთაც მთელი მსოფლიო აღტაცებაში მოჰყავთ, გადმოგვცემენ ცხოვრების, ბუნების, სიყვარულის სიხარულსა და ომის ტკივილებს.

როდესაც უყურებთ მოცეკვავეთა ხელოვნებას, რომელიც უმაღლესი ქორეოგრაფიისა და ადამი-

იხილეთ მე-8 გვ.

სამთავრობო კრიზისი თურქეთში

20 მაისს მეჯლისმა კენჭი უყარა მთავრობის ნდობის საკითხს. ნეჯმეთინ ერბაქანის მთავრობა მხოლოდ ექვსი ხმის უპირატესობით გადაურჩა გადაყენებას.

21 მაისს თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლომ ნ.ერბაქანის კეთილდღეობის პარტიის კანონიერების საკითხის განხილვა დაიწყო.

RESMİ BİR ZİYARET

14-16 Mayıs'ta başında Cumhurbaşkanı Eduard Şevardnadze'nin bulunduğu Gürcistan heyeti İtalya'da resmi bir ziyarette bulunuyordu.

Kentin merkezindeki Kvirinale Sarayı'nın avlusunda karşılaşma töreni yapıldı. Gürcistan Cumhurbaşkanı ve eşini İtalya Cumurbaşkanı Oskar Luici Skalfaro ve kızı Maryana karşıladılar.

Sarayda Gürcistan ile İtalya Cumhurbaşkanları arasında görüşme yapıldı.

Gürcistan Cumhurbaşkanı Papa II. Jan Poul ile görüştü.

Gürcistan Cumhurdaşkanı İtalya Başbakanı Romano Prodi, İtalya Parlamentosu Milletvekilleri Meclisi Başkanı Luçiano Violante, diğer resmi zevat ve iş çevrelerinin temsilcileriyle görüştü.

20 belge ve 2 bildiri imzalandı.

16 Mayıs'ta Gürcistan heyeti yurduna döndü.

TÜRKİYE ASKERİ HEYETİ TİFLİS'TE

Başında TSK Genelkurmayı Başkanı Yardımcısı Korgeneral Çetin Doğan'ın bulunduğu Türkiye Cumhuriyeti askeri heyeti Tiflis'te bulunuyordu.

Türkiye askeri heyeti Gürcistan'in resmi zevatıyla görüştü, askerlik alanında işbirliği sorunları tartışıldı.

დამფუძნებლები:
ე. შევარდნაძის ფონდი „დემოკრატია და აღორძინება“, საქართველო-თურქეთის საქმიანი ურთიერთობის ასოციაცია, ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“

GAZETENİN KURUCULARI:
E. ŞEVARDNADZE'NİN "DEMOKRASİ VE KALKINMA FONU, GÜRCİSTAN - TÜRKİYE İŞBİRLİK KONSEYİ DERGİ VE GAZETELERİN "SAMŞOBLO" YAYINEVİ

კონტაქტები

კონფერენცია სტამბოლში

(დასასრული)

და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების საბჭოს მიერ, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სულეიმან დემირელის პატრონაჟით სტამბოლში ჩატარდა საერთაშორისო ბიზნესის კონფერენცია „ახალი შესაძლებლობები შავი ზღვის რეგიონში".

კონფერენციას თურქეთისა და ევროპის უდიდესი კომპანიები სპონსორობდნენ. კონფერენციის გახსნაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. მისი გამოსვლა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს.

მეორე დღეს ჩატარდა საგანგებო სესია, სადაც საუბარი იყო საქართველოს ეკონომიკურ და საინვესტიციო შესაძლებლობებზე. სხდომას მე ვთავმჯდომარეობდი. სიტყვებით გამოვიდნენ ჩვენი დელეგაციის წევრები კონსტანტინე ზალდასტანიშვილი, ბაკურ გულუა, მიხეილ ჭკუასელი, გიორგი ჭანტურია და სხვ. საქართველოში ნავსადგურების, საკომუნიკაციო სისტემების, მრეწველობის, მშენებლობის განვითარებისათვის წარმოდგენილმა საინვესტიციო პროგრამებმა თურქი და სხვა უცხოელი ბიზნესმენების დიდი ინტერესი გამოიწვია. გადაწყდა უახლოეს მომავალში თბილისში მოეწყოს ბიზნეს-კონფერენცია ბიზნესმენებისათვის. ორგანიზატორები იქნებიან თურქეთის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების საბჭო, საქართველო-თურქეთის ბიზნესის საბჭო (თავმჯდომარე თურგულ ერკინი) და საქართველოს ეკონომიკური ფორუმი, რომლის თავმჯდომარე მე გახლავართ.

30 აპრილს ჩატარდა შავიზღვისპირეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომა, რომელსაც ხელმძღვანელობდა თურქეთის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი თანსუ ჩილერი. მე ამ სხდომაზე სიტყვით გამოვედი, მინისტრების წინაშე დავსვი რამდენიმე საკითხი, მათ შორის კავკასიის რეგიონის მნიშვნელობის შესახებ შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკურ თანამშრომლობაში. ითქვა, რომ თანამშრომლობისათვის აუცილებელია მშვიდობა და სტაბილურობა კავკასიაში. დაუშვებელია, როცა ნავთობსადენის მარშრუტების განსაზღვრა ქვეყნებს შორის დაძაბულობას ქმნის, გადაწყვეტილებები უნდა მივიღოთ ყველა, დიდი თუ პატარა ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებით.

— გქონდათ თუ არა სხვა შეხვედრები?

— თურქეთში ვიზიტის დროს მქონდა შეხვედრები ჩემს კოლეგებთან პარტიული ხაზით. როგორც მოგეხსენებათ, 1996 წელს თბილისში საქართველოს სოციალისტური პარტიის ინიციატივით შეიქმნა შავიზღვისპირეთის ქვეყნების მემარცხენეცენტრისტული პარტიების ასამბლეა, რომლის თავმჯდომარედ მე ამირჩიეს. ასამბლეაში რეგიონის 12 პარტია თანამშრომლობს. ანკარაში შევხვდი მემარცხენე დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს, ბატონ ეჯევითს და თურქეთის სახალხო-რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარეს, ბატონ ბაიკალს. მე მივიწვიე თურქი კოლეგები, მონაწილეობა მიიღონ შავიზღვისპირეთის ქვეყნების მემარცხენეცენტრისტული პარტიების მეორე კონფერენციაზე, რომელიც მაისის ბოლოს მოსკოვში ჩატარდება. კონფერენციის ორგანიზატორია რუსეთის სოციალისტური პარტია, რომლის თავმჯდომარეა ივანე რიბკინი — რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანი. კონფერენცია მიეძღვნება რეგიონული უსაფრთხოების საკითხებს, რაც ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

აბესალომ იმედაშვილი.

განათლება

ნომრის სტუმარია საქართველოს განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, ქალბატონი მანანა კობახიძე.

პროფკავშირი ძალას იკრებს

— ქალბატონო მანანა, როგორ შეაფასებთ ახალ კანონს პროფკავშირების შესახებ?

— ძალიან მოკლედ ეს კანონი შეიძლება ასე შევაფასო: საქართველოში პროფესიული კავშირების არსებობის ისტორიაში უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა არ მომხდარა. ასეთი კანონის არსებობა მიმდინარე პერიოდისათვის მეტად აქტუალურია. კანონმა განსაზღვრა პროფკავშირების როლი და მნიშვნელობა საზოგადოებაში, მასში გაერთიანებული ადამიანის უფლებები. ამასთან, სხვადასხვა დარგის მუშაკებთან ურთიერთობაში გარკვეული პასუხისმგებლობა სახელმწიფო სტრუქტურებსაც დააკისრა. ახლა პროფკავშირის წევრებს შესაძლებლობა აქვთ გაარკვიონ ის უპირატესობა, რასაც პროფკავშირულ ორგანიზაციაში გაწევრიანებით მოიპოვებენ თავიანთი უფლებების დასაცავად.

— საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებმა (მასწავლებელთა ცუდი სოციალური პირობები, უფროს კლასებში ნაწილობრივი ფასიანი სწავლების შემოღება, ფასიანი უმაღლესი სასწავლებლების უზომოდ მომრავლება, მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარების ახალი დებულება და მრავალი სხვა). რას აკეთებს ამასთან დაკავშირებით თქვენი პროფკავშირი?

— მართალი ბრძანებთ. საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებმა, რაც განპირობებულია თავად დარგის მნიშვნელობით საზოგადოებრივ ცხოვრებაში. განათლების სისტემასთან დაკავშირებულია ყველა და ყველაფერი. ამიტომაც ახალი ცხოვრების შენების პროცესში არსებული მტკივნეული პრობლემები კიდევ უფრო მწვავედ აღიქმება.

განსაკუთრებით დიდ პრობლემას წარმოადგენს პედაგოგ-აღმზრდელთა ასეთ ვითარებაში მოღვაწეობა, როდესაც თითქმის შეუძლებელი ხდება ამ საშვილიშვილო მისიის ღირსეულად შესრულება. მიუხედავად ძნელბედობისა, ჩვენი ღრმა რწმენით, მთავრობამ ამ კატეგორიის მუშაკებზე ზრუნვა საგანგებოდ მაღალ რანგში უნდა აიყვანოს, რაც, სამწუხაროდ, ჯერ ვერ გამოიკვეთა. მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში განათლების მუშაკებს სამი თვის დავალიანებით ეძლევათ ხელფასი.

ამ მუშაკების შრომის ანაზღაურებისა და საერთოდ შრომის პირობების ბედი მთლიანად ადგილობრივ ბიუჯეტზეა მინდობილი; არ არსებობს ისეთი სისტემა, როდესაც კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფოს მზრუნველობაში მყოფი 9 კლასის განათლება მყარი გარანტიებით იყოს განსაზღვრული; შექმნილი არ არის შესაფერისი პირობები მაღალკვალიფიციური შრომისათვის.

საქართველოს განათლების მუშაკთა პროფკავშირი პედაგოგთა სოციალურ ვითარებას სრულად ფლობს. ყოველი კვირის პარასკევს სახელმწიფო კანცელარიას აწვდის მონაცემებს შრომის დროული ანაზღაურების შესახებ და საკმაოდ მწვავედ აყენებს საკითხებს ცალკეული ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ხელმძღვანელების მიმართ. სისტემატური კონტაქტი აქვს როგორც საქართველოს განათლების სამინისტროსთან, ასევე სხვა სამინისტროებთანაც, რათა მიაღწიოს დადებით შედეგს კოლეგიური და პარტნიორული ურთიერთობით. თუმცა არც დაპირისპირებას ერიდება.

შედეგი? — ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მყოფ ქვეყანაში, როგორიც ჩვენია, რა თქმა უნდა, დარგის მუშაკთა ინტერესების დაცვაც და სასურველი შედეგების მიღებაც მეტად ძნელია. არის შემთხვევები, როცა დღეს მიღწეული, მეორე დღისთვის უკვე [illegible] ხდება. ვფიქრობთ, გამოსავალი ერთია: პროფკავშირული ორგანიზაცია ისე უნდა იღვწოდეს, რომ არ მოწყდეს რეალურ საფუძვლებს, მოძებნოს საკითხების გადაწყვეტის რეალური გზები და მხოლოდ შექმნილი ვითარების ღრმა ანალიზის შემდეგ წამოაყენოს მოთხოვნები. ძნელია ამ თემაზე უფრო დეტალური საუბარი. მთავარი კი, ვფიქრობთ, ის არის, რომ საქართველოს პროფკავშირებმა უკვე აიღო კურსი მოახლოვების პროფესიული საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებს.

როდესაც სახელმწიფომ 9 კლასის განათლების უზრუნველყოფა თავის თავზე აიღო, ბუნებრივია, სრული საშუალო განათლების მისაღწევად საჭირო იყო დაფინანსების სხვა წყაროს გამონახვა. ჩვენ სერიოზული პრეტენზია გვაქვს საქართველოს განათლების სამინისტროსადმი. სამინისტრომ სკოლის ხელმძღვანელებს, პედაგოგიურ კოლექტივს დროულად არ მისცა შესატყვისი დოკუმენტაცია აღნიშნულ სიახლესთან დაკავშირებით, ამიტომაც სწავლების საფასურის შემოღებამ ქაოსური ხასიათი მიიღო.

საქართველოში ფასიანი უმაღლესი სასწავლებლების დაარსებამ ნამდვილად ანომალური სახე მიიღო. მისი დაფუძნების კრიტერიუმი მისაწვდომი გახდა ნებისმიერი მსურველისათვის. მაგრამ სახელმწიფოდ დაიძრა პროცესი მისი დახვეწისათვის და ღრმად გვწამს, რომ კარგად ორგანიზებული, მაღალ დონეზე წარმართული საქმიანობა დადებით შედეგს გამოიღებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა მასწავლებელთა ატესტაციის ახალი დებულებით ჩატარება.

ატესტაციისა და, უფრო მეტიც, საერთოდ განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის უზრუნველყოფა არასწორად მიგვაჩნია. რამდენადაც გახანგრძლივდება არსებული მდგომარეობა, მით უფრო გახანგრძლივდება პედაგოგთა მატერიალური სტიმულირებისა და შრომითი საქმიანობის ხარისხის ამაღლების უწყვეტი პროცესი. სხვა საქმეა, საჭიროებს თუ არა დღეს ამოქმედებულ ატესტაციის მოდელს კორექტირება. რაღა თქმა უნდა საჭიროებს, რაც თავის თავად, ყოველ სიახლეს თან ახლავს ხოლმე. ასეთი მოთხოვნები საქართველოს განათლების მუშაკთა პროფკავშირმა ჩამოაყალიბა და მას წარუდგინა როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტს, ასევე საქართველოს განათლების მინისტრს.

— როგორ მიმდინარეობს „განათლების შესახებ" კანონპროექტის განხილვა?

რაც შეეხება ამ კანონპროექტს, უნდა მოგახსენოთ, რომ უდავოდ დიდი საქმე [illegible] მაგრამ მეტად გახანგრძლივდა პროექტის კანონად ქცევის პროცესი. საჭიროა ითქვას, რომ ამ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტის შედგენაში საკმაოდ დიდი შრომა გასწია როგორც განათლების სამინისტრომ, ასევე პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტმა, აქტიურ მონაწილეობას ვიღებდით ჩვენ[ც].

ახლა მთავარია მთავრობამ კარგად გაითვალისწინოს ჩვენი მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ მასწავლებლებს მომავალი ბედი აბარია. ამიტომ მათი საგანგებო [ყუ]რადღება და არსებობისათვის შესაფერისი პირობების შექმნა საჭიროება.

ესაუბრა

ოთარ დოლიძე

Gürcüce Okuma-Yazma Kitabı

DEDA ENA

დედა ენა

HAZIRLAYANLAR

Fahrettin ÇILOĞLU-Rüya ÖZKALKAN

გამოვიდა სტამბოლში 1995 წელს

İMEDİ

İSTANBUL - 1995



ქ
k

აქლემი
აქ - ლე - მი

აქლემი	deve	ქუთაისი	Kutaisi (Gürcüstan'da kent)
კუზი	hörgüç	ქალაქი	kent, şehir
აქვს	var	ბექა	Beka (özel ad)
ქლიავი	erik	ქუდი	şapka
ქანდარა	tünek	აჩუქეს	armağan ettiler
ექვსი	altı		
ქათამი	tavuk		

ქ აქლემი

აქლემს კუზი აქვს. ქლიავი ხილია. ქანდარაზე ექვსი ქათამი ზის. ქუთაისი ლამაზი ქალაქია. ბექას ქუდი აჩუქეს.

Gürcüce karşılıklarını yazınız:

Kutaisi güzel kenttir. ...... Devenin hörgüçü var. ......
Erik meyvedir. ...... Beka'ya şapka armağan ettiler. ......

ჭ
ç

ჭიანჭველა
ჭი - ანჭ - ვე - ლა

ჭიანჭველა	karınca	მიაჭენებს	koşturuyor
შრომა	çalışma	ჭა (ჭის)	kuyu (kuyun...
ჭიქა	bardak	კაჭკაჭი	saksağan
ცოტა	az	პატარა	küçük
წყალი	su	მტერი	düşman

ჭ ჭიანჭველა

ჭიანჭველას შრომა უყვარს. ჭიქაში ცოტა წყალია. ბ... ცხენს მიაჭენებს. ჭის წყალი ცივია. კაჭკაჭი პატა... მწერების მტერია.

Gürcüce karşılıklarını yazınız:

Bardakta az su var. .... Kuyu suyu soğuktur. ......
Karınca çalışmayı sever. .... Beka atı koşturuyor. ......
Saksağan küçük böceklerin düşmanıdır. ....

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასპარეზი

რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ჩვენებურის" ახალი ნომერი (1996 წლის ივლისი-აგვისტო, № 22-24).

როგორც ყოველთვის, ნომრის ძირითადი თემებია საქართველოს კულტურული ცხოვრება, საქართველო-თურქეთის ურთიერთობა და სხვ. ნომერი იხსნება ჰაიათი ასილიაზიჯის წერილით „ედუარდ შევარდნაძის თურქეთ-საქართველოს მეგობრობისა და სოლიდარობის ფონდი".

გთავაზობთ ამ წერილის შემოკლებულ თარგმანს.

ედუარდ შევარდნაძის თურქეთ-საქართველოს მეგობრობისა და სოლიდარობის ფონდი

ჰაიათი ასილიაზიჯი

თურქეთსა და საქართველოს შორის ღრმა ისტორიული კავშირები, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობები არსებობს. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობითა და კლიმატური პირობებით ძირითადად შავიზღვისპირეთის ქვეყანაა. ბუნების სილამაზით იგი შეიძლება შევადაროთ ავსტრიასა და შვეიცარიას. კულტურისა და ხელოვნების მხრივ კი იგი ტოლს არ უდებს მსოფლიოს ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანას.

ედუარდ შევარდნაძის თურქეთ-საქართველოს მეგორობისა და სოლიდაროის ფონდი დაარსებულია ამ ბუნებრივ-ისტორიული მშვენიერების დაცვის, განვითარებისა და თურქეთ-საქართველოს მეზობლური ურთიერთობის ჭეშმარიტ მეგობრობად გადაქცევის მიზნით. ფონდის ძალისხმევა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობისა და მეგობრობის დამკვიდრების ისტორიულ საფუძველს ემყარება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მოსახლეობისა და ტერიტორიის მიხედვით პატარა ქვეყანაა, ინტელექტუალური ძალებისა და კულტურის თვალსაზრისით დიდ ქვეყნებს არ ჩამორჩება. საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ საქართველომ დამოუკიდებლობა აღადგინა, თურქეთი საქართველოს მხარში ამოუდგა და ორ ქვეყანას შორის მეგობრობის გზა გაიხსნა.

საქართველო თურქეთისათვის კავკასიისა და შუა აზიისაკენ გახსნილი დიდი და მნიშვნელოვანი კარებია. საჰაერო, სახმელეთო და სარკინიგზო კავშირები ამ კარებიდან განხორციელდება, ნავთობი და ბუნებრივი გაზიც აქ გაივლის. საქართველოსთვის თურქეთი დასავლეთისკენ გახსნილი ჭიშკარია. დასავლეთის სამყაროსთან საქართველოს ინტეგრაცია ამ გზით განხორციელდება.

თურქეთში ცხოვრობენ ქართული წარმოშობის მოქალაქეები, რომლებიც დაახლოებით საქართველოს მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ. თურქეთისა და საქართველოს სახელმწიფოებმა ეს სინამდვილე უნდა გაითვალისწინონ და თანაგრძნობით მოეკიდონ ამ ქვეყნების მასების მისწრაფებას მეგობრობისკენ.

რა გაკეთდა ორი სახელმწიფოს მეგობრობისათვის?

ორი ქვეყნის ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენლებს შორის ბოლო ექვსი წლის განმავლობაში 45-მდე ხელშეკრულება, შეთანხმებათა ოქმი, ერთობლივი კომუნიკე იქნა ხელმოწერილი, რაც მიუთითებს ჩვენ შორის არსებულ საიმედო მეგობრულ გარემოზე. ჩვენი პრეზიდენტის, ბატონ სულეიმან დემირელის სიტყვები — „ოცდაათი წლის გზა ხუთ წელიწადში გავიარეთ", — იმის დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს, თუ რაოდენ მტკიცე საფუძველს ემყარება ჩვენი მეგობრობა.

რატომ დაარსდა ჩვენი ფონდი

ქვეყნებს შორის ოფიციალური ურთიერთობის დამყარება აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის. მეგობრული ურთიერთობების დამყარება და განვითარება აუცილებელია ორ ხალხს შორისაც. ფონდის დაარსების მიზანი საქართველოს მხარემ გულახდილად მოგვაწოდა. წინადადებამ ფონდის დაფუძნების შესახებ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ეშელონებში და ბიზნესის სამყაროშიც გამოძახილი ჰპოვა და მხურვალე მხარდაჭერა მოიპოვა. ფონდის მთავარი ამოცანა არის, ჩვენი ორი ქვეყნის ერთობლივი სახელმწიფო პოლიტიკა მიიტანოს ორი ქვეყნის ხალხებამდე, სამოქალაქო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებამდე, მათთან დაკავშირებულ ოფიციალურ და ნახევრადოფიციალურ დაწესებულებამდე, ხელი შეუწყოს მათ შორის ურთიერთობის დამყარებას. ამის წყალობით ორი ქვეყნის სხვადასხვა სექტორებში მყოფ ადამიანებსა და დაწესებულებებს ახალი ჰორიზონტი და ახალი ასპარეზი გადაეშლებათ.

როგორ დაარსდა ჩვენი ფონდი?

საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი ედუარდ შევარდნაძე როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის შექმნის გზას დაადგა, უპირველეს ყოვლისა, დააფუძნა ედუარდ შევარდნაძის ფონდი „დემოკრატია და აღორძინება" და მისი ხელმძღვანელობა ყველაზე საიმედო ადამიანებს მიანდო. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ კარგად იცოდა, რომ სხვა ქვეყნებთან დამყარებული ოფიციალური ურთიერთობები არ იკმარებდა, შედეგიანობის თვალსაზრისით გადამწყვეტი მაინც არაოფიციალური ურთიერთობები არის.

ედუარდ შევარდნაძეს სურდა, რომ თურქეთში, ფედერაციულ გერმანიასა და ამერიკაში, რომელთაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, შექმნილიყო ფონდები — რომლებიც მის ფონდთან პარტნიორულ თანამშრომლობას დაამყარებდნენ. ასეთი ორგანიზაციები შეიქმნა და ახლო მომავალში ერთმანეთთან კავშირს დაამყარებენ.

საქართველოდან ჩამოსულმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჩვენი ფონდის შექმნა შესთავაზა ფონდის ერთ-ერთ დამფუძნებელს, საბჭოს წევრს და გენერალურ დირექტორს ჰასან ულუდალს, რომელსაც საჭირო ცოდნა და ინფორმაცია ჰქონდა ფონდის შექმნის გეგმის განსახორციელებლად. მან გვერდში ამოიყენა ადამიანები, რომელთაგანაც დადებითი პასუხი მიიღო, ფონდი დაარსდა და მისი კარები ღიაა ყველა მსურველისათვის. ამჟამად ფონდს ჰყავს საბჭო და მოგიწოდებთ, გახდეთ ფონდის წევრები.

გაწეული მატერიალური და მორალური მხარდაჭერისათვის გულწრფელ მადლობას ვუხდით ანონიმური კომპანია ნურულ იათირიმ ჰოლდინგის ადმინისტრაციული საბჭოს პრეზიდენტს, ბატონ ნურეთინ ჩამიკლის, საჰაერო ძალების გადამდგარ გენერალ-პოლკოვნიკს, ბატონ ალაეთინ გუვენს, ანონიმური კომპანია ნეთ ჰოლდინგის ადმინისტრაციული საბჭოს პრეზიდენტს, ბატონ ბესიმ თიბუკს, ანონიმური კომპანია თექფენ ჰოლდინგის ადმინისტრაციული საბჭოს პრეზიდენტს, ბატონ ალი ნიჰათ გოქიგიტს, ანონიმური კომპანია ჩარმიკლი ჰოლდინგის ადმინისტრაციული საბჭოს პრეზიდენტს, ბატონ ალი რიზა ჩაშიკლის, ბატონ მეჰმეთ ულუდალს, რომელიც ხელმძღვანელობდა სამდივნოს სამსახურს და ფონდის ჩამოყალიბების პროცესში გვერდით უდგა ჰასან ულუდალს.

ფონდს, რომელიც ბატონ ე.შევარდნაძის ინიციატივით და თურქეთიდან 26 დამფუძნებელი წევრის მონაწილეობით 1996 წლის 5 ივლისს კანონიერად დაფუძნდა, ეწოდება „ედუარდ შევარდნაძის თურქეთ-საქართველოს მეგობრობისა და სოლიდარობის ფონდი". ფონდის დამფუძნებელთა საბჭოს კრება მოეწყო 1996 წლის 21 აპრილს, ანკარაში, სასტუმრო შერატონის დარბაზში. ფონდის დამფუძნებელთა I ფედერალური საბჭოს კრების მოწყობამდე აირჩიეს დროებითი ადმინისტრაციული და კონტროლის საბჭოები. სასტუმრო შერატონში კრების მოწყობა უზრუნველყო ნუროლ იათირიმ ჰოლდინგის ადმინისტრაციული საბჭოს პრეზიდენტმა, ბატონმა ნურეთინ ჩარმიკლიმ.

ფონდის ყველა საორგანიზაციო სამუშაოები დასრულდა და დამფუძნებელთა პირველი საბჭო 1996 წლის 7 სექტემბერს,ანკარაში სასტუმრო ალთინელში შეიკრიბა. ამ კრებისათვის ადგილობრივი ტრადიციული წესების შესრულება და კრებასთან დაკავშირებით საქართველოდან ჩამოსული ჩვენი სტუმრების ამავე სასტუმროში დაბინავება უზრუნველყო ბატონმა თიბუკმა.

ფონდის ადმინისტრაციული საბჭოს წევრები

1. პროფ. დოქტ. **თურქკაია ათაოვი** – (პრეზიდენტი)
2. **ოსმან ნური მერჯანი** – (მეორე პრეზიდენტი)
3. **ჰასან ულუდალი** – (გენერალური დირექტორი)
4. **ჰაიათი ასილიაზიჯი** – (წევრი)
5. **ქენან ილდირიმი** – (წევრი)
6. **მეჰმეთ ბულენთ ულუდალი** – (წევრი)
7. **ჰუსეინ ჰიქმეთ ოზდენოღლუ** – (წევრი)
8. **იაშარ ილმაზი** – (წევრი)
9. **მევლუთ მერთი** – (წევრი)

ჟურნალი „ჩვენებური", 1996 წ., № 22-24.
თურქულიდან თარგმნა
მურმან ბელთაძემ.

ჯ
c

ფინჯანი
ფინ - ჯა - ნი

ჯამი	çanak, kâse	ბორჯომი	Borcomi (Gürcüstan'da kaplıca ve maden sularıyla ünlü yer)
ფინჯანი	fincan		
ჭურჭელი	kap		
სამკურნალო	kaplıca	ცოტნე	Tsotne (özel ad)
ბაბუა	dede	ბეჯითი	çalışkan
ჯოხი	değnek	მოწაფე	öğrenci
ჯოგი	sürü		

ჯ ფინჯანი

ჯამი და ფინჯანი ჭურჭელია. ეს ბაბუას ჯოხია. ბორჯომი სამკურნალო წყალია. ეს ცხენის ჯოგია. ცოტნე ბეჯითი მოწაფეა.

Gürcüce karşılıklarını yazınız:

Borcomi kaplıca suyudur. ...... Tsotne çalışkan öğrencidir. ...... Çanak ve fincan kaptır. ...... Bu at sürüsüdür. ...... Bu dedenin değneğidir. ......

ჰ
h

ჰამაკი
ჰა - მა - კი

ჰამაკი	hamak	კარგი	güzel, iyi
ვაჟა	Vaja (özel ad)	ჰაერი	hava
დააწვინეს	yatırdılar	ძილი	uyku
კედელი	duvar	წინ	önce
ჰკიდია	asılı(dır)	გაწმინდეთ	temizleyin, arındırın
სოფელი	köy		

ჰ ჰამაკი

ჰამაკში პატარა ვაჟა დააწვინეს. საათი კედელზე ჰკიდია. ჩვენ სოფელში კარგი ჰაერია. ძილის წინ ოთახში ჰაერი გაწმინდეთ! (Uyumadan önce odayı havalandırın)

Gürcüce karşılıklarını yazınız:

Saat duvarda asılıdır. ...... Köyümüzde hava güzeldir. ...... Hamağa küçük Vaja'yı yatırdılar. ......



ხიდი საქართველო-თურქეთი KÖPRÜ
საქართველოს რესპუბლიკა
№121, ოთხშაბათი, 28 მაისი, 1997 წელი

თურქეთის გაზეთებიდან

თურქეთის საგარეო ვალმა 79 მილიარდ 767 მილიონ დოლარს მიაღწია

თურქეთის საგარეო ვალმა 79 მილიარდ 767 მილიონ დოლარს მიაღწია. თითოეულ ახალშობილზე 1266 დოლარი (171 მილიონი ლირა) მოდის.

(გაზეთი „საბაჰი", 24,04,97.).

„კეთილდღეობის პარტია დამოუკიდებლობის ჰიმნში ქალის ხმას ახლაც ვერ ეგუება"

აღნიშნა მემარცხენე დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ბიულენთ ეჯევითმა პარლამენტის სხდომაზე თავის გამოსვლაში. „თურქეთში არსებული რეჟიმის სერიოზული კრიზისი არსებობს. კეთილდღეობის პარტის მომხრეებს ყოველდღე აქეზებენ სახელმწიფოსა და არმიის წინააღმდეგ. ასეთ პირობებში სამხედროების რეაქცია არასამართლიანად ვერ ჩაითვლება. ვერცერთი სახელმწიფოს არმია ჩუმად ვერ იქნება და გულგრილი ვერ დარჩება, როდესაც სახელმწიფოსა და არმიის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყებისთვის აქეზებენ. კეთილდღეობის პარტია ვერ იტანს ლაიცისტურ რესპუბლიკას და არსებითად სახელმწიფოს წინააღმდეგ ომს აჩაღებს" – განაცხადა მან. ბ. ეჯევითის ამ სიტყვებს დეპუტატები კეთილდღეობის პარტიიდან პრემიერ-მინისტრ ერბაქანის მეთაურობით პროტესტით შეხვდნენ. როდესაც პარლამენტის თავმჯდომარე ქალემლი დიდი გაჭირვებით აწყნარებდა დეპუტატებს, ბ.ეჯევითი თავის სიტყვას განაგრძობდა: „კეთილდღეობის პარტიამ საგარეო პოლიტიკიდან სახელმწიფო გამოთიშა, თავის სპეციალურ პოლიციას სახელმწიფო პოლიციას უპირისპირებს, კეთილდღეობის პარტია დამოუკიდებლობის ჰიმნში ქალის ხმას ახლაც ვერ ეგუება". პარლამენტის თავმჯდომარემ ქალემლიმ ბ. ეჯევითს მოსთხოვა დაემთავრებინა სიტყვა. ორატორის პასუხი ასეთი იყო. „როგორც ერის წარმომადგენელი, ბოლომდე გამოვიყენებ ჩემს უფლებას ამ ტრიბუნაზე".

(ყველა გაზეთი, 24,04,97.).

რელიგიის პოლიტიკურ იარაღად გამოყენება ანტიკონსტიტუციურია

პრობლემები მხოლოდ არჩევნების გზით შეიძლება გადაწყდეს, რელიგიის პოლიტიკურ იარაღად გამოყენება ანტიკონსტიტუციურია, – განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა. ქვეყანაში შექმნილ რთულ ვითარებასთან დაკავშირებით.

(ყველა გაზეთი, 23,04,97.).

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორები

დიმიტრი არაყიშვილი



DİMİTRİ ARAKİŞVİLİ

Ünlü Gürcü bestecisi, müzikolog, eğitimci, toplum adamı, Gürcü profesyonel müziğinin kurucularından biri olan, Gürcistan Halk Sanatçısı, Gürcistan Bilimler Akademisi üyesi SSCB Devlet Ödülü sahibi Dimitri Arakişvili 11.2.1873'te Vladikavkaz'da doğmuştu.

1894-1890 yıllarında Moskova Filarmoni Müzik Okulu'nda öğreniyordu. Müzik öğrenimini tamamladıktan sonra Moskova'da kalıp yoğun bir faaliyette bulunuyordu.

1901-1908 yıllarında Gürcistan'da bilim gezisini düzenleyip çok büyük müzik malzemelerini topladı.

1906'da Moskova'da Rus bestecileriyle birlikte "Halk Konservatuvarını" tesis etti. 1908'de Moskova'da Müzika i Jizn" ("Müzik ve Hayat") dergisi çıktı, birkaç yıl bu derginin yazı isleri müdürüydü. D. Arakisvili Moskova'da oturduğu dönemde 20'den fazla romans ve "Şota Rustaveli Destanı" adlı opera yazdı. Bu opera Tiflis Opera Tiyatrosu'nda 1919'da sahnelendi. Bu eserle Gürcü milli opera tarihi başladı.

1918 yılından beri D. Arakişvili Tiflis'te oturuyordu. 1926-30 yıllarında Tiflis Konservatuvarı'nın Rektörü idi.

D. Arakişvili'nin müzik mirasında en önemli oda ve ses müziğidir. Romanslarının ayırdedici özellikleri melodiklik, lirizm ve ince uymlu bir renkliliktir.

D. A. 13.9.1953 vefat etti.

დიმიტრი არაყიშვილი ქართველი ხალხის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი კომპოზიტორია, რომლის საუკეთესო ქმნილებებმა თავისი მომხიბვლელი მელოდიურობით საყოველთაო გავრცელება ჰპოვა და თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი ერის კულტურულ ყოფაში.

კომპოზიტორის ცხოვრება ბავშვობის წლებით დაწყებული, ვიდრე უკანასკნელ დღეებამდე, აღსავსე იყო შთაგონებული შრომით მშობლიური მუსიკალური ხელოვნების საკეთილდღეოდ.

დიმიტრი არაყიშვილი ისტორიაში შევიდა, როგორც ახალი ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართული კლასიკური რომანსის შემქმნელი, მუსიკის გამოჩენილი მეცნიერ-ფოლკლორისტი და საზოგადო მოღვაწე.

დიმიტრი ეგნატეს ძე არაყიშვილი დაბადა 1873 წლის 23 თებერვალს ვლადიკავკაზში ღარიბ ოჯახში (შემთხვევითი არ იყო, რომ თავის ფსევდონიმად მან აირჩია გვარი – საწყალიშვილი). ბავშვობაში იგი მღეროდა საეკლესიო გუნდში, დაეუფლა სამუსიკო განათლების საწყისებს. 1894 წლიდან იგი მოსკოვში გადასახლდა. აქ მომავალი კომპოზიტორი საფუძვლიანად ეზიარა მუსიკალურ ხელოვნებას.

მოსკოვში არაყიშვილი 1918 წლამდე ცხოვრობდა. ისაა მისი მოღვაწეობის პირველი და მნიშვნელოვანი პერიოდი. იგი ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით, სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

1918 წლიდან არაყიშვილი თბილისშია, სადაც მისი მოღვაწეობა კიდევ უფრო ინტენსიურ ხასიათს იძენს. სხვადასხვა დროს იგი იყო თბილისის კონსერვატორიის რექტორი და პროფესორი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახალხო არტისტის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორისა და მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის საპატიო წოდება.

თავის შემოქმედებით თანამოაზრეებთან – მელიტონ ბალანჩივაძესა და ზაქარია ფალიაშვილთან ერთად დიმიტრი არაყიშვილი ქართული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელია. განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ქართული რომანსის ჟანრში, რომლის კლასიკური ნიმუშები მან შექმნა თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში. ასეთებია ცნობილი რომანსები „ვარსკვლავიანსა ღამეს", „მე შენ გელი",„ღამეა ბნელი", „ივერიის მთებზე" და კიდევ ბევრი სხვა.

დიმიტრი არაყიშვილმა შექმნა ოთხმოცამდე რომანსი, რომელთა სტილისტური ძირები მათთვის დამახასიათებელი გრძნობებით, აღმოსავლური ელფერით ქართულ ქალაქურ ლირიკულ სიმღერას უკავშირდება. არაყიშვილი ლირიკოსია, მისი მუსიკა მელოდიურად გამომსახველი და მომხიბვლელია.

ქართველი ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა არაყიშვილის ოპერამ „თქმულება შოთა რუსთაველზე", რომელიც ემყარება ჩვენი გენიალური პოეტის ბიოგრაფიის ერთ დრამატულ ეპიზოდს. საგულისხმოა, რომ ოპერა დაიდგა 1919 წელს, სწორედ იმ დროს, როდესაც პირველად აჟღერდა ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი „აბესალომ და ეთერი" და ვიქტორ დოლიძის უბერებელი კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე". ამიტომაა, რომ 1919 წელს ქართული ოპერის „ოქროს წელიწადს" უწოდებენ.

განსაკუთრებული მოწონება ხვდა არაყიშვილის ოპერის ისეთ მუსიკალურ ნომრებს, როგორიცაა აბდულ-არაბისა და გულჩინას დუეტი თამარის კავატინა, ურმული და სხვ. ამ მუსიკალური ნომრების მუსიკა იშვიათი მელოდიური გამომსახველობით გამოირჩევა.

ვოკალური მუსიკის დიდმა ოსტატმა დიმიტრი არაყიშვილმა შექმნა ქართული სიმფონიური მუსიკის პირველი ნიმუში. ეს გახლავთ სიმფონიური სურათი „ჰიმნი ორმუზდს – სინათლის ღვთაებას" (1911). თავისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში კი კომპოზიტორმა პირველი ქართული სიმფონიებიც დაწერა.

არაყიშვილი ქართული მეცნიერული მუსიკალური ფოლკლორისტიკის ფუძემდებელია. მის მიერ შეგროვილ და გამოქვეყნებულ ხალხური სიმღერების კრებულს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს.

დიმიტრი არაყიშვილის შესანიშნავი მუსიკა მარად ცოცხალი მხატვრული მემკვიდრეობაა. იგი ქართველი ხალხის კულტურული საუნჯის განუყოფელი ნაწილია.

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი გარდაიცვალა 1953 წელს.

გულბათ ტორაძე,
პროფესორი.

ხელოვნება

დიდი მადლობა „რუსთავის" წევრებს...

(დასასრული)

ანსამბლის ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი.

ანური ნიჭიერების საზღვრებს სცილდება, დიდი მღელვარება გეუფლებათ, სუნთქვა გეკვრით და ფიქრობთ, კიდევ კარგი, რომ ამ საგანჯველ ქვეყანაზე ხელოვნება არსებობს.

რა იქნებოდა ეს ქვეყანა, რომ იგი მხოლოდ პოლიტიკოსებისაგან, გენერლებისა და ვაჭრებისაგან შედგებოდეს!

* * *

ჭეშმარიტი ხელოვნება ადამიანს დროსა და ადგილს მოსწყვეტს.

როდესაც თვალს ადევნებთ სცენაზე ამოვარდნილ ქარიშხალს, გგონიათ, რომ მრავალი ათასი წლის წინანდელ ეპოქაში გადასახლდით, წითელთავესაბურიან მოცეკვავეებს ძველ ეგვიპტელებს ამსგავსებთ.

მრგვალ ფარებზე ხმლების დარტყმისაგან ავარდნილი ნაპერწკლები ჰომეროსის მითოსურ სამყაროში გადაგიყვანთ. ვინ არიან ეს მეომრები? აქილევსის ვაჟკაცები? ჰექტორი თუ ტროელი მეომრები?

როდესაც სცენაზე წითელსამოსიანი მოცეკვავეები ტრიალებენ, თვალწინ წარმოგიდგებათ მატისის (ფრანგი მხატვარი) ტილო, სადაც წითელი ადამიანების ცეკვაა გამოსახული. მატისს ეს ცეკვა უნდა ენახა!

ჩინეთში პეკინის ოპერა მინახავს, მექსიკაში – მაიას ცეკვები...

ერზინჯანის მთებში მონაწილეობა მიმიღია ბექთაშიების სადღესასწაულო რიტუალებში, მევლევიელთა რიტუალურ ცეკვაში და ალვინ ეილის ევანგელისტურ ცეკვებშიც.

წლების მანძილზე მქონდა შესაძლებლობა მენახა და მომესმინა მრავალი სიმღერა და ცეკვა, რაც კაცობრიობას შეუქმნია: ჩრდილოეთ ჩინეთში მცხოვრები უიღურების სიმღერებიდან იაპონურ კლასიკურ თეატრ კაბუკიმდე, ნეშეილის მელოდიებიდან არაბული უდაბნოების ზეცასმწვდომ კვნესამდე, გრანადის ანდალუზიური რიტმებიდან შტოკჰაუზენისა და ქსანაკისის მინიმალიზმამდე.

დაბოლოს, საოცრად ღრმად განვიცადე ქართველი ხალხის მიერ კავკასიონის მთებში შექმნილი ხელოვნების გამაოგნებელი შემოქმედება.

* * *

მსოფლიო კულტურის მრავალფეროვანებაში შეგიძლიათ აღმოაჩინოთ ზოგიერთი ფორმა და სტილი, რომელიც თქვენთვის უფრო ახლობელია.

კავკასიის, ბალკანეთისა და ეგეოსის ქვეყნების კულტურები უფრო მიზიდავს,ვიდრე მახლობელი აღმოსავლეთისა.

რატომ?

იმიტომ, რომ ამ კულტურებში ქალს – ქალის და მამაკაცს – მამაკაცის ადგილი უკავია და სამყაროს ერთად ქმნიან.

არაბულ კულტურაში კი ქალს კაცი ჩაენაცვლება და უცნაური სტრუქტურა წარმოიქმნება.

უფრო სწორად საზოგადოებაში, სადაც ქალი გათიშულია, ზოგიერთი მამაკაცი ქალისათვის დამახასიათებელ თვისებას იძენს.

არაბული კულტურის გავლენის ქვეშ მოქცეული მახლობელი აღმოსავლეთის ხალხურ სიმღერებში მამაკაცის ხმა ქალისაზე უფრო წვრილია, წარმოუდგენელ მაღალ ნოტებს კივილით იღებენ, ეს კი ჩემს წარმოდგენას ლამაზ ხმაზე არ შეესაბამება.

* * *

ცეკვაშიც იგივე ვითარებაა. ქოჩექის (კოზაკი) ცეკვაში ესე იგი ცეკვაში, რომელიც „მოცეკვავე ბიჭის" ტრადიციებს ემყარება, მამაკაცები მხრებს ათამაშებენ, კისერს იგრეხენ, მუცლის ცეკვას ასრულებენ და თეძოებით ერთმანეთს ეხებიან.

კავკასიის, ბალკანეთისა და ეგეოსის ქვეყნების ცეკვებში კი მამაკაცები ხელებს მხრებზე მაღლა არ სწევენ,არც თითებს ატკაცუნებენ და არც იგრიხებიან.

მათი მოძრაობები ხან მხედარს, ხან კი არწივს მოგვაგონებს.

ქალები თავაწეულნი, არაჩვეულებრივად ამაყნი და ზმდენად კეთილშობილნი არიან, გჯერათ, რომ შეძლებენ ღირსეულად გაუძლონ ყოველგვარ ტკივილს, რაც ცხოვრებას მოაქვს.

* * *

თავს მოვალედ ვთვლი, დიდი მადლობა მოვახსენო „რუსთავის" ანსამბლს, მის წევრებს და თურქეთში ქართული კულტურის უანგარო ელჩს – იბერია ოზკანს, იმისათვის, რომ მსოფლიოს ულამაზეს ტრადიციებს მაზიარეს.

(გაზეთი „მილიეთი", 24, 3, 97.)
თურქულიდან თარგმნა
მურმან ბელთაძემ.

ღიმილის დოზა

სტამბოლის ჩაიხანაში:
– არ ვიცოდი, თუ ასეთი კარგი ჩაი გვქონია ქართველებს.

მხატვარი ვახტანგ კუცია.

სარედაქციო კოლეგია:
აბესალომ იმედაშვილი (რედაქტორი), ანზორ ბასილაია, მურმან ბელთაძე, ნელი გურგენიძე, ოთარ დოლიძე, მიხეილ სვანიძე, ნოდარ შენგელია, ჯემალ ქარაზანიშვილი, ნოდარ ჯანაშია.
ტელ: 99-73-01.

სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის" სპეციალური გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

საქართველოს ნაკრები — მეორე ადგილზე

ნიჟნი ნოვგოროდის მახლობლად ქალაქ კსტოვოში 3 დღეს გრძელდებოდა მსოფლიო თასის პირად-გუნდური გათამაშება ჭიდაობა სამბოში. შეჯიბრებაში საქართველოს 9 ფალავანი მონაწილეობდა, რომლებმაც შესანიშნავად იასპარეზეს.

ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა მცხეთელმა მოჭიდავემ არჩილ ჩოხელმა (68 კილოგრამი). ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს მცხეთელმა მსოფლიო ორგზის ჩემპიონმა ჯონდო მუ-ზამეილმა (74 კილოგრამი), ზუგდიდელმა ლაშა ფიფიამ (82 კილოგრამი) და კასპელმა ივანე გამხიტაშვილმა (90 კილოგრამი). ბრინჯაოს მედლები ხვდათ თბილისელ ბესო ოდიშელს (52 კილოგრამი) და კასპელ მძიმეწონოსანს ჯამბულატ ქამხაძეს.

მსოფლიოს გარდამავალი თასი მოიპოვა რუსეთის ქალაქ კსტოვოს სამბისტთა ნაკრებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა საქართველოს (მწვრთნელები — ოლეგ იაძე, ემილ რაში) ფალავანთა ნაკრები. მესამეზე უკრაინის მოჭიდავეთა გუნდი.

ოქტომბერში თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება მსოფლიოს პირად-გუნდური ჩემპიონატი ჭიდაობა სამბოში.

მხოლოდ ორი პრიზიორი

ფინეთის ქალაქ კუოლაში დამთავრდა ევროპის 1997 წლის პირად-გუნდური ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელშიც კონტინენტის უძლიერესი ფალავნები მონაწილეობდნენ.

69 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა ქუთაისელმა გიორგი ჯინჭველაშვილმა, ხოლო სამტრედიელმა აკაკი ჩაჩუამ (63 კგ.) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

საქართველოს გუნდში (მწვრთნელი — ბეგი დარჩია) 7 მოჭიდავე გამოდიოდა.

სურათზე: მცხეთელი მოჭიდავე არჩილ ჩოხელი.

ალექსანდრე კოტორაშვილის („ლელო") ფოტო.

ჩოგბურთი

„როლან გაროსი": უდიდესი ინტერესი

ორშაბათს დაიწყო საფრანგეთის ღია პირველობა ჩოგბურთში, „როლან გაროსი", რომელიც, როგორც ყოველთვის, უდიდეს ინტერესს იწვევს. შეიძლება ძნელი დასაჯერებელიც კი იყოს, მაგრამ მას ესწრება 2000 (!) სპეციალისტი და მიმომხილველი. ბილეთები კარგა ხნით ადრე გაიყიდა, ხოლო ვისაც ახლა მაინცდამაინც გულით უნდა შეჯიბრებაზე დასწრება, შავ ბაზარზე 800 ფრანკი უნდა გადაიხადოს. რახან კორტები დილიდან საღამომდე ხალხით არის სავსე, ზოგი ჟურნალისტი მატჩებისათვის თვალყურის დევნებას სტადიონის... რესტორნიდან ამჯობინებს, მით უმეტეს, რომ აქედან ყველაფერი მშვენივრად ჩანს.

მიმომხილველთა შორის ბევრია წარსულში გამოჩენილი ოსტატი. ასე, მაგალითად, მოსკოვის დამოუკიდებელი ტელევიზიისათვის მუშაობენ სპორტის დამსახურებული ოსტატები ანა დმიტრიევა და ალექსანდრე მეტრეველი, ხოლო დიდმა ჩოგბურთელმა ჯიმი კონორსმა, რომელიც ასევე რამდენჯერმე იყო „როლან გაროსის" შეჯიბრების კომენტატორი, ამჯერად ჩათვალა, რომ ჟურნალისტის ფუნქციების შესრულება მისთვის ძნელი და მომქანცველია, ამჯობინა ვეტერან ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში მონაწილეობა, რომელიც აქ სისტემატურად იმართება.

წამყვანი ვაჟი ჩოგბურთელებიდან შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა ანდრე აგასიმ, რომელსაც ტრავმა აქვს. ზედიზედ მეოთხე „როლან გაროსში" არ მოისურვა თამაში ბორის ბეკერმა, თუმცა მიზეზი არ დაუსახელებია. სხვა ცნობილი ოსტატებიდან ტრავმების გამო არ თამაშობენ ამერიკელები მალივაი ვაშინგტონი და ტოდ მარტინი.

კომენტატორთა აზრით, „როლან გაროსის" მარშანდელ გამარჯვებულ ევგენი კაფელნიკოვს წლეულს თავისი წოდების შენარჩუნების არავითარი შანსი არა აქვს, თუმცა „რეიტინგ-ლისტში" ავსტრიელი თომას მუსტერი შეავიწროვა და მეოთხედან მესამე ადგილზე გადაინაცვლა (1. პიტ სამპრასი. 2. მაიკლ ჩანგი). საქმე ის არის, რომ მან იანვარში მარჯვენა ხელის ნეკი დაიშიანა და მას შემდეგ თამაში საკმაოდ გაუჭირდა, რამდენიმე ტურნირში მარცხი იგემა, ყველაზე უკეთ კი ჰამბურგის საერთაშორისო ტურნირში ითამაშა, სადაც ნახევარფინალამდე მიაღწია და უკრაინელ ანდრეი მედვედევთან დამარცხდა. თვით კაფელნიკოვის აზრით, პარიზში გამარჯვების ყველაზე კარგი შესაძლებლობა პიტ სამპრასს ექნება.

რაც შეეხება ქალებს, აქ ამჯერად რამდენიმე ფავორიტია. მარტინა ჰინგისი, რომელსაც იანვარში ავსტრალიის ღია ჩემპიონატში ბრწყინვალე გამარჯვება ხვდა წილად, შემდეგ ცხენიდან ჩამოვარდა, მუხლი დაიშიანა და რამდენიმე ტურნირი გამოტოვა. მისი შესაძლებლობები ამჟამად საკმაოდ ბუნდოვნად მიაჩნიათ. სერიოზული ტრავმა ჰქონდა შტეფი გრაფსაც, რომელმაც წინასწარ ტურნირებში რამდენადმე მაინც შეძლო საბრძოლო მზადყოფნის გაუმჯობესება. საპრიზო ადგილების პრეტენდენტები არიან აგრეთვე მონიკა სელეში და არანტა სანჩესი. ზოგი მიმომხილველი ასახელებს მერი ჯო ფერნანდესსაც.

როგორც კომენტატორებს მიაჩნიათ, სერიოზული მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ ახლახან დამთავრებულ შეჯიბრებებს მონტეკარლოში, რომსა, დიუსელდორფსა, ჰამბურგსა თუ ბერლინში — ახლა მთავარია, ვინ როგორ გამოვა პარიზში.

მამ ასე, სტარტი აიღო დიდი სლემის ასპარეზობამ.

გივი გამრეკელი.

მძლეოსნობა

1 ივნისამდე რაღა რჩება!

როგორც ვიუწყებოდით, 1 ივნისს უნდა მოეწყოს სპორტის ისტორიაში უნიკალური შეხვედრა სამყაროს უსწრაფეს მორბენლებს შორის. ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი 100 მეტრზე რბენაში კანადელი დონოვან ბეილი ხვდება ოლიმპიურ ჩემპიონს, მსოფლიო ჩემპიონსა და რეკორდსმენს 200 მეტრზე რბენაში მაიკლ ჯონსონს (აშშ).

რათა არც ერთი მათგანი არ „დაიჩაგროს", შეჯიბრება ეწყობა, ასე ვთქვათ, „ნეიტრალურ" სახეობაში — 150 მეტრზე რბენაში.

როგორც კომენტატორები იუწყებიან, ორივე მორბენლის მზადყოფნა ამჟამად მაქსიმალურია.

მამ ასე...

მაკა მელიავა.

რასა იქამთ, ჩემპიონებო?

თინანო ექიმის ყველაზე ძვირფასი ჯილდო

ამას წინათ თელავში გახლდით რედაქციის დავალებით. უკვე საღამოვდებოდა. საქმეებს რომ მოვრჩი, ნელი ნაბიჯით დავადექი ქალაქის ცენტრისკენ მიმავალ გზას. ქუჩის მეორე მხარეს მომხიბვლელი ქალბატონი მიაბიჯებდა ყმაწვილთან ერთად. მეცნაურა, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე, ხაიდან. ის იყო, ნაბიჯს ავუჩქარე, რომ, ჩემდა უნებურად, ჯერ საცურაო აუზი დამიდგა თვალწინ, შემდეგ კი — კვარცხლბეკზე მდგარი ქალიშვილის აცრემლებული სახე.

„თინათინ ლეკვეიშვილი, — გამიელვა წამიერად. — სწორედ, ის არის". ახლა მეტად დავაკვირდი, მეხსიერება ნამდვილად არ მღალატობდა. გონებით ბარსელონას „შევეხმიანე", სადაც 1970 წელს ქართველმა მოცურავემ ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა...

— მაპატიეთ, თქვენ თინათინ ლეკვეიშვილი ბრძანდებით, არა? — ვკითხე, ცოტა არ იყოს, დაბნეულად.

— დიახ, თინათინ ლეკვეიშვილი ვარ, თქვენ კი ვერ გიცანით, — ღიმილმა სახე გაუნათა მშვენიერ ქალბატონს.

ავუხსენი ვინც ვიყავი.

— ქალბატონო თინათინ, თქვენს შესახებ დიდი ხანია, არაფერი გვსმენია. სად ცხოვრობთ, რას საქმიანობთ?

— სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე თუ არა, თელავში წამოვედი, რადგან აქ ცხოვრობდა და საქმიანობდა ჩემი მეუღლე თამაზ ხიდაშელი. დღემდე თელავის ონკოლოგიურ დისპანსერში ვმუშაობ ონკოგინეკოლოგად. ეს ჩემი ვაჟია, დავითი, წლეულს საშუალო სკოლას ამთავრებს.

— დიდი ბიჭი გყოლიათ.

ქალბატონ თინათინს გაეცინა:

— კიდევ ორი ვაჟიშვილი მყავს. უფროსი, მოთა, აგრარული აკადემიის დიპლომანტია, ხოლო შუათანა — გიორგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პირველკურსელი. სამწლინახევრის შვილიშვილიც მეზრდება, პაპამისის სეხნია.

საუბრით სკვერსაც მივაღწიეთ და გრძელ სკამზე ჩამოვსხედით. ქალბატონ თინათინს სპორტული კარიერის წლების გახსენება ვთხოვე.

— ბავშვობაში ძალიან ცელქი ვიყავი, — ღიმილით იგონებს ყოფილი მოცურავე — ახლობლების რჩევით, დედამ თავის ბიცოლასთან — თინა ქოიავასთან მიმიყვანა, რომელიც ტანვარჯიშის მწვრთნელად მუშაობდა. სამი თვის შემდეგ ჩემებს გამოუცხადა, თინანოსგან (შინაურები ასე ემახდნენ) ტანმოვარჯიშე არ დადგება და უმჯობესია, ისევ თავის მუსიკას და ინგლისურს მიხედოსო. ქალბატონ თინა ქოიავას ვაჟმა, იურიმ, რომელსაც ძალიან ვუყვარდი, ცურვის სექციაში მივიყვანოთო, თქვა. ეს სახეობა ალბათ იმიტომ შეარჩია, რომ თვაად წყალბურთელობდა. „დინამოს" საცურაომდე ორ ნაბიჯზე — მამინდელ ტელმანის ქუჩაზე ვცხოვრობდი. მარგარიტა ტატიშვილს ჩააბარეს ჩემი თავი. ოთხი თვე ნაჭყუმპალაოდან არ ამოვსულვარ, ერთხელ გავცივდი და გაკვეთილები გამიცდა. ჩემებმა აუზს ჩამომაშორეს. ბევრი ვიწუწუნე, მაგრამ ყურიც არავინ მათხოვა.

— მაშ, მოცურავე როგორღა გახდით?

— მუსიკაზე ბებიას დავყავდი. ერთ დღეს ქუჩაში ჩემი მწვრთნელი შევეხვდა. ქალბატონმა მარგალიტამ ბებია დაიყოლია და დედისგან უჩუმრად მთელი წელიწადი ვიარე ცურვაზე. მერე „მხიარული დელფინის" საქალაქო შეჯიბრებაზე საპრიზო ადგილი დავიკავე. მე და ბებიამ დიდის ამბით მივართვით დედას ჩემი სიგელი. იგი ძალიან გაგვიბრაზდა, მაგრამ მოვთაფლეთ და ვარჯიშზე სიარულის ნებაც დავტყუეთ. მაშინ 10 წლის ვიყავი. ორი წლის შემდეგ საქართველოს პირველობა მოვიგე დიდებს შორის, ხოლო ლენინგრადში თანატოლებს ვაჯობე საკავშირო პირველობაზე.

— ყველაზე დიდი სიხარული როდის განიცადეთ?

— 1968 წელს წახკაძორში. 14 წლის გოგონამ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ოქროს მედლები მოვიგე გულაღმა ცურვაში 100 და 200 მეტრ დისტანციებზე. ამგვარი წარმატება მომდევნო წლებში კიდევ ზედიზედ ხუთჯერ გავიმეორე.

— მაგრამ ხომ იყო უფრო მნიშვნელოვანი წარმატებებიც, თუნდაც ევროპის ჩემპიონობა?

— 1970 წელი ჩემთვის მართლაც დაუვიწყარია. ჯერ საკავშირო ჩემპიონატზე ორი „ოქრო" ავიღე, შემდეგ საბჭოთა კავშირ-გდრ-ის სამატჩო შეხვედრაზე გავიმარჯვე. ბოლოს ბარსელონაში ამოვყავი თავი, ევროპის ჩემპიონატზე. ფინალური გაცურვის წინ მწვრთნელებისგან დაიმედებული, რომ საკმაო დრო მქონდა დასასვენებლად, არხეინად ვიყავი. ამ დროს ვლადიმერ ბურემ დამიყვირა, მენები (გაცურვის მონაწილეები) სტარტზე მიდიან, რალას უცდიო. ამ დროს აფორიაქებული მწვრთნელებიც მოვარდნენ. არ მახსოვს, როგორ გავირბინე მანძილი სტარტამდე. გულს ბაგა-ბუგი გაქონდა. გუნდში ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი და მეშინოდა, წაგება ჩემთვის არ დაებრალებინათ. წყალში გადავეშვით თუ არა, ისე მძლავრად გავცურე პირველი ორმოცდაათი მეტრი, რომ უახლოეს მდევარს მთელი კორპუსით გავუსწარი. დარჩენილ დისტანციაზე კი ვიგრძენი, როგორ მელეოდა ძალა, მეტოქეებიც მეწეოდნენ. თავს შევუძახე და ბოლო-ბოლო 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ევროპის ჩემპიონობა მოვიპოვე. 200 მეტრ დისტანციაზე ვერცხლის მედალი მერგო, ხოლო 4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში, სადაც ჩემთან ერთად გამოდიოდნენ ოლიმპიური ჩემპიონი გალინა პროზუმენშიკოვა, ლენა ბოდროვა და ლუდმილა ზალატნიცკაია, კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავედი. იმ წელიწადს სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტიც გავხდი. მქონდა სხვა წარმატებებიც, კერძოდ, 1969 და 1971 წლებში ბუდაპეშტსა და ბრატისლავაში ევროპის თასი მოვიგე. 1968 და 1972 წლებში ოლიმპიადებზეც ვიასპარეზეთ. მიუნხენში 4X100 მეტრზე ესტაფეტაში მცირედით გაგვისწრო გდრ-ის ნაკრებმა და მე-4 ადგილზე დავტოვა.

— საბჭოთა ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად ქართველ სპორტსმენებს ყოველთვის დიდი ჯაფა ადგებოდათ. თქვენ თუ განგიცდიათ ასეთი წნეხი „ზემოდან"?

— ჩემსა და მეორე-მესამე ნომრებს შორის დიდი სხვაობა იყო ყოველთვის, ამიტომ ნაკრების მწვრთნელები ვერ მელეოდნენ. 1970 წელს, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, უკვე სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი ცურვისთვის თავის დანებებას ვაპირებდი, მაგრამ მიუნხენის ოლიმპიადამდე ამის უფლება არ მომცეს. მაშინ, ხომ იცით, მარტო სპორტსმენზე როდი იყო ყველაფერი დამოკიდებული. ის კი არა, ჩემდა დაუკითხავად, ორი წლით ინსტიტუტში აკადემიური გამიფორმეს, რომ ვარჯიშში ხელი არ შემშლოდა. იყო ერთი პატარა ინციდენტი, ოღონდ „სოვეტსკი სპორტის" კორესპონდენტთან. 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიადაზე გამგზავრებამდე საწვრთნელ ბაზაზე მოვიდა ის კაცი. ინტერვიუ სურდა ჩემთან, როგორც საბჭოთა ნაკრების ყველაზე მცირეწლოვან წევრთან. როცა მკითხა, რას აპირებო მეხიკოში, დაუფიქრებლად ვუპასუხე: „Прославить Грузию". კორესპონდენტმა მაშინვე გამორთო მიკროფონი, საკმაოდ სახემოღუშულმა მკაცრად გამაფრთხილა: ეს ერთხელ გითქვამს და მეორედ აღარ გაიმეორო, გახსოვდეს, რომ შენ საბჭოთა კავშირის მოქალაქე ხარო. მაშინ კი შემეშინდა, არ დამტოვონ-მეთქი, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა...

1973 წელს თინათინ ლეკვეიშვილმა საკავშირო ჩემპიონატზე ბოლო ოქროს მედლები მოიხვეჭა. მერე ცისფერ ბილიკიდან „გადაუხვია" და ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა „სამოქალაქო პროფესიის" ათვისებას. აქაც იყო ჩაღა. ძნელია, იყო კარგი ექიმი, მით უმეტეს ონკოგინეკოლოგი, უფრო ხშირად თითქმის განწირულ ადამიანებთან უხდება ურთიერთობა, მაგრამ სამი ვაჟიშვილის დედამ და ბებიამ კარგად იცის მზრუნველობისა და სიყვარულის ფასი, რომელსაც იგი თავის პაციენტებსაც არ აკლებს. ისინიც მადლიერნი არიან გულისხმიერი მკურნალისა, სიყვარულზე სიყვარულითვე პასუხობენ, რაც თინანო ექიმისთვის ყველა ჯილდოზე ძვირფასია.

ვაჟა დანელია.

სურათებზე: თინათინ ლეკვეიშვილი სპორტული ნადავლით; ცისფერ ბილიკზე.

ფეხბურთი

დღეს მიუნხენში

დღეს, 23 საათსა და 30 წუთზე უნგრელი მსაჯის შანდორ პულის სასტვენის ხმაზე მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე დაიწყება ჩემპიონთა ლიგის ფინალური შეხვედრა „ბორუსია" (დორტმუნდი) — „იუვენტუსი" (ტურინი).

კონტინენტის საკლუბო სეზონის უმთავრეს მატჩს მეტოქენი განსხვავებული განწყობილებით ხვდებიან: „იუვეში" „სერია-ა"-ს ფინიშამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდა 24-ე „სკუდეტო", ბუნდესლიგის ჩემპიონმა კი მარშანდელი ტიტული მიუნხენის „ბაიერნს" გადაულოცა და საუკეთესო შემთხვევაში ბრინჯაოს მედლებს მოიპოვებს.

მაგრამ არის გარემოებები, რომლებიც იტალიელთა ამ ერთი შეხვედრით პლიუსს აბათილებს. უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია გადამწყვეტი ორთაბრძოლის გამართვის ადგილი. „ბორუსია", ფაქტიურად, შინ ითამაშებს. გავიხსენოთ ისიც, რომ გერმანულ კლუბს უკვე 15 წელიწადია არ მოუგია ევროტურნირების ყველაზე პრესტიჟული ჯილდო, ასეთი შანსის გამეება კი მსოფლიოს სამგზისა და ევროპის სამგზის ჩემპიონთა სამშობლოში ამავე ქვეყნის წარმომადგენლებს ძნელად თუ აპატიებენ. და ბოლოს, დორტმუნდელთა ვარსკვლავებმა ზამერმა, შაპუიზამ, რიდლემ და როიტერმა გაჭიანურებული ტრავმები მოიშუშეს, რაც კიდევ უფრო ზრდის მასპინძელთა ამბიციებს.

ღირსებები იტალიელებსაც გააჩნიათ. დავიწყოთ იმით, რომ ძირითად შემადგენლობაში უნიჭიერესი ახალგაზრდების დაწინაურებით აპენინურ სუპერკლუბში უმწვავესი კონკურენცია სუფევს. ეს ფაქტორი კი, მოგეხსენებათ, ოსტატობის ზრდის საუკეთესო წინაპირობას წარმოადგენს. 90-იან წლებში დღევანდელი მეტოქენი პოპულარულ საკლუბო ტურნირებში რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს და ჯერჯერობით უპირატესობა პირად პაექრობებში ტურინელთა მხარეზეა.

მამ ასე, მოვითმინოთ რამდენიმე საათიც და შევიტყობთ, ვინ აჯობებს: ოტმარ ჰიტცფელდის „ბორუსია" თუ მარჩელო ლიპის „იუვენტუსი".

გია პლატონიშვილი.

ყოველი მხრიდან

შედგება მესამე მატჩი?

ჯერ კიდევ არ შემწყდარა ის მითქმა-მოთქმა, რაც კომპიუტერთან დიდოსტატ გარი კასპაროვის დამარცხებამ გამოიწვია და უკვე ახალი ამბების მორიგი ტალღა აგორდა — წინა კვირის ბოლოს მსოფლიო ჩემპიონმა კვლავ გამოიწვია დუელში „დიპ ბლიუ", მაგრამ ორთაბრძოლის ახალი რეგლამენტით — 20 დღის განმავლობაში უნდა გაიმართოს 10 პარტია, თანაც საპრიზო ფონდი კი არ განაწილდეს, არამედ მთლიანად გამარჯვებულმა მიიღოს.

საქვეყნოდ ცნობილ კორპორაციას — „ინტერნეშნლ ბიზნეს მაშინზს" ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, როგორ უპასუხოს დიდოსტატის გამოწვევას.

„საკითხს, ბუნებრივია, განიხილავს კორპორაციის ხელმძღვანელობა და „დიპ ბლიუს" მომსახურების გუნდი, — განაცხადა ტი-ეს-აის ფირმის წარმომადგენელმა ლიუზ სმარტმა, რომელიც განაგებს კორპორაციის პრესასთან და საზოგადოებრიობასთან ურთიერთობის საკითხებს, — კასპაროვის წინადადება საინტერესოა, მაგრამ მივიღებთ თუ არა მას, ჯერჯერობით უცნობია".

9 წლის შემდეგ გადაწყვიტეს

კრივის მოყვარულებს ალბათ ახსოვთ, სპორტულ საზოგადოებრიობაში როგორი აჟიოტაჟი გამოიწვია 1988 წელს სეულის ოლიმპიური თამაშების ფინალში ამერიკელი მოკრივის როი ჯონსის სკანდალურმა დამარცხებამ სამხრეთკორეელ საშუალო წონოსან პაკ სი ხუნთან. ამბობდნენ, რომ რამდენიმე მსაჯი მოსყიდული იყო და განზრახ მიანიჭეს გამარჯვება კორეელსო.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომმა ამ დღეებში, 9 წლის შემდეგ, დაადგინა არ შეიცვალოს მსაჯების მაშინდელი გადაწყვეტილება, ვინაიდან 9 თვის მანძილზე ჩატარებული გამოკვლევით კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ არ აღმოჩნდა ამ შეხვედრის შედეგის განსაზღვრისას თვალთმაქცობის ან მოსყიდვის რაიმე დამამტკიცებელი საბუთი.

ამ გამოკვლევას უბიძგა ყოფილი გდრ-ის დაზვერვის სამსახურის — შტაზის ახლად აღმოჩენილმა დოკუმენტებმა. მათში ლაპარაკი იყო, რომ მოსყიდულმა მაროკოელმა, ურუგვაელმა და უგანდელმა მსაჯებმა გამარჯვება თამაშების მასპინძლის წარმომადგენელს მიაკუთვნეს. მაგრამ საბუთების გულდასმით შემოწმებამ დაამტკიცა, რომ ასეთი ცილისწამება დაუსაბუთებელია.

ასე რომ, „დაზარალებულ" ამერიკელს ოქროს მედალზე უარი ეთქვა.

ინვალიდები — მსოფლიო ჩემპიონები

მაღალი მიღწევები სპორტში მარტო ყველაზე ძლიერების, ყველაზე მოხერხებულების ხვედრი როდია. სპორტულ არენაზე გამარჯვების დიდი სიხარული უცხო არ გახლავთ ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანებისათვისაც. ეს ერთხელ კიდევ დაამტკიცეს რუსეთის ინვალიდთა ფეხბურთის ასოციაციის ნაკრების წევრებმა ჰოლანდიის ქალაქ დელდენში გამართულ ტურნირზე. გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ბავშვთა ცერებრალური დამბლით დაავადებულ ფეხბურთელთა შორის. პორტუგალიის ნაკრებთან ფინალური მატჩის ძირითადი დრო უშედეგოდ დამთავრდა, თერთმეტმეტრიანთა სერიაში კი რუსებმა იმარჯვეს 4:2.

გუნდის ეს წარმატება დიდად იყო გაპირობებული მწვრთნელის ავთანდილ ბარამიძისა და ექიმ იზოლდა ჭყონიას დაუღალავი შრომითაც.

ჭადრაკი

სიდნეის ოლიმპიადის პროგრამაში?

1995 წლის მიწურულს ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა წამოაყენა წინადადება, მსოფლიო ჩემპიონობის ტიტული გათამაშებულიყო 100 საუკეთესო მოჭადრაკეს შორის ოლიმპიური სისტემით და 5 მილიონი დოლარი საპრიზო ფონდით. მაშინ ამის დაჯერებაც კი შეუძლებელი იყო, რადგან მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციას საკუთარი აპარატის შენახვის სახსრებიც კი უჭირდა.

გავიდა დრო. შეიცვალა საჭადრაკო სამყარო. ბევრმა ოპოზიციონერმაც შეიცვალა აზრი, რადგან ილუმჟინოვმა ამ ორი წლის განმავლობაში ყველა დაპირება შეასრულა.

„სპორტ-ექსპრესის" კორესპონდენტი ესაუბრა კირსან ილუმჟინოვს. გთავაზობთ ამ ინტერვიუს მცირეოდენი შემოკლებით.

— რუსეთის ჩემპიონატი ჭადრაკის ისტორიაში იქნება პირველი შეჯიბრება, რომელშიც ჩემპიონის ტიტული პლეი-ოფის სისტემით გათამაშდება. თქვენი აზრით, რაში მდგომარეობს მისი ღირსება და ნაკლი?

— რუსეთის საიუბილეო ჩემპიონატს აქვს თავისი თავისებურებანი, კერძოდ, იგი იქნება სარეკორდო საპრიზო ფონდით, თანაც ეს შეჯიბრება გახლავთ მსოფლიო საჭადრაკო ისტორიაში პირველი ტურნირი, რომელიც ოფიციალურად იმართება ოლიმპიური სისტემით. მისი უპირატესობა ნათელია — გულშემატკივართა და სპონსორთა ინტერესი მის მიმართ განუზომელია. ამაზე მეტყველებს საპრიზო ფონდი — 100 ათასი დოლარი. ამასთანავე, რუსეთის მოჭადრაკეებს მსოფლიო ჩემპიონატის წინ ამ სისტემის მოსინჯვის საშუალება ექნებათ. რაც შეეხება სისუსტეებს, როგორც ზოგიერთები თვლიან, ეს არის ჩემპიონის წოდების ნიველირება. თუმცა, მოჭადრაკეები არანაკლებ აპრიორებენ შეფიცარულ სისტემასაც. შეჯიბრების მონაწილეებისგან, გარდა ტექნიკური მხარეებისა, შენიშვნები არ ყოფილა. ვფიქრობ, მოჭადრაკეები თავად არიან დაინტერესებული ჩემპიონატის ამგვარად ჩატარებაში, რადგან ეს მათ დიდი ფულის გამომუშავების საშუალებას აძლევს.

— როგორ დაიბადა მსოფლიო ჩემპიონატის ოლიმპიური სისტემით ჩატარების იდეა?

— როცა ფიდეს პრეზიდენტად ამირჩიეს, დავრწმუნდი, რომ ჭადრაკი, როგორც სანახაობრივი სპორტის სახეობა, სულს ლაფავდა. იგი უკვე ველარ იზიდავდა როგორც მაყურებლებს, ისე სპონსორებს, შეჯიბრებების ორგანიზატორებს. თავად ფიდეს ნახევარი მილიონი ვალი ჰქონდა, გადაუხდელი იყო შტაბ-ბინის არენდის 80 ათასი დოლარი. ყოველივე ამას შევხედე როგორც ბიზნესმენმა. ჩემს ხელთ აღმოჩნდა წაგებიანი, დაჩანაკებული წარმოება. აუცილებელი იყო რაღაცის შეცვლა. სინგაპურში ფიდეს წევრებს ვესაუბრე გარდაქმნებზე და ჩოგბურთელთა მაგალითი მოვუყვანე — რატომ არის, რომ სპორტის ამ სახეობაში საშუალო დონის სპორტსმენებიც კი დიდ ჰონორარს იღებენ, ხოლო ჭადრაკში მხოლოდ პირველი ათეულის წევრები მოულობენ ფულს? სწორედ მაშინ დაიბადა მსოფლიო ჩემპიონატის პლეი-ოფის სისტემით ჩატარების იდეა.

თავიდან საკუთარი სახსრების გაღება მომიხდა, შემდეგ რუსეთისა და უცხოეთის მეწარმეებიც ჩაერთნენ საქმეში. კომერციულმა სტრუქტურებმა დაინახეს, რომ ფიდეში მოვიდნენ ახალი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ, ჭადრაკი აქციონ ბიზნესისთვისაც მიმზიდველი. ორი წლის წინ მათ ვარწმუნებდი: ჩადეთ ამ საქმეში ფული დღეს, თორემ ხვალ გვიან იქნება და რიგში დგომა მოგიწევთ-მეთქი. პარიზში ფიდეს კონგრესზეც აღვნიშნე ეს ჩემს საპროგრამო გამოსვლაში. დარბაზში ხითხითებდნენ და იცინოდნენ. გავიდა ორი წელიწადი და შედეგი არის. მაგალითად, კენტუკის შტატის (აშშ) გუბერნატორის წარმომადგენლებმა ორჯერ მომმართეს თხოვნით, მათთან ჩამეტარებინა მსოფლიო ჩემპიონატი 2 მილიონი დოლარი საპრიზო ფონდით. სამწუხაროდ, მათ დააგვიანეს, რადგან წლეულს შეჯიბრების ჩატარების ადგილი და თარიღი უკვე განსაზღვრულია.

— სად გაიმართება ფიდეს 1997-1998 წლების მსოფლიო ჩემპიონატი?

— გახსნა და წინასწარი ეტაპი გრონინგენში ჩატარდება. ნახევარფინალსა და ფინალს ელისტა უმასპინძლებს. ამას წინათ ფიდეში შემოვიდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინადადება, რომ ჩემპიონატის მეორე ნაწილი გაიმართოს ლოზანაში, კერძოდ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიურ მუზეუმში. პრეზიდენტი სამარანჩი ახლავე მზად არის, გამოგვიყოს შენობა, საკუთარი კაბინეტიც კი დაგვითმოს და მიიღოს მონაწილეობა ჩემპიონატის გახსნაში. ჩვენი უახლოესი შეხვედრა იენისში შედგება. ამ დროს ხელს მოვაწერთ თანამშრომლობის ხელშეკრულებას და ყველა დეტალს დავაზუსტებთ.

— რამდენადაც ცნობილია, თქვენი კონტაქტები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტთან მარტო ამ საკითხებით არ ამოიწურება...

— ახლა ჩვენ ახლოს ვართ უმთავრეს მიზანთან — ჭადრაკი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანონ. იმის მიუხედავად, რომ 52 ქვეყნის ჭადრაკის ფედერაცია საკუთარი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების წევრი იყო, ეს აქამდე ვერ მოხერხდა. ყოველივე კი ფედერაციების ლაფინანსებაზეც მოქმედებს... მათი შემოსავალი ათჯერ და უფრო მეტად გაიზრდება, თუ ჭადრაკი ოლიმპიადების პროგრამაში შევა. სოკ-ის ხელმძღვანელობასთან და სამარანჩთან ერთი წლის თანამშრომლობა იმის იმედს მაძლევს, რომ ჭადრაკს მალე ვიხილავთ ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. არ არის გამორიცხული, რომ ეს მოხდეს 2000 წლისათვის სიდნეიში.

— ბოლო დროს ელისტა საჭადრაკო სამყაროს დედაქალაქად იქცა. აქ იმართება უდიდესი შეჯიბრებები. ამგვარი დამოკიდებულება მსოფლიოში ჭადრაკის პოპულარიზაციას ხომ არ შეუშლის ხელს? ხომ არ აჯობებდა საჭადრაკო მექად გამხდარიყო, ვთქვათ, ნიუ-იორკი ან პარიზი?

— მე არც მიფიქრია ჭადრაკის უზურპაცია ყალმუხეთისთვის. პირიქით, ფიდე სთავაზობს მთელ მსოფლიოს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჭადრაკის განვითარებაში. სამწუხაროდ, ყოველთვის ასე როდი ხდება. მაგალითად, როცა მონაწილეთა თანხმობით კარპოვ-კამსკის მატჩის მოწყობა ბაღდადში გადავწყვიტე, დასავლეთმა ერთი აურზაური ატეხა: „როგორ, ბაღდადში? სადამ ჰუსეინთან?" ამაზე მე მათ ვუპასუხე: სიამოვნებით, ჩაატარეთ თქვენ თვაად ჩემპიონატი — ჰუსეინი მზად არის გაიღოს 2 მილიონი დოლარი, თქვენ რამდენი შეგიძლიათ? სამწუხაროდ, პასუხი ვერ მივიღე. ვთვლი, რომ სპორტი პოლიტიკისგან უნდა განვაცალკევოთ. თუ ფულს შემომთავაზებენ ჭადრაკის სასარგებლოდ, უარს არ ვიტყვი...

— ცნობილია, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და უამრავი ფედერაციის მატერიალური სახსრები ბევრად არის დამოკიდებული ტელევიზიასთან მრავალმილიონიან კონტრაქტებზე. ამ მიმართულებით ფიდე რა ნაბიჯებს დგამს?

— ამჟამად მოლაპარაკება გვაქვს „ევროსპორტის" არხთან მსოფლიო ჩემპიონატის ტრანსლაციის თაობაზე. ამ ტელევიზიით უკვე გადაიცა კარპოვ-კამსკის მატჩის სიუჟეტები. ახლა გვინდა ჩემპიონატის მთელი ციკლის ტრანსლაცია. ამას ხელი შეუწყო შეჯიბრების ახალი სისტემით ჩატარებამ. ვის ეხალისება, უყუროს ერთმანეთს პირისპირ თვეობით მჯდარ ორ ადამიანს? მინდა, რომ ჭადრაკი გახდეს დინამიური და სპორტის სანახაობრივი სახეობა.

— ანატოლი კარპოვსა და გარი კასპაროვს უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ მსოფლიო ჩემპიონატის პლეი-ოფის სისტემით ჩატარებაზე. რა მოხდება, რომ მათ მონაწილეობაზე უარი თქვან?

— არ იასპარეზებენ ამჯერად, მოვლენ შემდეგ შეჯიბრებაზე. ჩვენ ისედაც წავედით მათთან კომპრომისზე — გათამაშებაში ნახევარფინალიდან ჩაებმებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ დღეში შეუძლიათ გამოიმუშაონ 380 ათასი დოლარი, ერთ კვირაში კი — მილიონნახევარი. ეს ხომ ეწინააღმდეგება საერთოდ აღიარებულ მსოფლიო პრაქტიკას. მაგალითად, იგივე ჩოგბურთელი სამპრასი, ყველა დიდ შეჯიბრებას პირველი წრიდან იწყებს. ამიტომ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში გამონაკლისი არ იქნება — ჩემპიონი თავიდანვე ჩაებმება ბრძოლაში... კასპაროვი ან კარპოვი თუ უარს იტყვიან ასპარეზობაზე, ნახევარფინალში გამარჯვებულები ითამაშებენ მატჩს, რომელიც ფინალური იქნება.

— თქვენი შთაბეჭდილება კასპაროვ-დიპ ბლიუს მატჩზე?

— ამ შეხვედრამ ჭადრაკის განვითარებას დიდი ბიძგი მისცა მთელ მსოფლიოში. საკმარისია ითქვას, რომ მისი დამთავრებისთანავე 20-მა ქვეყანამ შემოიტანა განაცხადი ფიდეს წევრად გახდომის თაობაზე... რაც შეეხება მატჩის სპორტულ მხარეს, მანქანამ პირდაპირ განმაცვიფრა იმით, რომ იღებდა არასტანდარტულ გადაწყვეტილებებს...

— თქვენ მართლა სერიოზულად ფიქრობთ კომპიუტერის 1997-1998 წლების მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას?

— ფიდეს წესდებით, მე, როგორც ფიდეს პრეზიდენტი და შეჯიბრების ორგანიზატორი, უფლებამოსილი ვარ მსოფლიო ჩემპიონატზე მივიწვიო ოთხი მონაწილე (ერთი-ერთი იქნება ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატი, 14 წლის ფრანგი ეტიენ ბაკრო). კომპიუტერს შეუძლია ითამაშოს ყალმუხეთის სახელით: დიპ ბლიუ (ელისტა) — კარგად ჟღერს, არა? წარმოდგენილი მაქვს, როგორი სენსაცია იქნება...

სურათზე: ყალმუხეთისა და ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი.

რწმენა

საქართველოს ძნელბედობის ჟამს, რაც ჩვენი ისტორიის თანამდევი მოვლენა იყო და არის, ეკლესია იყო და არის ეროვნულ ძალთა გამაერთიანებელი, გარეშე მტრების წინააღმდეგ ძალთა შემკრები, ქართველთა ეროვნული თვითშეგნების, ქართველობის დამცველი.

ქართველი მეცნიერების მონაწილეობის საკითხისათვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში

რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ საქართველოს ანექსიის, ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ, ეკლესია წარმოადგენდა ერის არა მხოლოდ სულიერ-რელიგიურ, მნეობრივ საყრდენს, არამედ საერთოდ ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლოს, მის გამოხატულებას. ეს მესანიშნავად ჰქონდათ გაცნობიერებული იმპერიის ხელისუფალთ, ამიტომაც იყო, სასწრაფოდ რომ გააუქმეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

ამდენად სრულიად კანონზომიერია, რომ საქართველოს ეკლესიის თვითმწყსობის პრობლემა მხოლოდ საეკლესიო მოღვაწეთა, ეკლესიის მესვეურთა ინტერესების სფეროში ვერ მოთავსდებოდა. ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილი, ქართველი მეცნიერები აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის მიმართულ მოძრაობაში, გვერდში ედგნენ ეკლესიის მესვეურთ.

ეკლესიის თვითმწყსობის აღდგენისათვის ბრძოლა ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი [illegible]

ნცაძე და სხვანი. მათ ზურგს უმაგრებდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე ილია ჭავჭავაძე. ეკლესიის მესვეურთ სათანადო დოკუმენტებსა და მასალებს აწვდიდნენ ქართველი მეცნიერები ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, თედო ჟორდანია, რომელმაც 1905 წ. საგანგებო ნაშრომი გამოაქვეყნა ავტოკეფალიის ისტორიაზე. როგორც ცნობილია, მთაერობამ უაღრესად უარყოფითი დამოკიდებულება გამოამჟღავნა ამ [illegible]

ცვლად სლავური დამკვიდრებაზე. პროფ. ალ. ხახანაშვილმა ყურადღება გაამახვილა თბილისის და თელავის სემინარიებში არსებულ საგანმანათლებლო სისტემაზე, მათ როლზე ქართული კულტურის განვითარების საქმეში.

პროფ. ნიკო მარის მოხსენება [illegible]

სინოდის ობერ-პროკურორთან და საათ-ნახევრის განმავლობაში სათანადო საბუთებით უმტკიცებდნენ მას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერებას. მართალია, მთავრობამ სცნო ავტოკეფალია, მაგრამ, შესწორება მეიღანა 12 მარტის დადგენილება [illegible]

[illegible]

წლის გადაწყვეტილების გაუქმებას და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, კრებაზე პრინციპული მოთხოვნებით გაბედულად გამოვიდნენ სასულიერო მამები კირიონი, ამბროსი ხელაია, კალისტრატე ცი[illegible]

[illegible] ალ. ცაგარელი მიუთითებდა, რომ წარმართობის აღორძინება, ურწმუნოება, რაც საქართველოში შეინიშნებოდა, იყო პროტესტი საქართველოს ძირძველ ეკლესიამონასტრებში ქართული ენის ნა[illegible]

[illegible] კითხი გართულდა. 1917 წლის 23 მარტს ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილში კიტა აბაშიძეს წერდა, რომ ის (ივანე ჯავახიშვილი) და ზურაბ ავალიშვილი საგანგებოდ მოვიდნენ [illegible]

მარიკა ლორთქიფანიძე

წაკითხულია მოხსენებად 1997 წლის 25.III, საქართველოს საპატრიარქოში ავტოკეფალიის აღდგენის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე.

მართლმადიდებლობის კონსტიტუციური სტატუსისათვის

მართლმადიდებლობის იურიდიული სტატუსის დადგენა საქართველოსათვის უარსებითესი პრობლემაა; ეს არის ერის არსებობის თანამარადიული პრობლემა. იგი მსჭვალავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა საქართველოს სახელმწიფოებრივი რაობა, ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი, განათლების სისტემა, ქართული კულტურის პერსპექტივები, ენობრივი მსოფლხედვის საკითხი...

პრობლემათა სიმრავლე კიდევ უფრო აუცილებელს ხდის საგანგებო კონცენტრირებას საკუთრივ მართლმადიდებლობის იურიდიულ სტატუსზე, რათა არ მოხდეს მისი თავისთავადობის ნიველირება.

ზემოაღნიშნული და სხვა პრობლემათა გათვალისწინებითაც, მიგვაჩნია, რომ უნდა მოხდეს ამგვარი ფორმულირება კანონისა (ცხადია, შესაბამისი იურიდიული რედაქტირებით): სახელმწიფო აღიარებს მართლმადიდებლობის [illegible]

განსაკუთრებულ მნიშვნელობას და შესაბამისად — განსაკუთრებულ იურიდიულ სტატუსს, რაც განსაზღვრავს არა მხოლოდ მის უფლებებს, არამედ მისსავე მოვალეობას. რომ საქართველოში არსებობდეს სხვა ტრადიციული აღმსარებლობანიც (გრიგორიანული, კათოლიკური, მაჰმადიანური და იუდეისტური).

რადგან მართლმადიდებლობის მნიშვნელობა გაიაზრება არა მხოლოდ აღმსარებლობითი პოზიციებიდან, უნდა გათვალისწინებულ იქნეს, რომ მართლმადიდებლობა იყო და არის ქართული კულტურის უმთავრესი საფუძველი და სხვა საფუძველზე ქართული კულტურა ვერ განვითარდება. ესაა მისი სამომავლო ფუნქცია და არა მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობის კონსტატირება.

რაც შეეხება ე.წ. არასტანდარტულ კონფესიათა იურიდიულ სტატუსს, ჩვენის აზრით, ის უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: საქა[illegible]

[illegible] რთველოში სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში აიკრძალოს სამართლებრივ ფარგლებში არატრადიციულ კონფესიათა პროზელიტური საქმიანობანი.

საქმე ისაა, რომ როცა დგება საკითხი მათი სრული მეზღუდველობის მესახებ, ეს ემყარება სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლების ცნობილ პრინციპებს. აღნიშნულ არატრადიციულ კონფესიათა პროზელიტური „წარმატებანი“ ემყარება ჩვენი ხალხის ეკონომიკურ სიდუხჭირეს, რის გამოც იძულებული ხდებიან თავისთვის მიუღებელ, არასასურველ სულიერ კომპრომისზე წავიდნენ. ამას მოჰყვება ის, რომ პიროვნებებს უხდებათ თავისი ეკონომიკური კონიუნქტურით გადადგმული ნაბიჯი ილუზიური კონფესიური ძიებით გაამართლონ. ამას ემატება ბოლო წლებში გაჭრცელებული კოლექტიური ფსიქოზი, პოლიტიკური [illegible]

ურთიერთდაუნდობლობა, საერთო ცნობიერებიდან როგორმე განრიდების ფსევდოდემოკრატიული ტენდენცია. ამ ფაქტორებით გამოწვეული შინაგანი დისკომფორტი ბევრს ვერ დაუძლევია ილუზიურივე ღვთისმაძიებლობის გარეშე.

სამწუხაროდ, საქართველოს ეკლესიას არ გააჩნია ეკონომიკური საშუალებანი აღნიშნულ მოვლენათა წინააღმდეგ. ეკონომიკური საშუალებებით მის სამქადაგებლო ასპარეზსაც კი ზღუდავენ.

ყოველივე ეს ებრძვის ჩვენს ტრადიციულ რწმენას, ჩვენს სახელმწიფოებრიობას, ჩვენს ენობრივ მსოფლხედვას, კულტურას და ზოგჯერ განათლების სისტემამდეც კი აღწევს.

თუ ჩვენ ამას დროულად არ დავუპირისპირდით, მალე ალბათ უკვე გვიანი იქნება.

რევაზ სირაძე,
პროფესორი.

ეკლესიის სასიკეთო კანონი ერის ინტერესებს ემსახურება

როგორც ცნობილია, იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა კანონპროექტი „სინდისის თავისუფლების და რელიგიურ ორგანიზაციების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს ცალკე კანონს „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ“. ამ კანონპროექტზე სამუშაოდ ნავარაუდევია სა[illegible]

[illegible]

რთველოს მართლმადიდებელი ეკლესია — საქართველოს ეკლესიად.

4. შეიქმნას დამატებითი სახელმწიფო რელიგიური განათლების სისტემა.

[illegible]

ნცელარიაში, არმიაში, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სასწავლებლებში, საავადმყოფოებში და სხვა.

10. დაუბრუნდეს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მისი კუთვნილი მამულები და ტყეები (შესაძლებელ ფარგლებში).

11. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეასრულოს ყველა უმნიშვნელოვანესი [illegible]

[illegible] ხოლო ეკლესია არ მიიღებს მონაწილეობას მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და ერთ-ერთი [illegible] ლიგია, მართლმადიდებლობა გამოცხადდეს საქართველოს ოფიციალურ რელიგიად, ხოლო საქა[illegible] მართლმადიდებელ ეკლესიას იყოლიოს თავისი წარმომადგენლები პარლამენტში, სახელმწიფო კა[illegible] სახელმწიფოს ინტერესებს და, საბოლოო ანგარიშით, სასიკეთოა მთელი ერისათვის.

სადისკუსიო კლუბი „პრესა“

„წინასწარ შედგენილი“ პოზიცია და ელემენტარული ეთიკა

გაზეთ „7 დღის“ ჟურნალისტი ნინო ჩხოშვილი ჩემს კაბინეტში ძველი ნაცნობივით ფართოდ გაღიმებული შემოვიდა, თავი წარმომიდგინა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა, ახალციხის მერიის შენობაში სამცხე-ჯავახეთის სამხარეო პოლიციის სამმართველოს შემოსახლება როგორ მოგწონთო, მკითხა.

იმ დღეს ნ. ჩხოშვილი პირველად ვნახე. თუმცა, მის ჟურნალისტურ შემოქმედებას, განსაკუთრებით კი სამცხე-ჯავახეთის პრობლემისადმი მიძღვნილს, რა თქმა უნდა, ვიცნობდი და, ცხადია, ჩემი აზრიც გამაჩნდა ამ ახალგაზრდა ჟურნალისტზე.

თავიდანვე უნდა ვთქვა, რომ ნინო ჩხოშვილის პოზიციას ჩვენი მხარის პრობლემების გაშუქებისადმი პრინციპულად არ ვეთანხმებოდი. ამიტომ, ერთი გაფიქრება ისიც გავიფიქრე, ინტერვიუზე უარს ვეტყვი-მეთქი, მაგრამ შემდეგ ასეთ მასპინძლის თავაზი[illegible]

ლადშექმნილი სამმართველოს პრობლემებით დაინტერესდა. ცხადია, ამაზეც საფუძვლიანად ვისაუბრეთ.

ჩვენს საუბარს ნ. ჩხოშვილი ფრაგმენტულად იწერდა.

მევთავაზე, რაც გითხარით, ყველაფერს მე თვითონ ახლავე დაგიწერთ, თქვენთან მხოლოდ ერთი თხოვნა მექნება, ჩემი აზრები ჩემივე ნაწერის მიხედვით ზუსტად გადმოეცით, კომენტარი კი თქვენი ნებაა-მეთქი.

დამთანხმდა, მითხრა, ახლავე დაწერა საჭირო არ არის, ამაღამ აქ ვრჩები და ხვალ შემოგივლითო. თან, რატომღაც, ჩემი ბიოგრაფიული ცნობებითაც დაინტერესდა, მთხოვა, ჩემი პასუხებისათვის მოკლე ავტობიოგრაფიაც დამერთო.

ასე დავცილდით ერთმანეთს.

მეორე დღეს, მტკიცედ დარწმუნებულმა, რომ ჩემს მიერ მიღებული უსაფრთხოების ზომები სრულიად საკმარისი იყო, პასუ[illegible]

[illegible]

[illegible] ტრეების, ან უარეს შემთხვევაში, მისთვის იქვე, ცენტრში შესაფერისი შენობის გამონახვისათვის, რადგან პენსიონერებსა და ინვალიდებს პერიფერიაში სიარული გაუძნელდებათ-მეთქი.

შემდეგ ჟურნალისტი ჩემი ახ[illegible]

[illegible] ქალი ასეთი მეთოდებით იმკვიდრებს თავს ჟურნალისტიკაში.

უჩა გლუაშვილი,
სამცხე-ჯავახეთის მხარის განათლების რეგიონული სამმართველოს უფროსი.

ამინდი
28 მაისს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 10-15, დღისით 18-23, მთაში — ღამით 6-11, დღისით 14-19, მაღალმთაში — ღამით 1-6, დღისით 10-15 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ზოგან ხანმოკლე წვიმა იქნება ელჭექით, შესაძლებელია სეტყვა, იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 9-14, დღისით 20-25, მთაში — ღამით 4-9, დღისით 16-21, მაღალმთაში — ღამით 1-6, დღისით 12-17 გრადუსი სითბო.

თბილისში ხანმოკლე წვიმაა მოსალოდნელი ელჭექით, იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიძლიერის ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა — ღამით 12-14, დღისით 23-25 გრადუსი სითბო.

ყურადღება!

ქალაქ თბილისში პრესის გავრცელების საცალო ქსელში დასაქმებულთა და კერძო რეალიზატორთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ მიმდინარე წლის 20 მაისიდან ნებადართულია „საქართველოს რესპუბლიკის“ მხოლოდ იმ ეგზემპლარების გაყიდვა, რომლებზეც ამ გაზეთის გამომცემელი შპს „პრესის“ სპეციალური შტამპი იქნება დარტყმული.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.

შპს „ფორმატი“ — FORMAT

ქაღალდის საუკეთესო არჩევანი საუკეთესო ფასებში

საბითუმო/საცალო საბაზ.

1. ქსეროქსის; უმაღ.ხარისხი; A4x500 ....4,9/5,50ლ.
2. ქსეროქსის; უმაღ.ხარ; სით.98%; A4x500 ....6,4/7,40ლ.
3. საწერი, საბეჭდი; უმაღ.ხარ; A4x200 ....2,5/2,8ლ.
4. საწერი, საბეჭდი; II ხარისხი; A4x250....................1,5/2,0ლ.
5. კომპიუტერის ქერფ.(АЦПУ) სიგ.24,38,42სმ;(1კგ) ......3,8/4,5ლ.
6. პრინტ. და ტელექსის რულონი;სიგ.21სმ...............4,5/5,0ლ.
7. ფაქსის; უმაღლესი კონტრასტის; 21სმ*20მ..........2,6/3,0ლ.

სადე, საკოლოფე ქაღალდი 210÷270 გრ; ცარცის 80÷170გრ; ოფსეტური რულონებით; რიზოგრაფის ფორმატებით; ქსეროქსის ფერადი A4 და A3; საქაღალდეები და სხვ.

სპეციალური ფასები — მუდმივ დამკვეთთათვის

უფასო ადგილზე მიწოდება უნაღდო ანგარიშსწორება ☎ 38-91-64 39-84-05

ვაჟა-ფშაველას გრ. 45 V-სართ. ოთახი № 15 (გ. ლეონიძე) სტოფჯვრი

ხსოვნა

გივი მელიქიშვილი

მძიმე დანაკლისი განიცადა ქართველმა ინტელიგენციამ. კიდევ ერთი თვალსაჩინო პიროვნება გამოაკლდა განათლების მუშაკთა მრავალათასიან არმიას, კიდევ ერთი ნათელი კაცი გადავიდა მარადიულობის საუფლოში — გარდაიცვალა განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების სამმართველოს უფროსი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი გივი იოსების ძე მელიქიშვილი.

დაიბადა 1929 წელს დუშეთში. დაამთავრა თბილისის მე-19 საშუალო სკოლა, შემდეგ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი.

შრომითი საქმიანობა 1953 წლიდან დაიწყო. იყო დედაქალაქის მე-19 (მოგვიანებით 30-ე) სკოლის ლოგიკის, ფსიქოლოგიის, საქართველოს ისტორიისა და ასტრონომიის მასწავლებელი. 1960-1962 წლებში მუშაობდა გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციის ლიტმუშაკად, განყოფილების გამგედ. 1962 წლიდან მუშაობდა ჯერ საქართველოს უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების სამინისტროში, ხოლო 1992 წლიდან ბოლო დღემდე — საქართველოს განათლების სამინისტროში სახელმძღვანელოების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე.

დაჯილდოებული იყო მედლებით. 1980 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

გ. მელიქიშვილმა მთელი სიცოცხლე მომავალი თაობის აღზრდის საქმეს შესწირა. მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სხვა სახის ლიტერატურის გამოცემის საპასუხისმგებლო საქმის ხელმძღვანელობასთან ერთად, უანგაროდ გადასცემდა თავის მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას უმაღლესი, საშუალო-სპეციალური განათლებისა და საშუალო სკოლის მასწავლებლობას. ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი ადამიანური თვისებებითა და პიროვნული ღირსებით.

გ. მელიქიშვილის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი აღზრდილების, ახლობლებისა და კოლეგების გულებში.

საქართველოს განათლების სამინისტრო, საქართველოს განათლების მუშაკთა პროფკავშირის კომიტეტი.

თამაზ კვირკველია

გარდაიცვალა კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი, შპს „საქართველოს ელექტროკავშირის“ ფილიალ „გარდაბნის ელექტროკავშირის“ უფროსი თამაზ კვირკველია.

წავიდა ჩვენგან სიცოცხლეზე, მეგობრებზე უზომოდ შეყვარებული, შრომისმოყვარე ადამიანი, რომელმაც კავშირგაბმულობის სისტემაში იმუშავა თითქმის ოთხი ათეული წელიწადი. რიგითი მუშაკიდან დაწყებული, იყო თბილისში სატელეფონო კვანძის უფროსი, საწარმოო გაერთიანება „საქკავშირმშენპროექტის“ საპროექტო ბიუროს უფროსი, გაერთიანების მთავარი ინჟინერი, „გარდაბნის ელექტროკავშირის“ უფროსი. მეგობრებს, ახლობლებს, თანამშრომლებს დაგვიტოვა უდიდესი მწუხარება და გულისტკივილი.

გემშვიდობებით, მაგრამ ჩვენს გვერდით იქნები მარადჟამს.
მსუბუქი იყოს საქართველოს მიწა შენთვის.
გემშვიდობებით, ჩვენო თამაზ!

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო, შპს „საქართველოს ელექტროკავშირი“.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჯანდაცვის ღვაწლმოსილი მუშაკი, ცენტრის სამედიცინო პარაზიტოლოგიური ქვეგანყოფილების თანამშრომელი

ვენერა (ცაცა) ნესტორის ასული ჩუბინიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს. [illegible]

[illegible]

ზიული ანთელავა

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ზოზიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორები: ალეკო ასლანიშვილი, აბესალომ იმედაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, ხოშარაულის 29.